თომას პეინი

32(73)
J-96

საერო აზრი

THOMAS PAINE

COMMON SENSE



4629
4629 –

32(73)
ვ – 26

თომას პეინი

სალი აზრი

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი თავაძემ

№ 4629

THOMAS PAINE

COMMON SENSE

Translated from the English by
Giorgi Tavadze

თბილისი 2012 Tbilisi

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტი

Grigol Robakidze University
Institute of Philosophy and Social Sciences

სამეცნიერო რედაქტორები: **პროფ. თენგიზ ირემაძე**
პროფ. ლალი ზაქარაძე
პროფ. დოდო ლაბუჩიძე-ხოფერია

ყდის დიზაინი:
გიორგი ბაგრატიონი

Edited by
Prof. Dr. **Tengiz Iremadze**
Prof. Dr. **Lali Zakaradze**
Prof. **Dodo Labuchidze-Khoperia**

Cover design: **Giorgi Bagrationi**

გარეკანზე გამოსახულია: *ლონგ-აილენდის ბრძოლა (1776 წ.), თომას პეინის პორტრეტი (ავტორი: ლავრენტ დაბოსი, 1791 წ.)*

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტი, 2012

© Grigol Robakidze University
Institute of Philosophy and Social Sciences, 2012

Printed in Georgia
All rights reserved

გამომცემლობა „ნეკერი“, 2012
Publishing House „Nekeri“, 2012

ISBN 978-9941-436-21-5

სარჩევი

წინათქმა 5

გიორგი თავაძე
თომას პეინი — თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი 9

თომას პეინი
სალი აზრი 23

შესავალი 25

ზოგადად, ხელისუფლების წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ. მოკლე შენიშვნებით ინგლისის კონსტიტუციასთან დაკავშირებით 28

მონარქიისა და ტახტის მემკვიდრეობის შესახებ ... 39

განაზრებანი ამერიკული საკითხების ახლანდელი მდგომარეობის შესახებ 55

ამერიკის დღევანდელი შესაძლებლობების შესახებ, სხვა განაზრებებთან ერთად 85

დანართი 105

მიმართვა ხალხის რელიგიური საზოგადოების წარმომადგენლებისადმი... . 120

შენიშვნები 130

სახელთა საძიებელი 139

წინათქმა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი პოლიტიკური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის, რევოლუციონერი პოლიტიკოსისა და ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი დამფუძნებელი მამის, თომას პეინის (1737-1809) საყოველთაოდ ცნობილი პამფლეტის – „საღი აზრი“ (1776) – პირველ ქართულ თარგმანს სთავაზობს მკითხველს. წინამდებარე თარგმანი შეასრულა ამავე უნივერსიტეტის ასისტენტ-პროფესორმა, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელმა გიორგი თავაძემ.

***

თომას პეინის „საღი აზრი“ პოლიტიკური აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ტექსტია. ის დღესაც არ კარგავს აქტუალობას, რადგან მასში დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის ფუძემდებლური პრინციპებია ჩამოყალიბებული. პეინი ძალზე ნათლად და დამაჯერებლად გვიჩვენებს, თუ რა უპირატესობა აქვს პიროვნულ და სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას. იგი ევროპული განმანათლებლობის საღ პოზიციებზე დგას და ფიქრობს, რომ ადამიანის შინაგანი ბუნებისათვის უცხოა ყოველგვარი ბატონი, ზეცის შემოქმედის გარდა. ადამიანის ღირსეული არსებობა მის თავისუფალ არჩევანზე უნდა იყოს

დაფუძნებული. სწორედ ეს უზრუნველყოფს საზოგადო კეთილდღეობას, რაც ნებისმიერი საღად მოაზროვნე პიროვნებისა და ხალხის სანუკვარი მიზანია.

მართალია, პეინი თავის პამფლეტში ამერიკის დამოუკიდებლობის შესახებ საუბრობს, მაგრამ მას მხედველობაში საერთო საკაცობრიო პოლიტიკა აქვს. სწორედ ამის დასტურია მისივე სიტყვები: *ამერიკის საკითხი, ფართო გაგებით, მთელი კაცობრიობის საკითხიცაა.* ყოველი სახელმწიფო მთელი კაცობრიობის ბუნებრივი უფლებებისადმი პატივისცემის ლოგიკას უნდა ემორჩილებოდეს, რაც სხვადასხვა სახელმწიფოთა მშვიდობიან თანაარსებობას გულისხმობს. ცეცხლითა და მახვილით ქვეყნების გაუდაბურება ამგვარ ლოგიკას სწორედ რომ ეწინააღმდეგება. ამიტომ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის ფუძემდებლური პრინციპების ერთგულება ამგვარი ლოგიკის დაცვასა და მჩაგვრელი სახელმწიფოებისა და ხალხების შეურიგებელ კრიტიკას მოითხოვს! თომას პეინის „საღი აზრი“ ამგვარი კრიტიკის თვალსაჩინო ნიმუშია.

თომას პეინის „საღი აზრი“ ყალბი შემრიგებლური პოლიტიკის წინაღმდეგაცაა მიმართული. შეიძლება ითქვას, რომ ეს ნაშრომი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თანმიმდევრულ და პრაგმატულ ხედვას გვთავაზობს. ის „შერიგების დოქტრინის“ მომხრეთა ე.წ. არგუმენტების უსაფუძვლობასა და მყიფე ხასიათს აჩვენებს. ხშირად ისე ხდება, რომ ჩაგრულები თავიანთი ხსნის ერთადერთ გამოსავალს ისევ მჩაგვრელებთან შერიგებაში ხედავენ. აი, აქ, ისინი, პეინის სამართლიანი შენიშვნის თანახმად, მტკიცედ ცდებიან („შერიგება და დაღუპვა ერთმანეთის ტოლფასია“). შერიგება, ასეთ შემთხვევაში, ისევ მჩაგვრელთა წისქვილზე ასხამს წყალს. ის ვერ უზრუნველყოფს ჩაგრულთა მომავალ ბედნიერებას, მეტიც, წარმოშობს აუნაზღაურებელ მატერიალურ და სულიერ ზარალსა თუ დანაკარგს. აქედან გამომდინარე, პეინი ისევ საღი აზრის პრინციპებზე დაბრუნებას გვთავაზობს, რაც შეურიგებელი პოლიტიკის ეფექტურ და რაციონალურ განხორციელებას გულისხმობს.

სწორედ ამის გამო დავისახეთ მიზნად ამ შესანიშნავი ნაშრომის წინამდებარე თარგმანის წარდგენა ქართველი მკითხველის წინაშე. ამიერიდან შესაძლებლობა გვაქვს, მშობლიურ ენაზე გავეცნოთ „საღი აზრის“ ავტორის მაღალ საკაცობრიო იდეალებს.

* * *

ცნობილია, რომ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტში უკვე რამდენიმე წელია, რაც ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ფილოსოფიის, სოციოლოგიისა და პოლიტიკური მეცნიერებების კლასიკური და თანამედროვე ტექსტების თარგმანის, შესწავლისა და ანალიზის კუთხით. უკვე გამოიცა კიდეც არაერთი მნიშვნელოვანი მონოგრაფია, სამეცნიერო კრებული თუ თარგმანი. წინამდებარე გამოცემას თან ახლავს ამავე ინსტიტუტის მიერ ბოლო წლების განმავლობაში გამოქვეყნებული მნიშვნელოვანი სამეცნიერო სერიებისა და ცალკეულ გამოცემათა ნუსხა.

* * *

„საღი აზრის“ წინამდებარე გამოცემა განხორციელდა საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს წიგნების თარგმანის პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით; მას თან ახლავს მთარგმნელის საინტერესო სტატია თომას პეინის პიროვნებისა და შემოქმედების შესახებ, ასევე, შენიშვნები და კომენტარები, რაც ქართველ მკითხველს ამ თხზულების ადეკვატურად გასაგებად დაეხმარება.

იმედი გვაქვს, რომ თომას პეინის ნაშრომი „საღი აზრი“ მიიპყრობს ქართველი მკითხველის ყურადღებას. ის ხომ დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისთვის მებრძოლი პიროვნებებისა და ხალხებისთვის შექმნა მისმა ავტორმა!

თენგიზ ირემაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ქ. თბილისი, 25 იანვარი, 2012 წელი

გიორგი თავაძე

თომას პეინი – თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი

თომას პეინი დაიბადა 1737 წლის 29 იანვარს ქ. თეთფორდში, ნორფოლკის საგრაფოში, ინგლისში.* მამამისი, ჯოზეფ პეინი, აღმსარებლობით კვაკერი იყო, ხოლო დედა – ფრენსის პეინი – ანგლიკანი. 1744-1749 წლებში პეინი თეთფორდის საშუალო სკოლაში სწავლობდა. ცამეტი წლის ასაკში მან შეწყვიტა სწავლა და შეგირდად დაუდგა მამას, რომელიც კორსეტებს ამზადებდა. თუმცა, ეს საქმიანობა მომაბეზრებელი აღმოჩნდა მისთვის: 1759 წლამდე პეინმა ორჯერ სცადა მეზღვაურობა. 1759 წელს იგი ინგლისში დაბრუნდა. ქ. სენდვიჩში, კენტის საგრაფოში, მან მამამისის საქმიანობა გააგრძელა. იმავე წელს პეინი დაქორწინდა მერი ლამბერტზე, თუმცა ქორწინება ტრაგიკული აღმოჩნდა: პეინის მეუღლე მშობიარობისას დაიღუპა ბავშვთან ერთად.

1760-იანი წლების დასაწყისში პეინი გადასახადების ამკრეფად მუშაობდა. 1765 წელს

* პეინის ბიოგრაფიის გადმოცემისას ვისარგებლე შემდეგი წყაროებით: Thomas Paine, *Rights of Man. Common Sense and Other Political Writings,* edited with an introduction and notes by Mark Philp, Oxford, Oxford University Press, 1998, pp. vii-xv; J. Fruchtman Jr., *The Political Philosophy of Thomas Paine,* Baltimore, The John Hopkins University Press, 2009, pp. 15-27.

იგი დაითხოვეს სამსახურიდან – საქმისადმი უგულისყური დამოკიდებულების გამო. 1768 წლამდე მან სხვადასხვა საქმიანობას მოჰკიდა ხელი: ამზადებდა კორსეტებს, მუშაობდა მოსამსახურედ, იყო სკოლის მასწავლებელი ლონდონში. 1768 წელს იგი მეორეჯერ დანიშნეს გადასახადების ამკრეფად ქ. ლიუისში, აღმოსავლეთ სასექსის საგრაფოში. აქ მან ცოლად შეირთო ადგილობრივი ვაჭრის, სემუელ ოლაივის ქალიშვილი, ელიზაბეთი.

ლიუისი აღმოჩნდა ქალაქი, სადაც პეინს თავისი პოლიტიკური ნიჭის გამოვლინების საშუალება მიეცა. თავისი სიმამრის მეშვეობით, პეინი აქტიურად ჩაერთო ქალაქის პოლიტიკურ ცხოვრებაში: იგი გახდა „თორმეტთა საზოგადოების" (*Society of Twelve*) წევრი, რომელშიც ქალაქის გავლენიანი პირები შედიოდნენ. საზოგადოება იკრიბებოდა ქალაქის რატუშაში, სადაც ისინი საქალაქო თვითმმართველობის საკითხებს განიხილავდნენ. არაფორმალური შეხვედრებისათვის განკუთვნილი იყო ტავერნა *White Hart Inn*. აქ საზოგადოების წევრები მსჯელობდნენ დიდი ბრიტანეთის საშინაო და საგარეო პოლიტიკაზე, ეკონომიკაზე და ა.შ. რადგან დიდ ბრიტანეთს იმ დროისათვის უკვე გართულებული ჰქონდა დამოკიდებულება თავის ამერიკულ კოლონიებთან, დიდი ალბათობით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ კოლონიებისა და მეტროპოლიის დამოკიდებულების საკითხი „საზოგადოების" წევრთა მძაფრი დისკუსიის საგანი გახდებოდა. მით უმეტეს, რომ ამ ქალაქში საკმაოდ ძლიერი რესპუბლიკური მისწრაფებები არსებობდა, რომლებიც იქ ჯერ კიდევ ინგლისის რევოლუციის

დროს დამკვიდრდა.*

მიუხედავად პოლიტიკურ დებატებში აქტიური მონაწილეობისა, ლიუისში ყოფნის პერიოდში, პეინს არაფერი მნიშვნელოვანი არ დაუწერია, თუ არ ჩავთვლით მიმართვას ინგლისის პარლამენტისადმი (*The Case of the Officers of Excise*, 1772 წ.), სადაც იგი გადასახადების ამკრეფთა ხელფასების გაზრდას ითხოვდა. მიმართვის გასავრცელებლად პეინი ლონდონში გაემგზავრა, თუმცა უშედეგოდ. პარლამენტმა უარყო მისი თხოვნა. ლიუისში დაბრუნებულ პეინს მეტად უსიამოვნო ამბავი დახვდა: იგი კვლავ დაითხოვეს სამსახურიდან ქალაქის თვითნებურად დატოვების გამო. ცუდ ამბავს კიდევ უფრო ცუდი ამბები მოჰყვა: პეინი შეეცადა, გარდაცვლილი სიმამრის საქმე გაეგრძელებინა და ვაჭრობა გაეუმჯობესებინა, თუმცა, ყველაფერი კრახით დასრულდა. გაფუჭდა ოჯახური ურთიერთობებიც. პეინი დაშორდა ცოლს და ლონდონში გაემგზავრა. აქ იგი შეხვდა ბენჯამინ ფრანკლინს, რომელმაც მას ამერიკაში ემიგრაცია ურჩია და სარეკომენდაციო წერილიც დაუწერა.** 1774 წლის ნოემბრის დასასრულს პეინი

* იხ. J. Fruchtman Jr., *The Political Philosophy of Thomas Paine*, გვ. 16-18.

** პეინის სიმამრის მეგობარი იყო მეცნიერი ჯეიმს ფერგიუსონი, რომელიც ფრანკლინის მეზობელი იყო ლონდონში. სწორედ მან გააცნო პეინს ფრანკლინი. ასე რომ, 1774 წელს, როდესაც სასოწარკვეთილი პეინი ლონდონში ჩავიდა, იგი უკვე იცნობდა ფრანკლინს. თავის მხრივ, ფრანკლინიც კეთილგანწყობილი იყო პეინის მიმართ. სარეკომენდაციო წერილში ფრანკლინი პეინს ახასიათებს, როგორც „ღირსეულ ახალგაზრდას" (იხ. J. Fruchtman Jr., *The Political Philosophy of Thomas Paine*, გვ. 174).

ამერიკაში ჩავიდა და დასახლდა ფილადელფიაში, რომელიც იმდროინდელი ამერიკის ინტელექტუალურ, პოლიტიკურ და ფინანსურ ცენტრს წარმოადგენდა.

ფილადელფიაში, პეინის საცხოვრებლის ახლოს, მდებარეობდა რობერტ ეიტკენის წიგნების მაღაზია და გამომცემლობა. იმ დროს, როდესაც პეინი ამერიკაში ჩავიდა, ეიტკენი იწყებდა ახალი ჟურნალის, *Pennsylvania Magazine*-ის გამოცემას. 1775 წლის იანვარში პეინმა დაიწყო სტატიების წერა ჟურნალისათვის. მას შემდეგ უინტერესო წარსულის მქონე ინგლისელი ემიგრანტი ამერიკაში განვითარებული რევოლუციური მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდა. პეინის სახელი ცნობილი გახდა ისეთი გამოჩენილი ამერიკელებისათვის, როგორებიც იყვნენ დევიდ რიტენჰაუსი, ბენჯამინ რაში, ჯონ და სემუელ ადამსები და თომას ჯეფერსონი.*

1775 წელი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წელია შეერთებული შტატების ისტორიაში. ეს არის მღელვარებების, მერყეობების, დაძაბულობების წელი. 19 აპრილს, ლექსინგტონსა და კონკორდთან შეტაკებებით, დაიწყო ამერიკის რევოლუცია. მას მოჰყვა ბოსტონის ალყა და ბანკერ ჰილის ბრძოლა. დაძაბულობა დიდ ბრიტანეთთან სრულმასშტაბიან ომში გადაიზარდა. მიუხედავად ამისა, მრავალ ამერიკელს ჯერ კიდევ სწამდა, რომ ბრიტანეთთან ნორმალური ურთიერთობის აღდგენა შესაძლებელი იყო.**

ასეთ ვითარებაში, 1776 წლის 10 იანვარს,

* იხ. J. Fruchtman Jr., *The Political Philosophy of Thomas Paine*, გვ. 21.

** იქვე, გვ. 62.

პეინმა ანონიმურად გამოაქვეყნა „საღი აზრი“, რომელსაც უზარმაზარი წარმატება ხვდა წილად. სულ რამდენიმე თვის განმავლობაში, ამ ორმოცდაათგვერდიანი პამფლეტის 500 000-ზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა.* „საღმა აზრმა“ ძალიან დიდი როლი შეასრულა: მან დაარწმუნა რიგითი ამერიკელები ბრიტანეთისაგან განცალკევების აუცილებლობაში და ხელი შეუწყო ამერიკული პატრიოტიზმის გაღვივებას.

„საღი აზრის“ გამოქვეყნების შემდეგ, პეინი აგრძელებს რევოლუციის მხარდაჭერას. 1776 წლის დეკემბერში, რევოლუციისათვის ყველაზე მძიმე პერიოდში, როდესაც გენერალ ჯორჯ ვაშინგტონის არმია ინგლისელთა შეტევების ფონზე უკან იხევდა, პეინი აქვეყნებს „ამერიკულ კრიზისს“, სადაც მგზნებარედ მოუწოდებს ამერიკელებს: „ეს არის ჟამი, რომელიც ადამიანთა სულებს გამოცდის. არასაიმედო ჯარისკაცი და უდარდელი პატრიოტი, ამ კრიზისის დროს, თავს აარიდებს სამშობლოს სამსახურს. მაგრამ ის, ვინც ახლა გაძლებს, ყოველი მამაკაცისა და ქალის სიყვარულსა და მადლიერებას იმსახურებს. ტირანია, ჯოჯოხეთის მსგავსად, ადვილად დასამორჩილებელი როდია. თუმცა, შეგვიძლია იმედი ვიქონიოთ, რომ, რაც უფრო მძიმეა დაპირისპირება, მით უფრო დიდებული იქნება გამარჯვების ტრიუმფი.“**

* იხ. Ph. S. Foner, *Thomas Paine,* Encyclopædia Britannica, Encyclopædia Britannica Ultimate Reference Suite, Chicago, Encyclopædia Britannica, 2011. უნდა აღინიშნოს, რომ პეინმა უარი თქვა ყოველგვარ ჰონორარზე და შემოსული თანხა მთლიანად გადასცა რევოლუციურ არმიას.

** Thomas Paine, *Rights of Man. Common Sense and Other Political Writings,* გვ. 63.

პეინის რევოლუციური სულისკვეთება შეუმჩნეველი არ დარჩენილა. იგი კონტინენტალური კონგრესის საგარეო საქმეთა კომიტეტის მდივნად დანიშნეს. ამ თანამდებობაზე პეინი 1777-1779 წლებში მუშაობდა. თუმცა, ამერიკელთა გასაოცრად, მან გაამჟღავნა საიდუმლო ინფორმაცია, რომელიც კონგრესის აგენტს საფრანგეთში, საილას დინს უკავშირდებოდა. პეინი ამტკიცებდა, რომ დინის საქმიანობა ამერიკის წინააღმდეგ იყო მიმართული. პეინმა ვერ შეძლო ამის დამტკიცება და იძულებული გახდა, დაეტოვებინა თანამდებობა.* მიუხედავად ამისა, პეინის რეპუტაცია არ შელახულა. 1779 წლის ნოემბერში იგი პენსილვანიის საკანონმდებლო ორგანოს, პენსილვანიის ასამბლეის, მდივნად დანიშნეს.

1781 წელს პეინი, საკუთარი ხარჯებით, საფრანგეთში გაჰყვა მისი მეგობრის, ჰენრი ლორენსის ვაჟს, ჯონს, რომელიც კონგრესის მიერ საფრანგეთში წარმომადგენლად იყო დანიშნული. პარიზში ჯონ ლორენსი, ფრანკლინთან ერთად, ცდილობდა, საფრანგეთისაგან დამატებითი დახმარება და სესხი მიეღო რევოლუციის მხარდასაჭერად.**

* პეინის საბედნიეროდ, დინთან დაკავშირებით ეჭვი მართებული გამოდგა. 1781 წელს დინმა ანტვერპენში გამოაქვეყნა წერილები, სადაც ამერიკელებს ბრიტანეთთან გაერთიანებისკენ მოუწოდა.

** საერთო ჯამში, საფრანგეთმა ამბოხებულ კოლონიებს 12 მილიონი ლივრი გადასცა, სესხის სახით გაცემული თანხა კი 18 მილიონ ლივრს უტოლდებოდა. გარდა ამისა, საფრანგეთმა ორი მილიარდი ლივრი დახარჯა 63 საბრძოლო ხომალდზე, რომლებზეც 3 668 ქვემეხი და 47 000 ჯარისკაცი და მეზღვაური იყო განთავსებული. საფრანგეთის მიერ განეულმა უზარმაზარმა ხარჯმა კიდევ უფრო გააღრმავა ამ ქვეყნის ეკონომიკური კრიზისი და დააჩქარა რევოლუცია (იხ. J. Fruchtman Jr., *The Political Philosophy of Thomas Paine*, გვ. 69 და 186).

ინგლისთან ომის დასრულების შემდეგ (1783 წ.) პეინი, ძირითადად, სამეცნიერო იდეებით იყო გატაცებული. მას სურდა, შეექმნა ერთთაღიანი რკინის ხიდი, რომელიც მეტად მოსახერხებელი იქნებოდა ამერიკის მდინარეებისათვის, რადგან გაზაფხულზე მცურავი ყინული ტრადიციულ, ბოძებით გამყარებულ ხიდებს საფრთხეს უქმნიდა.

პენსილვანიის ასამბლეა აჭიანურებდა ხიდის პროექტის დაფინანსებას. ამიტომ, პეინმა გადაწყვიტა, ევროპაში ეცადა ბედი. 1787 წელს იგი საფრანგეთში გაემგზავრა. 1787-1792 წლებში პეინი მონაცვლეობით, საფრანგეთსა და ინგლისში იმყოფებოდა. საფრანგეთში განვითარებულმა მოვლენებმა პეინი სამეცნიერო პროექტებიდან კვლავ პოლიტიკურ ასპარეზზე დააბრუნა. საფრანგეთში ამერიკის ელჩის, თომას ჯეფერსონის მეშვეობით, იგი დაუახლოვდა ჟირონდისტებს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ საფრანგეთის რევოლუციის პირველ ეტაპზე. 1792 წელს პეინი აირჩიეს წარმომადგენლად ეროვნულ კონვენტში, მიუხედავად იმისა, რომ იგი ფრანგულად ვერ საუბრობდა.*

1791-1792 წლებში პეინი აქვეყნებს თავის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ნაშრომს, „ადამიანის უფლებები" (*Rights of Man*), სადაც იგი საფრანგეთის რევოლუციასა და მის პრინციპებს იცავს ედმუნდ ბიორკის ბრალდებებისაგან, რომლებიც ამ უკანასკნელმა გადმოსცა ნაშრომში „განაზრებანი საფრანგეთის რევოლუციის შესახებ" (1790 წ.).

ამასობაში საფრანგეთის რევოლუცია უფრო და უფრო ემსგავსებოდა სისხლიან სასაკლაოს.

* იხ. Thomas Paine, *Rights of Man. Common Sense and Other Political Writings*, გვ. xi.

პეინი ლუი XVI სიკვდილით დასჯის წინააღმდეგი იყო. ამის გამო მან იაკობინელები გადაიმტერა. მარატი და რობესპიერი მას ეჭვის თვალით უყურებდნენ. ჟირონდისტების დაპატიმრებისა და სიკვდილით დასჯის შემდეგ პეინის მდგომარეობა კიდევ უფრო არამყარი გახდა. 1793 წლის 28 დეკემბერს იგი დააპატიმრეს. პეინმა ის-ის იყო დაასრულა თავისი ახალი ნაწარმოები „გონების ეპოქა" (*The Age of Reason*), სადაც მძაფრად აკრიტიკებდა ქრისტიანობას.

ამერიკის მაშინდელმა ელჩმა საფრანგეთში, გუვერნორ მორისმა, არ ცნო პეინი ამერიკის მოქალაქედ და ამით, იგი, ფაქტიურად, სასიკვდილოდ გაწირა. ლუქსემბურგის ციხეში მყოფი პეინი სასწაულებრივად გადაურჩა იაკობინელთა ტერორს და მძიმე ავადმყოფობას. 1794 წლის 27 ივლისს, მას შემდეგ, რაც იაკობინელებმა დაკარგეს ძალაუფლება, რასაც რობესპიერის სიკვდილით დასჯა მოჰყვა (28 ივლისი), პეინის მდგომარეობა შემსუბუქდა. საფრანგეთში შეერთებული შტატების ახალი ელჩის, შემდგომში აშშ-ს მეხუთე პრეზიდენტის, ჯეიმს მონროს დახმარებით, 1794 წლის 4 ნოემბერს, პეინი გაანთავისუფლეს და აღადგინეს ეროვნულ კონვენტში.

შემდგომ წლებში პეინმა განაგრძო პოლიტიკური და ლიტერატურული მოღვაწეობა. 1795 წელს მან გამოსცა „ტრაქტატი ხელისუფლების პირველი პრინციპების შესახებ" (*Dissertations on first principles of Government*), სადაც გააკრიტიკა საფრანგეთის 1795 წლის კონსტიტუცია. იმავე წელს გამოქვეყნდა „გონების ეპოქა. ნაწილი მეორე." ამ ნაწარმოებში პეინმა მკვეთრად გაილაშქრა ოფიციალური რელიგიის წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ თავად პეინი საკუთარ თავს დეისტად მიიჩნევდა, ამერიკაში „გონების ეპოქას" უარყოფითად შეხვდნენ და იგი ათეისტად მიიჩნიეს. მომდევნო წელს პეინმა გამოაქვეყნა „წერილი ჯორჯ ვაშინგტონს" (*Letter to George Washington*). იგი თვლიდა, რომ ვაშინგტონმა არ გადადგა ქმედითი ნაბიჯები მის დასახმარებლად მაშინ, როდესაც იგი ლუქსემბურგის ციხეში იმყოფებოდა.

1797 წელს პეინმა გამოაქვეყნა თავისი უკანასკნელი მნიშვნელოვანი ნაშრომი, „აგრარული სამართალი" (*Agrarian Justice*), სადაც საკუთრების არათანაბარი განაწილების წინააღმდეგ გაილაშქრა.

1798-1802 წლებში პეინი ცდილობდა, დაერწმუნებინა ნაპოლეონი ინგლისის დაპყრობის აუცილებლობაში, თუმცა, ნაპოლეონის ერთპიროვნულმა მისწრაფებებმა პეინს კორსიკელ მხედართმთავარზე გული აუცრუა. 1802 წელს იგი შეერთებულ შტატებში დაბრუნდა, მაგრამ 1802 წლის პოლიტიკური ატმოსფერო მკვეთრად განსხვავდებოდა 1787 წლის პოლიტიკური ატმოსფეროსაგან. „გონების ეპოქამ" და ვაშინგტონის წინააღმდეგ მიმართულმა წერილმა პეინს უფრო მეტი მტერი შესძინა, ვიდრე მეგობარი. მისი ერთადერთი სერიოზული დასაყრდენი თომას ჯეფერსონი იყო, რომელმაც პეინს თეთრ სახლში გაჩერების უფლებაც კი მისცა.* მიუხედავად ამისა, პეინმა მაინც ვერ მოახერხა ძველი სახელის აღდგენა. იგი გარდაიცვალა 1809 წელს, მარტოობაში, თითქმის ყველასგან მივიწყებული.

---

* იხ. Thomas Paine, *Rights of Man. Common Sense and Other Political Writings*, გვ. xiv.

ᲡᲘᲠᲘᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲘᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

გადმოცემის თანახმად, სიკვდილის წინ მან კვაკერთა საზოგადოებას სთხოვა, გარდაცვალების შემდეგ, კვაკერთა სასაფლაოზე დაეკრძალათ, თუმცა, უარი მიიღო.*

ასე დასრულდა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი კოსმოპოლიტი პიროვნების ცხოვრება. პეინი მოუსვენარი ადამიანი იყო, თუმცა, მას გულწრფელად სწამდა დემოკრატიული იდეალების და ერთნაირად იბრძოდა მათ დასაცავად როგორც ინგლისში, ასევე, ამერიკასა და საფრანგეთშიც. ამერიკაში ჩასვლის შემდეგ მან მთელი თავისი ცხოვრება ტირანიასთან ბრძოლასა და დემოკრატიული პრინციპების გავრცელებას შეალია. სწორედ ამაშია მისი უდიდესი დამსახურება.

* * *

„საღი აზრის" წარმატება, უპირველეს ყოვლისა, განპირობებული იყო მისი მარტივი სტილით. პეინმა თავისი „საღი აზრით" რიგით ამერიკელებს მიმართა და ისინი პოლიტიკური დისკუსიის მონაწილეებად აქცია. „დედამიწის ზურგზე ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები ჯერ არ განვითარებულა. ეს არ არის ქალაქის, საგრაფოს, პროვინციის, ან სამეფოს საქმე. ეს მთელი კონტინენტის საქმეა, რომელიც, სულ მცირე,

* იხ. E. Larkin, *Thomas Paine and the Literature of Revolution,* New York, Cambridge University Press, pp. 153-156. პეინის სიკვდილიდან რამდენიმე წლის შემდეგ, მისმა მოსწავლემ, უილიამ კობეტმა, პეინის ძვლები ინგლისში გადაასვენა, სადაც ისინი დაიკარგა (იხ. Thomas Paine, *Rights of Man. Common Sense and Other Political Writings,* გვ. xv). ეს, ალბათ, არცაა გასაკვირი, თუ მის ცხოვრებისეულ პერიპეტიებს გავითვალისწინებთ.

დედამიწის მოსახლეობის ერთ მერვედს მაინც მოიცავს [...] ეს არის კონტინენტური ერთობის, რწმენისა და ღირსების ჩასახვის ჟამი", – წერდა პეინი. ამით იგი ცდილობდა, აქტიურად ჩაერთო ამერიკელები დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში.

პეინი თანმიმდევრულად აცამტვერებს ბრიტანეთთან ერთიანობის მომხრე კოლონისტების არგუმენტებს. იგი აჩვენებს, რომ ბრიტანეთი, კოლონიებთან მიმართებაში, მუდამ საკუთარი ინტერესების გატარებას ცდილობდა: „ჩვენ ეტრაბახობდით იმით, რომ დიდი ბრიტანეთი გვიცავდა, მაგრამ იმაზე არ ვფიქრობდით, რომ მის მოტივს **დაინტერესება** შეადგენდა და არა **მიჯაჭვულობა;** რომ ის ჩვენ ჩვენი მტრებისაგან კი არ გვიცავდა ჩვენს გამო, არამედ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარ თავს იცავდა თავისი მტრებისაგან, რომლებთანაც ჩვენ საკამათო არაფერი გვქონდა." ბრიტანეთისაგან კოლონიებისთვის მიყენებული ზარალი გაცილებით აღემატება იმ სარგებელს, რომელიც კოლონიებს შეუძლიათ, ბრიტანეთთან ერთიანობით მიიღონ, – ამტკიცებდა პეინი. გარდა ამისა, ბრიტანეთი, პეინის აზრით, არასოდეს დაუშვებს კონტინენტის თავდაცვისუნარიანობის ზრდას. ამიტომ, ერთადერთი გამოსავალი ბრიტანეთისაგან განცალკევება და დამოუკიდებლობის გამოცხადებაა: „დაღუპულთა სისხლი და, მასთან ერთად, ბუნების ძალთა ხმა ცას შეჰღაღადებს: **„განშორების დროა!"** ბრიტანეთთან ერთიანობას გარდაუვალად მოჰყვება კონტინენტის დაღუპვა.

ასე რომ, დამოუკიდებლობა არის ერთადერთი მიზანი, რომელსაც ამერიკა უნდა ესწრაფვოდეს.

„ახლანდელი დრო უაღრესად ხელსაყრელია“, – წერდა პეინი. მისი გონივრულად გამოყენების შემთხვევაში, ამერიკა უდიდეს წარმატებას მიაღწევს: „ყველა წინაპირობა გვექნება საიმისოდ, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო კეთილშობილური და სრულყოფილი მმართველობა დავამყაროთ. ჩვენ შეგვიძლია, სამყაროს შენება თავიდან დავიწყოთ. ნოედან მოყოლებული, კაცობრიობას არ ახსოვს ისეთი მდგომარეობა, როგორიც დღესაა. სულ მალე ახალი სამყაროს დაბადების შემსწრენი გავხდებით.“

პეინი არწმუნებს თავის თანამოქალაქეებს, რომ ამერიკას თავისუფლად შეუძლია ბრიტანეთთან გამკლავება: „თავდაცვისათვის საჭირო ყველა მასალა ჩვენთან უხვად მოიპოვება. კანაფი საკმარისზე მეტი გვაქვს, ასე რომ, გემსართავის მასალის საჭიროებას ჩვენ არ განვიცდით. ჩვენი რკინა სხვა ქვეყნების რკინაზე უმჯობესია, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღით მსოფლიოში არავის ჩამოვუვარდებით. ქვემეხების ჩამოსხმა უსასრულოდ შეგვიძლია, გვარჯილასა და თოფისწამალს კი ყოველდღიურად ვაწარმოებთ. ჩვენი ცოდნა ყოველწუთიერად ივსება და ახალი გამოცდილებით მდიდრდება. გამბედაობა ჩვენი განუყრელი თვისებაა, ხოლო სიმამაცეს არასოდეს უღალატია ჩვენთვის.“

ბრიტანეთისაგან განცალკევების საკითხის გარდა, პეინი ვრცლად განიხილავს ინგლისის სახელმწიფო წყობასა და, ზოგადად, მონარქიის წარმოშობის საკითხებს. იგი აჩვენებს პირველის ნაკლოვანებას და მეორის ტირანულ ხასიათს. ნებისმიერი ხასიათის მონარქია და მემკვიდრეობითობის პრინციპი პეინისათვის პრინციპულად

მიუღებელია: „მიიჩნევა, რომ მეფეთა დღევანდელი მოდგმა კეთილშობილური წარმოშობისაა. სინამდვილეში კი, წარსულზე გადაფარებული მუქი საბურველის ჩამოგლეჯა და მათი თავდაპირველი აღზევებისათვის თვალის მიდევნება რომ შეგვეძლოს, ვნახავდით, რომ პირველი მეფე არაფრით აღემატება ყაჩაღთა მძვინვარე დაჯგუფების უფროსს.“ პეინი მიუთითებს წმინდა წერილზე და აჩვენებს, რომ მეფობის ინსტიტუტი ებრაელებმა წარმართთა მიბაძვით გადმოიღეს.

„საღ აზრში“ პეინი, ასევე, განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ამერიკის მომავალ სახელმწიფო წყობაზე. კონტინენტური ერთობის საფუძვლად იგი კონტინენტურ ქარტიას და თანაბარი წარმომადგენლითობის პრინციპს მიიჩნევს. მხოლოდ ასე შეიძლება მიღწეულ იქნეს კანონის უზენაესობა. **„ამერიკაში თავად კანონია მეფე.** აბსოლუტური მმართველობის დროს მეფეა კანონი, თავისუფალ ქვეყნებში კი კანონი (და არავინ სხვა) **უნდა** იყოს მეფე.“

რა მნიშვნელობა აქვს „საღ აზრს“ ჩვენთვის? რა გაკვეთილები შეიძლება გამოვიტანოთ მისგან? დღეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის დიდი ნაწილი უცხო ქვეყნის მიერაა ოკუპირებული, ასეთი ტექსტის მნიშვნელობა განსაკუთრებით დიდია. „საღი აზრი“ მიგვითითებს ერთიანობის, შეუდრეკელობისა და საკუთარი რესურსების გონივრულად გამოყენების აუცილებლობაზე. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყანა გაცილებით ჩამორჩება რესურსებით ცამეტ კოლონიას, ჩვენ მაინც თამამად შეგვიძლია ვთქვათ: „ეს არ არის მხოლოდ დღევანდელი დღის, მიმდინარე

წლის, ან თუნდაც ჩვენი ეპოქის საზრუნავი. შთამომავლობა, ფაქტიურად, ჩართულია მიმდინარე ბრძოლაში და ახლანდელი მოვლენები მეტნაკლები ხარისხით მასზე სამარადისო ზეგავლენას მოახდენს“...

* * *

„საღი აზრის“ თარგმანი შესრულებულია შემდეგი გამოცემიდან: Thomas Paine, *Rights of Man. Common Sense and Other Political Writings,* edited with an introduction and notes by Mark Philp, Oxford, Oxford University Press, 1998, pp. 1-59. შენიშვნები თარგმანში, რომლებიც ვარსკვლავითაა აღნიშნული, თავად პეინს ეკუთვნის. სარედაქციო შენიშვნები არაბული ციფრებითაა მოცემული. დაბოლოს, თარგმანის ტექსტზე გაწეული მუშაობისა და საგულისხმო შენიშვნებისათვის გულითადი მადლობა მინდა გადავუხადო წინამდებარე გამოცემის სამეცნიერო რედაქტორებს, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს – პროფ. თენგიზ ირემაძეს, პროფ. ლალი ზაქარაძესა და პროფ. დოდო ლაბუჩიძეს, ასევე, ამავე უნივერსიტეტის ასოცირებულ პროფესორს, ნინო ფიფიას და ჩემს მეგობრებს, ეკა გამრეკელაშვილსა და ვახტანგ გაფრინდაშვილს.

თომას პეინი

საღი აზრი

მიმართვა ამერიკის მაცხოვრებლებისადმი შემდეგი საინტერესო საკითხების შესახებ:

I. ზოგადად, ხელისუფლების წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ; მოკლე შენიშვნებით ინგლისის კონსტიტუციასთან დაკავშირებით.

II. მონარქიისა და ტახტის მემკვიდრეობის შესახებ.

III. განაზრებანი ამერიკული საკითხების ახლანდელი მდგომარეობის შესახებ.

IV. ამერიკის დღევანდელი შესაძლებლობების შესახებ, სხვა განაზრებებთან ერთად.

ახალი გამოცემა – რამდენიმე დამატებით ძირითად ტექსტში, რომელსაც თან ახლავს დანართი და მიმართვა ხალხისადმი, კვაკერებს[1] რომ უწოდებენ.

ადამიანისთვის უცხოა ყოველგვარი ბატონი,
შემოქმედი ზეცის გარდა,
ან იმათ გარდა, რასაც მას არჩევანი და
საზოგადო კეთილდღეობა განუწესებს.

თომსონი[2]



COMMON SENSE;

ADDRESSED TO THE

INHABITANTS

OF

AMERICA,

On the following interesting

SUBJECTS:

I. Of the Origin and Design of Government in general, with concise Remarks on the English Constitution.

II. Of Monarchy and Hereditary Succession.

III. Thoughts on the present State of American Affairs.

IV. Of the present ability of America, with some miscellaneous Reflections.

A NEW EDITION, with several Additions in the Body of the Work. To which is Added an APPENDIX; together with an Address to the People called QUAKERS.

Man knows no Master save creating HEAVEN,
Or those whom choice and common Good ordain.
THOMSON.

PHILADELPHIA:

PRINTED and SOLD by W. and T. BRADFORD.

M,DCC,LXXVI.

[PRICE ONE BRITISH SHILLING.]

შესავალი

საკარაუდოდ, მომდევნო გვერდებზე გამოთქმული შეხედულებები ჯერ კიდევ არაა საკმარისად თანამედროვე იმისათვის, რომ მათ საყოველთაო კეთილგანწყობა მოიპოვონ. ადამიანთა შორის დიდი ხნის განმავლობაში ფესვგადგმული ჩვევა, – არ იფიქრონ რაიმეზე, როგორც არასწორზე, – ზედაპირულ წარმოდგენას იძლევა მისი მართებულობის შესახებ და, თავდაპირველად, მძლავრ გამოძახილს ჰპოვებს წეს-ჩვეულების დასაცავად. თუმცა მღელვარება სწრაფად ცხრება. დრო უფრო მეტად ცვლის ადამიანებს, ვიდრე გონება.

რადგან ხანგრძლივი დროის განმავლობაში უხეში საშუალებებით ძალაუფლების ბოროტად გამოყენება, როგორც წესი, შედეგად იწვევს მისი მართებულობის ეჭვქვეშ დაყენებას (და, ასევე, იმ საკითხებშიც, რომლებიც არასდროს განიხილებოდნენ, დაჩაგრული მხარე რომ არ გაღიზიანებულიყო გამოკვლევის დასაწყებად) და რადგან ინგლისის მეფემ[3] საკუთარი უფლების საფუძველზე გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა პარლამენტისათვის იმაში, რასაც იგი მათ უფლებას უწოდებს,[4] და რადგან ასეთი კომბინაციით ამ ქვეყნის მშვიდობიანი მოსახლეობა სასტიკად იტანჯება, ამ უკანასკნელს ეჭვშეუვალი უფლება აქვს, გამოიკვლიოს ორივეს პრეტენზია და თანაბრად უკუაგდოს ორივე მათგანის უზურპაცია.

შემდგომ გვერდებზე ავტორი გულმოდგინედ

შეეცადა, თავი აერიდებინა ყოველგვარი პირადული საკითხისათვის. აქ ვერ წააწყდებით ცალკეული პიროვნების ქებას, ან გაკიცხვას. ბრძენსა და ღირსეულს არაფერში სჭირდება პამფლეტის ტრიუმფი, ხოლო ისინი, ვისი განწყობაც უსამართლო და მტრულია, თავად დაცხრებიან იმ შემთხვევაში, თუ მათი გამოსწორებისათვის ზედმეტი ძალისხმევა არ იქნება მიმართული.

ამერიკის საკითხი, ფართო გაგებით, მთელი კაცობრიობის საკითხიცაა. მრავალი გარემოება შეიქმნა (და წარმოიქმნება), რომელიც არა ადგილობრივი, არამედ საყოველთაო მნიშვნელობის მქონეა და რომელმაც კაცობრიობის ყველა გულშემატკივრის პრინციპებზე მოახდინა ზეგავლენა. მათი გრძნობებისათვის აღნიშნული გარემოებები და მათგან გამომდინარე შედეგები ინტერესმოკლებული როდია. ცეცხლითა და მახვილით ქვეყნის გაუდაბურება, მთელი კაცობრიობის ბუნებრივი უფლებებისადმი ომის გამოცხადება, ამ უფლებების დამცველთა აღგვა პირისაგან მიწისა – ეს საკითხები ყველა იმ ადამიანის საზრუნავს წარმოადგენს, ბუნებამ გრძნობის უნარით რომ დააჯილდოვა. ასეთ ადამიანთა რიცხვს განეკუთვნება **ავტორი,** მიუხედავად მისი პარტიული კუთვნილებისა.

P.S. ამ ახალი გამოცემის გამოქვეყნება[5] შეფერხდა იმ განზრახვით, რათა, საჭიროების შემთხვევაში, გათვალისწინებული ყოფილიყო ყველა ის მცდელობა, რომელიც დამოუკიდებლობის დოქტრინის უარყოფას ისახავდა მიზნად. რადგან დღემდე ასეთი შეპასუხება არ გამოცემულა, მომავალში, ის, ალბათ, არც გამოქვეყნდება. ასეთი

ლონისძიების საზოგადოებისათვის წარდგენის დრო, კარგა ხანია, რაც გასულია.

საზოგადოებისათვის სრულიად უსარგებლოა იმის ცოდნა, თუ ვინ არის აღნიშნული ნაწარმოების ავტორი, რადგან ყურადღებას იმსახურებს თავად დოქტრინა და არა პიროვნება. თუმცა, ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ავტორი არც ერთ პარტიას არ უკავშირდება და არც საჯარო, თუ კერძო გავლენის ქვეშ არ იმყოფება. იგი მხოლოდ გონებისა და მასზე დამყარებული პრინციპების ზეგავლენას აღიარებს.

ფილადელფია, 1776 წლის 14 თებერვალი

ზოგადად, ხელისუფლების წარმოშობისა და დანიშნულების შესახებ. მოკლე შენიშვნებით ინგლისის კონსტიტუციასთან დაკავშირებით

ზოგიერთმა ავტორმა იმდენად აურია ერთმანეთში საზოგადოებისა და ხელისუფლების ცნებები, რომ მათ შორის განსხვავება საერთოდ გაქრა, ან მხოლოდ ოდნავ თუ შენარჩუნდა. მაგრამ ისინი არა მხოლოდ განსხვავებულები არიან, არამედ წარმოშობითაც განირჩევიან ერთმანეთისაგან. საზოგადოება ჩვენი მოთხოვნილებების საფუძვლებზე წარმოიშობა, ხოლო ხელისუფლება ჩვენივე ბიწიერებიდან იღებს დასაბამს. პირველი ჩვენს ბედნიერებას დადებითად უწყობს ხელს ჩვენი გრძნობების გაერთიანებით, ხოლო მეორე – უარყოფითად, ჩვენი მანკიერებების ალაგმვით. ერთი ხელს უწყობს ურთიერთობას, მეორე განსხვავებებს წარმოშობს. პირველი დამცველია, მეორე კი – დამსჯელი.

საზოგადოება ნებისმიერ მდგომარეობაში სიკეთეა, ხოლო ხელისუფლება საუკეთესო მდგომარეობაშიც კი მხოლოდ აუცილებელი ბოროტებაა. ყველაზე უარეს შემთხვევაში, ის გაუსაძლისი ბოროტების სახეს იღებს. რადგან როდესაც ვიტანჯებით, ან ხელისუფლებისაგან ვიტანთ იგივე შევიწროებებს, რაც შეიძლება განგვეცადა, ქვეყანაში ხელისუფლება რომ არ არსებულიყო, ჩვენი უბედურება ასმაგდება იმაზე ფიქრით, რომ თავად ვუწყობთ ხელს იმ საშუალებებს, რომელთა გამოც ვიტანჯებით. ხელისუფლება, სამოსელის მსგავსად, დაკარგულ უბედნიერებაზე მიგვანიშნებს. მეფეთა სასახლენი სამოთხის ტალავერთა ნანგრევებზეა აშენებული. ადამიანის სინდისი წმინდა და აუმღვრეველი რომ ყოფილიყო და მის გადაწყვეტილებებს ყველა რომ უყოყმანოდ დამორჩილებოდა, მაშინ მას სხვა კანონმდებელი არც დასჭირდებოდა. მაგრამ რადგან ეს ასე არ არის, იგი მიიჩნევს, რომ აუცილებელია საკუთარი ქონების ნაწილის დათმობა დანარჩენი ნაწილის დაცვის უზრუნველსაყოფად. ამისკენ მას იგივე კეთილგონიერება უბიძგებს, რომელიც, ყველა სხვა შემთხვევაში, მას ორი ბოროტებიდან უფრო ნაკლების არჩევას ურჩევს. რადგან უსაფრთხოება ხელისუფლების ქეშმარიტ განზრახვასა და მიზანს წარმოადგენს, აქედან ცალსახად გამომდინარეობს, რომ ხელისუფლების ნებისმიერი ფორმა, რომელიც მინიმალური დანახარჯებითა და მაქსიმალური სარგებლიანობით ყველაზე მეტად უზრუნველყოფს უსაფრთხოებას ჩვენთვის, სასურველია ყველა დანარჩენისათვის.

იმისათვის, რათა სწორად გავიაზროთ ხელისუფლების დანიშნულება და მიზანი, დაეუშვათ, რომ ადამიანთა მცირე ჯგუფი დასახლდა დედამიწის რომელიღაც განცალკევებულ მხარეში, რომელიც მოწყვეტილია დანარჩენ მსოფლიოს. ამ შემთხვევაში, ისინი რომელიღაც ქვეყნის, ან სამყაროს პირველ მოსახლეობას განასახიერებენ. ამ ბუნებრივი თავისუფლების მდგომარეობაში საზოგადოება მათი უპირველესი ფიქრის საგანი შეიქნება. ამისკენ მათ ათასნაირი მიზეზი უბიძგებს. ერთი ადამიანის ძალა იმდენად არ შეესაბამება მის მოთხოვნილებებს,

ხოლო მისი გონება იმდენად შეუფერებელია მარადიული მარტოობისათვის, რომ იგი მალევე იწყებს სხვისი თანადგომისა და დახმარების ძიებას. სხვასაც, თავის მხრივ, იგივე ესაჭიროება. ოთხ თუ ხუთ ადამიანს ერთობლივად შეუძლიათ, ველურ ადგილებში მკვიდრად ნაგები საცხოვრებელი ააგონ. ერთ ადამიანს კი, შესაძლოა, მთელი ცხოვრების განმავლობაში მუშაობით წელი მოწყდეს, მაგრამ მაინც ვერაფერს მიაღწიოს. მარტომ ხე რომ მოჭრას, ამ ხეს ერთი გოჯითაც ვერ დაძრავს ადგილიდან და დაძვრა რომც მოახერხოს, სულ ერთია, მის აღმართვას მაინც ვერ შეძლებს. ამასობაში შიმშილიც თავს შეახსენებს და სამუშაოს მიტოვებას აიძულებს. შიმშილის მსგავსად, დანარჩენი მოთხოვნილებებიც თავისას მოითხოვენ. ავადმყოფობა და უიღბლობა მისთვის სიკვდილის მომასწავებელი იქნება. თუ არც ერთი და არც მეორე არ აღმოჩნდება სასიკვდილო, ეს ჯერ კიდევ არაა შეღავათი, რადგან მხოლოდ ერთიც კი საკმარისია, რათა მას სასიცოცხლო ძალები წაართვას და ისეთ მდგომარეობაში ჩააგდოს, რომ მასზე შეიძლება ითქვას, რომ იგი კი არ მოკვდება, არამედ გაცამტვერდება.

ასე რომ, აუცილებლობა, მიზიდულობის ძალის მსგავსად, მალე ჩვენს მოახალშენეებს ერთ საზოგადოებად შეაკავშირებდა. იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ისინი ერთმანეთის წინაშე სამართლიანობას შეინარჩუნებდნენ, ამ საზოგადოების ორმხრივი სიკეთეები ჩაანაცვლებდა და უსარგებლოს გახდიდა კანონითა და ხელისუფლების მიერ დაკისრებულ ვალდებულებებს. მაგრამ რადგან მხოლოდ ზეცაა მიუწვდომელი ცოდ-

ვებისათვის, გადმოსახლებასთან დაკავშირებული თავდაპირველი სირთულეების (რაც მათ საერთო საქმისთვის აკავშირებდა) დაძლევასთან ერთად, ბიწიერება აუცილებლად წარმოიქმნება. საზოგადოების წევრების მოვალეობის გრძნობა და ურთიერთმიჯაჭვულობა შესუსტებას დაიწყებს. ეს სისუსტე ხელისუფლების რაღაც ფორმის დამყარების აუცილებლობაზე მიუთითებს, რათა, ამის მეშვეობით, სიქველის ნაკლებობა იქნეს შევსებული.

რომელიმე მოსახერხებელი ხე მათი სამთავრობო სახლი შეიქნება. ამ ხის ტოტებქვეშ, შესაძლოა, მთელი კოლონია შეიკრიბოს საზოგადოებრივი საქმეების განსახილველად. შეგვიძლია დაბეჯითებით ვთქვათ, რომ მათი პირველი კანონები სხვა არაფერი იქნება, თუ არა წესები, რომელთა აღსრულებას მხოლოდ საჯარო გაკიცხვის შიში განაპირობებს. ამ პირველ პარლამენტში ყოველ მათგანს, ბუნებრივი უფლების ძალით, თავისი ადგილი ექნება.

მაგრამ, კოლონიის გაზრდასთან ერთად, საზოგადოებრივ საქმეთა რაოდენობაც გაიზრდება. მანძილი, რომელიც, კოლონიის წევრებს, შესაძლოა, ერთმანეთისაგან აცალკევებდეს, საკმაოდ მოუხერხებელს გახდის მათ შეკრებას ყოველი ცალკეული შემთხვევის დროს, როგორც ეს ხდებოდა ადრე, როცა მათი რაოდენობა ნაკლები იყო, მათ საცხოვრებლებს შორის მანძილი – მცირე, ხოლო საზოგადოებრივი საქმეები – ცოტა და უმნიშვნელო. ეს მათ დაანახებს, თუ რამდენად ხელსაყრელია, დათანხმდნენ საკანონმდებლო საქმიანობის გადაცემას გარკვეული რაოდენობის პირებისათვის, რომლებიც მთელი საზოგადოები-

დან აირჩევიან, რომლებსაც, სავარაუდოდ, იგივე ინტერესები აქვთ, რაც მათ ამომრჩევლებს და რომლებიც ისევე იმოქმედებენ, როგორც იმოქმედებდა მთელი საზოგადოება ერთად შეკრების შემთხვევაში. თუ კოლონია განაგრძობს ზრდას, აუცილებელი გახდება წარმომადგენელთა რაოდენობის გაზრდა. იმისათვის, რათა კოლონიის ყოველი ნაწილის ინტერესი დაცული იყოს, საუკეთესო გამოსავლად ჩათვლიან მთელის დაყოფას შესაბამის ნაწილებად, რათა თითოეულმა ნაწილმა წარმომადგენელთა განსაზღვრული რაოდენობა გააგზავნოს. ხოლო იმისათვის, რომ **არჩეულებმა** არასოდეს შეძლონ **ამომრჩევლებისაგან** განსხვავებული ინტერესების ჩამოყალიბება, კეთილგონიერება საზოგადოების წევრებს არჩევნების ხშირად ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითებს. რადგან, ამ გზის მეშვეობით, **ამორჩეულები**, რამდენიმე თვის შემდეგ, კვლავ **ამომრჩეველთა** მასას შეუერთდებიან, საზოგადოებრივი ნებისადმი მათი ერთგულება უზრუნველყოფილი იქნება მათივე გონივრული განსჯით – თავად არ შეუწყონ ხელი იმ ტოტის მოჭრას, რომელზედაც ისინი სხედან. რადგან ასეთი ხშირი მონაცვლეობა საზოგადოების ყველა ნაწილს შორის საერთო ინტერესს წარმოშობს, ისინი ორმხრივად და ბუნებრივად მხარს დაუჭერენ ერთმანეთს. სწორედ ამას (და არა მეფის უსაფუძვლო სახელს) ეფუძნება **ხელისუფლების სიძლიერე და ქვეშევრდომთა ბედნიერება.**

ხელისუფლების სათავე და მისი ძირები სწორედ აქ უნდა ვეძიოთ. სიქველის უძლურებამ, ემართა მსოფლიო, აუცილებლობით განაპირობა ხელისუფლების არსებობა. აქ, ასევე, მოცემულია ხელისუფლების დანიშნულება და მისი მიზანი, კერძოდ, თავისუფლება და უსაფრთხოება, და როგორადაც არ უნდა დაგვაბრმავოს სანახაობამ, როგორადაც არ უნდა მოტყუვდეს ჩვენი სმენა, რა ძლიერადაც არ უნდა აცდუნოს ცრურწმენამ ჩვენი ნება, რა მძლავრადაც არ უნდა ჩაახშოს პირადი სარგებლის მიღების სურვილებმა ჩვენი განსჯა, ბუნებისა და გონების მარტივი ხმა მაინც ჩაგვძახებს, რომ, რაც ზემოთ ვთქვით, ის მართალია.

მმართველობის ფორმის შესახებ ჩემი იდეა ბუნებაში არსებულ პრინციპს ეფუძნება, რომლის უკუგდებაც შეუძლებელია. ეს პრინციპი შემდეგში მდგომარეობს: რაც უფრო მარტივია საგანი, მით უფრო რთულია მისი გაფუჭება და მით უფრო ადვილია მისი აღდგენა გაფუჭების შემთხვევაში. ამ მაქსიმის გათვალისწინებით, გთავაზობთ რამდენიმე მოკლე შენიშვნას ინგლისის ესოდენ ნაქები კონსტიტუციის შესახებ. საყოველთაოდ აღიარებულია, რომ მისი შექმნის დროს, შავბნელ და ჩაგვრით აღსავსე ეპოქაში, ის მართლაც დიდებულ მიღწევას წარმოადგენდა. რადგან, როცა მსოფლიოში ყველგან ტირანია სუფევდა, მისგან სულ მცირედით გათავისუფლებაც კი შესანიშნავი გამოსავალი იყო. მაგრამ ადვილი საჩვენებელია, რომ ის არასრულყოფილი და ცვლილებებისადმი მიდრეკილია; რომ მას არ ძალუძს იმის განხორციელება, რის პირობასაც იძლევა.

აბსოლუტურ მონარქიებს (მიუხედავად იმისა, რომ ისინი კაცობრიობის სამარცხვინო ლაქას წარმოადგენენ) ის უპირატესობა აქვთ, რომ ისინი მარტივები არიან. თუ ხალხი იტანჯება, მან

იცის თავისი ტანჯვის გამომწვევი მიზეზი, იცის ტანჯვის წამალიც. შესაბამისად, ის არ იბნევა მიზეზებისა და ხსნის საშუალებების მრავალფეროვნებით. ინგლისის კონსტიტუცია კი იმდენად ჩახლართულია, რომ ხალხი, შესაძლოა, წლების განმავლობაში იტანჯებოდეს და მაინც ვერ შეძლოს იმის დადგენა, თუ სადაა მისი უბედურების გამომწვევი მიზეზი. ერთნი ერთგან დაიწყებენ ძებნას, მეორენი – სხვაგან და ყოველი პოლიტიკური მკურნალი განსხვავებულ წამალზე მიუთითებს.

ვიცი, რომ ადგილობრივი და მყარად დამკვიდრებული ცრურწმენების დაძლევა რთული საქმეა, მაგრამ თუ თავს უფლებას მივცემთ და ინგლისის კონსტიტუციის შემადგენელ ნაწილებს განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ ისინი წარმოადგენენ ორი ძველი ტირანიის მავნე გადმონაშთებს, რომლებიც ზოგიერთ ახალ რესპუბლიკურ ელემენტებთანაა შერეული.

პირველი – მონარქიული ტირანიის გადმონაშთი მეფის სახით.

მეორე – არისტოკრატიული ტირანიის გადმონაშთი პერების[6] სახით.

მესამე – ახალი რესპუბლიკური ელემენტები თემთა პალატის[7] წევრების სახით, რომელთა სიქველეზეც დამოკიდებულია ინგლისის თავისუფლება.

პირველი ორი, მემკვიდრეობითობის ძალით, ხალხისაგან დამოუკიდებელია, ამიტომ, **კონსტიტუციური აზრით,** სახელმწიფოს თავისუფლებაში მათ არანაირი წვლილი არ შეაქვთ.

იმის მტკიცება, რომ ინგლისის კონსტიტუცია სამი ურთიერთგამაწონასწორებელი ძალის **ერთიანობას** წარმოადგენს, უბრალოდ, სასაცილოა. ასეთ სიტყვებს აზრი არა აქვს, ან, ისინი ურთიერთგამომრიცხავია.

იმის მტკიცება, რომ თემთა პალატა მეფეს აკონტროლებს, ორ რამეს გულისხმობს:

პირველი – მეფის ნდობა გადაუმოწმებლად შეუძლებელია. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, აბსოლუტური ძალაუფლებისაკენ სწრაფვა მონარქიის თანდაყოლილ ავადმყოფობას წარმოადგენს.

მეორე – თემთა პალატა, რომელიც ამ მიზნით იქნება არჩეული, სამეფო ხელისუფლებაზე უფრო გონივრულია, ან მეტ ნდობას იმსახურებს.

მაგრამ იგივე კონსტიტუცია, რომელიც თემთა პალატას უფლებას აძლევს, გააკონტროლოს მეფე ბიუჯეტზე უარის თქმით, შემდეგ მეფეს ანიჭებს თემთა პალატის კონტროლის უფლებას: მეფე უფლებამოსილია, უარყოს თემთა პალატის სხვა კანონპროექტები. ეს კიდევ ერთხელ გულისხმობს, რომ მეფე უფრო გონიერია, ვიდრე ისინი, რომლებიც ადრე მასზე გონივრულებად იქნენ ჩათვლილნი. ნამდვილად სრული აბსურდია!

მონარქიულ წყობაში არის რაღაც, რაც ძალზე სულელურია. თავდაპირველად მონარქია აღუკვეთს ადამიანს ინფორმაციის წყაროებს, ხოლო შემდეგ უფლებამოსილებას ანიჭებს მას, იმოქმედოს ისეთ შემთხვევებში, როდესაც ყველაზე მეტად არის განსჯა საჭირო. მეფის

სტატუსი ამ სტატუსის მქონეს სამყაროსგან აცალკევებს, თუმცა, ამავე დროს, მეფის მოვალეობა მისგან სამყაროს საფუძვლიან ცოდნას მოითხოვს. ეს განსხვავებული ნაწილები არაბუნებრივად უპირისპირდებიან და ანადგურებენ ერთმანეთს, რაც მთელი წყობის აბსურდულობასა და უსარგებლობაზე მიუთითებს.

ზოგიერთი ავტორი შემდეგნაირად ხსნის ინგლისის კონსტიტუციას: ერთია მეფე, – ამბობენ ისინი, – და მეორეა ხალხი. პერთა პალატა[8] მეფის ინტერესებს გამოხატავს, თემთა პალატა კი – ხალხისას. მაგრამ ეს ოჯახურ განხეთქილებას უფრო ჰგავს და, თუმცა ეს მსჯელობები კეთილხმოვანებით გამოირჩევიან, თუ მათ უფრო საფუძვლიანად გამოვიკვლევთ, ვნახავთ, რომ ისინი ფუჭი და ორაზროვანნი არიან. თუ იმის აღსაწერად, რისი არსებობაც შეუძლებელია, ან, რაც იმდენად გაუგებარია, რომ აღწერას საერთოდ არ ექვემდებარება, თუნდაც ყველაზე მშვენიერ მსჯელობებს თუ გამოვიყენებთ, შედეგად მხოლოდ ცარიელ სიტყვებს მივიღებთ. და ეს ყოველთვის ასე იქნება. ასეთმა სიტყვებმა, შესაძლოა, სმენა დაატკბონ, მაგრამ ისინი ვერაფერს შესძენენ გონებას. ეს ახსნა შეიცავს წინა შეკითხვას, კერძოდ: **როგორ აღმოჩნდა მეფის ხელთ ძალაუფლება, რომლის ნდობაც ხალხს ეშინია და რომლის შემოწმებაც ყოველთვის უწევს?** ასეთი ძალაუფლება გონიერი ხალხისგან საჩუქრად მიღებული ვერ იქნება. ასევე, არც ერთი ძალაუფლება, **რომელიც შემოწმებას საჭიროებს,** ღვთივბოძებული ვერ იქნება. თუმცა, კონსტიტუციის დადგენილებები ასეთი ძალაუფლების არსებობას გულისხმობს.

მაგრამ კონსტიტუციის დადგენილება მის ამოცანას არ შეესაბამება. საშუალებებს არ სურთ, ან არ შეუძლიათ მიზნის მიღწევა და მთელი წამოწყება თვითმკვლელობის ტოლფასია. რადგან მძიმე წონა ყოველთვის თან წაიყოლებს მსუბუქ წონას და რადგან მანქანის ყველა ბორბალი ერთი ბორბლით მოდის მოძრაობაში, გასარკვევი რჩება, თუ რომელი ძალაუფლებაა, კონსტიტუციის მიხედვით, ყველაზე მეტი წონის მქონე, რადგან სწორედ ის იქნება მმართველი ძალა. სხვები (ან მათი ნაწილი) ხელს შეუშლიან, ან, როგორც იტყვიან ხოლმე, გააკონტროლებენ მოძრაობის სიჩქარეს. თუმცა, რადგან ისინი ვერ შეძლებენ მის შეჩერებას, მათი მცდელობები უშედეგო იქნება. პირველი მამოძრავებელი ძალა, საბოლოოდ, მაინც თავისას გაიტანს და, დროსთან ერთად, მოძრაობის სიჩქარესაც გაზრდის.

ის, რომ ინგლისის კონსტიტუციაში სამეფო ხელისუფლება გადამწყვეტ როლს თამაშობს, მტკიცებას არ საჭიროებს. ასევე, აშკარაა, რომ მთელი მისი მნიშვნელობა და გავლენა თანამდებობებისა და პენსიების გაცემას ემყარება. ასე რომ, ჩვენ, მართალია, საკმაოდ გონივრულები აღმოვჩნდით საიმისოდ, რათა საგულდაგულოდ ჩაგვერაზა კარი აბსოლუტური მონარქიისათვის, თუმცა, ამავე დროს, საკმარისი სისულელე გამოვიჩინეთ და ამ კარის გასაღები სამეფო ხელისუფლებას ჩავაბარეთ.

ინგლისელთა ცრურწმენა მათი ხელისუფლების (მეფის, ლორდთა და თემთა პალატის) სასარგებლოდ, უფრო მეტად მათი ეროვნული სიამაყიდან მომდინარეობს, ვიდრე გონებიდან. ეჭვს გარეშეა, რომ ინდივიდები, ზოგიერთ

სხვა ქვეყანასთან შედარებით, ინგლისში უფრო უსაფრთხოდ გრძნობენ თავს, მაგრამ მეფის **ნება** ისეთივე **კანონია** ბრიტანეთში, როგორც საფრანგეთში. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ეს ნება მეფის მიერ სიტყვიერად როდი გამოიხატება; ხალხისათვის ის ცნობილი ხდება საპარლამენტო აქტის ყველაზე მრისხანე ფორმით. ჩარლზ პირველის ხვედრმაᲬ მეფენი უფრო ცბიერები გახადა, მაგრამ – არა სამართლიანები.

ამრიგად, გვერდზე რომ გადავდოთ ყოველგვარი ეროვნული სიამაყე და ცრურწმენა მმართველობის სახეებისა და ფორმების სასარგებლოდ, ნათელი გახდება მარტივი ჭეშმარიტება: სამეფო ხელისუფლება ისეთივე დესპოტური რომ არაა ინგლისში, როგორც თურქეთში, ეს **მხოლოდ და მხოლოდ ხალხის და არა ხელისუფლების დამსახურებაა.**

გამოკვლევა მმართველობის ინგლისური ფორმის **კონსტიტუციური შეცდომების** შესახებ დღესდღეობით უაღრესად საჭიროა. ჩვენ ვერასოდეს ვიქნებით სამართლიანები სხვების მიმართ, თუ რაღაც გაბატონებული მიდრეკილების გავლენის ქვეშ ვიმყოფებით. ასე რომ, ვერც საკუთარი თავის მიმართ გამოვიჩენთ სამართლიანობას, ვიდრე მყარად ფესვგადგმული ცრურწმენების ტყვეობაში ვიქნებით მომწყვდეულნი. იმ ადამიანს, რომელიც მეძავსაა მიჯაჭვული, არ ხელენიფება მეუღლის არჩევა, ან მისი განსჯა. ასევე, ჩვენი ნებისმიერი ცრურწმენა ბიწიერი მთავრობის სასარგებლოდ, უკეთესის დანახვის შესაძლებლობას არ მოგვცემს.

მონარქიისა და ტახტის მემკვიდრეობის შესახებ

რადგან, შესაქმის მიხედვით, ადამიანები თავდაპირველად თანასწორნი იყვნენ, ამ თანასწორობის დარღვევა მხოლოდ მოვლენათა შემდგომი განვითარებით იყო შესაძლებელი. მდიდრებსა და ღარიბებს შორის არსებული განსხვავებები, შესაძლოა, მნიშვნელოვანწილად აიხსნას ისეთი უხეში და უწმაწური სიტყვებისადმი მიმართვის გარეშე, როგორიცაა ჩაგვრა და სიძუნწე. ჩაგვრა ხშირად სიმდიდრის **შედეგია** და იშვიათად (ან სულაც არ) წარმოადგენს **საშუალებას** სიმდიდრის მისაღწევად. სიძუნწე ადამიანს უკიდურესი სიღატაკისაგან კი დაიცავს, თუმცა ის მას, ჩვეულებრივ, ზედმეტად მფრთხალს ხდის და სიმდიდრის დაგროვებაში ხელს უშლის.

მაგრამ არსებობს სხვა, უფრო დიდი განსხვავება, რომლისთვისაც ვერ გამოვძებნით ჭეშმარიტად ბუნებრივ, ან რელიგიურ მიზეზს: ეს არის ადამიანთა დაყოფა მეფეებად და ქვეშევრდომებად. კაცი და ქალი ბუნებისაგან დადგენილი განსხვავებებია, კეთილი და ბოროტი კი – ზეცისაგან. გამოსაკვლევია ის საკითხი, თუ როგორ ამაღლდა ძალუმად ადამიანთა ერთი გვარი სხვებთან შედარებით, თუ როგორ მოახერხა მან, ახალი სახეობის მსგავსად, დანარჩენებისაგან გამორჩევა. ასევე, გასარკვევია, ეს ახალი გვარი კაცობრიობის ბედნიერებას უწყობს ხელს, თუ უბედურებას.

წმინდა წერილის თანახმად, კაცობრიობის

გარიჟრაჟზე მეფეები არ არსებობდნენ. შესაბამისად, არც ომები იყო. კაცობრიობა ქაოტურ მდგომარეობაში მეფეთა სიამაყემ ჩააგდო. უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში, უმეფო ჰოლანდიაში უფრო მეტი მშვიდობა სუფევდა, ვიდრე ევროპის ნებისმიერ სხვა მონარქიულ სახელმწიფოში. ძველი დრო ადასტურებს ამ შენიშვნას: პირველი პატრიარქების მშვიდ და იდილიურ ცხოვრებაში ბედნიერების რაღაც კვალი მაინც შეინიშნება. ყოველივე ეს უკვალოდ გაქრება, თუ ებრაელთა სამეფოს ისტორიას განვიხილავთ.

სამეფო მმართველობა მსოფლიოში პირველად წარმართებმა დანერგეს, ისრაელის შვილებმა ეს წესი მათგან გადმოიღეს. ეს იყო ეშმაკის ყველაზე უფრო მზაკვრული გამოგონება კერპთაყვანისმცემლობის ხელშესაწყობად. წარმართები ღვთაებრივ პატივს მიაგებდნენ თავიანთ გარდაცვლილ მეფეებს, ქრისტიანულმა სამყარომ კი ცოცხალი მეფეებისადმი პატივის მიგებით აღნიშნული ჩვეულება გააუმჯობესა. რამდენად მკრეხელურია **წმინდა უდიდებულესობის** ტიტული, რომლითაც მიმართავენ ჭიაყელას, რომელიც თავისი ბრწყინვალების ზენიტში მტვრად იქცევა ხოლმე.

ერთი ადამიანის ასეთი ამაღლება სხვა ადამიანებზე გაუმართლებელია თანაბარი ბუნებრივი უფლებების საფუძველზე. ასევე, შეუძლებელია მისი დაცვა წმინდა წერილის ავტორიტეტზე მითითებით, რადგან ყოვლისშემძლე უფლის ნება, გედეონისა და წინასწარმეტყველ სამუელის[10] მიერ გამოხატული, აშკარად ეწინააღმდეგება მეფეთა მმართველობას. წმინდა წერილში არსებული ანტიმონარქიული ადგილები

მეტად ოსტატურად იყო მიჩქმალული მონარქიული მმართველობების მიერ, მაგრამ აღნიშნული ადგილები ნამდვილად იმსახურებს იმ ქვეყნების ყურადღებას, სადაც მმართველობა ჯერ კიდევ ჩამოსაყალიბებელია. „მიეცით კეისარს კეისრისა"[11] წმინდა წერილის დებულებაა, რომელსაც სასამართლო ხელისუფლება ემყარება, მაგრამ ეს დებულება მონარქიული მმართველობის მხარდასაჭერად არ გამოდგება, რადგან ებრაელებს იმ პერიოდში მეფე არ ჰყავდათ, ისინი რომაელთა ქვეშევრდომები იყვნენ.

თითქმის სამი ათასი წელი გავიდა სამყაროს შექმნიდან მოსეს მიერ გადმოცემული შესაქმის მიხედვით, ვიდრე ებრაელებმა საბედისწერო შეცდომა დაუშვეს და მეფე მოითხოვეს. მანამდე მმართველობის მათი ფორმა თავისებური რესპუბლიკა იყო, რომელსაც მსაჯული და ტომთა უხუცესები განკარგავდნენ (განსაკუთრებული შემთხვევების გარდა, როდესაც საქმეში ყოვლისშემძლე უფალი ერეოდა). მეფეები მათ არ ჰყავდათ და ამ წოდებით, ციურ ძალთა უფლის გარდა, ნებისმიერი არსების მოხსენება ცოდვად ითვლებოდა. თუ სერიოზულად დავფიქრდებით იმ კერპთაყვანისმცემლურ მოწიწებაზე, რომელიც მეფეებისკენაა მიმართული, არ გაგვიკვირდება, რომ ყოვლისშემძლე უფალი (რომელიც მუდამ გულმოდგინედ იცავს საკუთარ ღირსებას) არ მოიწონებს მმართველობის იმ ფორმას, რომელიც ასე მკრეხელურად არღვევს ზეციურ უფლებებს.

წმინდა წერილში მონარქია განხილულია, როგორც ებრაელთა ერთ-ერთი ცოდვა, რის გამოც ისინი წყევლას იმსახურებენ. ამ ამბის ისტორია

ყურადღებას იმსახურებს.

როდესაც ისრაელის შვილები მიდიელთა უღელქვეშ იმყოფებოდნენ, გედეონმა, მცირე რაზმთან ერთად, მჩაგვრელთა წინააღმდეგ გაილაშქრა და, უფლის ჩარევის მეშვეობით, გამარჯვება მოიპოვა. წარმატებით ფრთაშესხმულმა ებრაელებმა გამარჯვება გედეონის მხედართმთავრულ უნარებს მიაწერეს და მას მეფობა შესთავაზეს. *„იბატონე ჩვენზე შენც, შენმა შვილმაც და შენმა შვილთაშვილმაც“*, – უთხრეს მათ გედეონს.[12] აქ ცდუნების საფრთხე უდიდესი იყო, რადგან შემოთავაზება, სამეფოს გარდა, მემკვიდრეობითობის პრინციპსაც გულისხმობდა. მაგრამ ღვთისმოსავმა გედეონმა მათ ასეთი პასუხი გასცა: *„მე ვერ ვიბატონებ თქვენზე და ვერც ჩემი შვილი იბატონებს თქვენზე, უფალმა იბატონოს თქვენზე!“*[13] ყველაფერი დღესავით ნათელია: გედეონი პატივზე როდი ამბობს უარს, მაგრამ იგი უარყოფს ამ პატივის მისთვის მინიჭების უფლებას. იგი არც ყალბი მადლიერების გამოხატვით ემლიქვნელება ებრაელებს, არამედ წინასწარმეტყველთათვის დამახასიათებელი დამაჯერებლობით, მათ თავიანთი ნამდვილი ბატონის, ზეციური მეუფისადმი უგულისყურობაში ადანაშაულებს.

თითქმის ას ოცდაათი წლის შემდეგ ებრაელებმა კვლავ იგივე შეცდომა დაუშვეს. მათი უსაზღვრო სწრაფვა წარმართთა კერპთაყვანისმცემლური წეს-ჩვეულებებისადმი ახსნას არ ექვემდებარება. მას შემდეგ, რაც ებრაელებმა შეიტყვეს სამუელის ორი ვაჟის უწესობის შესახებ, რომელთაც რაღაც საერო საქმეები ჰქონდათ ჩაბარებული, ისინი მოულოდნელად ხმაუ-

[illegible] მეცვივდნენ სამუელთან და უთხრეს მას: *„შენ მოხუცდი, შენი შვილები კი არ მიჰყვებიან შენს გზას. დაგვიდგინე ახლა მეფე, რომ სხვა ხალხების წესისამებრ განგვსჯიდეს.“*[14] აქ შეუძლებელია არ აღვნიშნოთ, რომ მათი განზრახვა მანკიერი იყო. კერძოდ, მათ სურდათ, რომ სხვა ხალხების, წარმართების **მსგავსნი** ყოფილიყვნენ მაშინ, როდესაც მათი ჭეშმარიტი დიდება სრულიად საპირისპირო იყო. *„არ მოეწონა ეს ამბავი სამუელს, როცა თქვეს, მეფე მოგვეციო მსაჯულად. მაშინ შეევედრა სამუელი უფალს. უთხრა უფალმა სამუელს: შეისმინე ხალხის ყოველი სიტყვა, რასაც გეტყვის, რადგან შენ კი არ უარგყვეს, არამედ მე უარმყვეს თავიანთ მეფედ. როგორც იქცეოდნენ იმ დღიდან, როცა ეგვიპტიდან გამოვიყვანე, დღემდე, როცა დამივიწყეს და უცხო ღმერთებს დაემონენ, ასევე გექცევიან შენც. ახლა შეისმინე მათი სიტყვა, ოღონდ გააფრთხილე და აუხსენი უფლებები მეფისა, რომელმაც მათზე უნდა იმეფოს;“*[15] მაგრამ არა რომელიმე კერძო მეფის უფლებები, არამედ ზოგადად ამქვეყნიური მეფეების უფლებები, რომელთა წესების გადმოღებასაც ისრაელის ხალხი ასე ძალუმად ესწრაფვოდა. დროის დიდი მონაკვეთისა და წეს-ჩვეულებათა განსხვავების მიუხედავად, ეს თვისება დღესაც არ კარგავს პოპულარობას. *„უთხრა სამუელმა უფლის სიტყვები ხალხს, მეფეს რომ მოითხოვდნენ მისგან. უთხრა: აი, რა უფლებები ექნება მეფეს, რომელიც იმეფებს თქვენზე: წაიყვანს თქვენს შვილებს და თავის ეტლებთან და ცხენებთან დაიყენებს და ირბენენ მისი ეტლის წინ* (ეს აღწერა ემთხვევა ადამიანებზე შთაბეჭდილების

მოხდენის თანამედროვე მეთოდებს). დანიშნავს მათ ათასისთავებად და ორმოცდაათისთავებად, თავის ყანის მხვნელებად და თავისი სამკალის მოსამკელად, თავისი საბრძოლო საჭურველისა და ეტლების მკეთებლებად. აიყვანს თქვენს ასულებს მენელსაცხებლებად, მზარეულებად და პურის მცხობლებად (ეს ადგილი აღწერს მეფეთა ხარჯებს და მათ ფუფუნებას, ასევე, მათ მიერ ხალხის ჩაგვრას). წაგართმევთ საუკეთესო ყანებს, ვენახებსა და ზეთისხილის ბაღებს და თავის მორჩილებს დაურიგებს. მეათედს აიღებს თქვენი ნათესებიდან და ვენახებიდან და თავის კარისკაცებსა და მორჩილებს დაურიგებს (აქედან ჩანს, რომ მექრთამეობა, კორუფცია და ფავორიტიზმი მეფეთა უცვლელ მანკიერებებს წარმოადგენს). წაგართმევთ საუკეთესო ყმებს, მხევლებს, მსახურ ბიჭებს, სახედრებს და თავის საქმეზე ამსახურებს. წაიღებს მეათედს თქვენი ფარიდან და თქვენც მისი ყმები გახდებით. მაშინ მოჰყვებით წუწუნს თქვენს არჩეულ მეფეზე, ***მაგრამ არ მოგისმენთ უფალი.“***[16] ამით აიხსნება მონარქიის უწყვეტი არსებობა. რამდენიმე კეთილი მეფის არსებობა, რომლებიც ამ ამბების შემდეგ ცხოვრობდნენ, ამ ტიტულს წმინდანობის შარავანდედით ვერ მოსავს და ვერც მისი წარმოშობის ცოდვილიანობას ჩქმალავს. იმ ხოტბა-დიდებაში, რომლითაც დავითია[17] შემკობილი, იგი არსადაა მოხსენებული **ოფიციალურად, როგორც მეფე.** იგი მხოლოდ ღვთისთვის სასურველ ადამიანადაა მოხსენებული. „*არ დაუჯერა ხალხმა სამუელს. თქვეს: არა და არა, მეფე უნდა გვესვას. ჩვენც ისეთები უნდა ვიყოთ, როგორც სხვა ხალხები არიან. ჩვენი მეფე*

განგვსჯის ჩვენ, წინ წაგვიძღვება და ჩვენი გულისთვის იბრძოლებს.“[18] სამუელი განაგრძობდა მათ დარწმუნებას, მაგრამ ამაოდ. იგი ადანაშაულებდა მათ უმადურობაში, მაგრამ შედეგი არც ამას გამოულია. როცა სამუელი დარწმუნდა, რომ ებრაელები საბოლოოდ იყვნენ მიცემული უგუნურებას, მან წამოიყვირა: „*შევსთხოვ უფალს და მოავლენს იგი ჭექა-ქუხილსა და წვიმას* (მაშინ ეს სასჯელი იყო, რადგან ხორბლის მკის დრო იდგა), *რომ იცოდეთ და ნახოთ, რა დიდია თქვენი ბოროტება, უფლის წინაშე რომ ჩაიდინეთ,* ***როცა მეფე მოითხოვეთ.*** *შესთხოვა სამუელმა უფალს და მოავლინა უფალმა ჭექა-ქუხილი და წვიმა იმ დღეს. ძლიერ შეეშინდა ხალხს უფლისა და სამუელისა. უთხრა ხალხმა სამუელს: შეევედრე უფალს, შენს ღმერთს, შენს მორჩილთა გულისათვის, რომ არ დავიხოცოთ, რადგან* ***მთელს ჩვენს ცოდვებს ის ბოროტებაც დავუმატეთ, რომ მეფე მოვითხოვეთ.“***[19] აღნიშნული ადგილები წმინდა წერილებიდან პირდაპირია და ერთმნიშვნელოვანი. ისინი იმთავითვე გამორიცხავს ყოველგვარ ორაზროვან ახსნა-განმარტებას. ის, რომ აქ ყოვლისშემძლე უფალმა გამოხატა თავისი გულისწყრომა მონარქიული მმართველობის მიმართ, ჭეშმარიტია, ან კიდევ წმინდა წერილი ცდება. საკმაო საფუძველი გვაქვს ვირწმუნოთ, რომ კათოლიკურ ქვეყნებში სამეფო ხელისუფლებას არანაკლები წვლილი მიუძღვის წმინდა წერილის ხალხისგან მიჩქმალვაში, ვიდრე სამღვდელოებას. ეს იმიტომ, რომ მონარქია სხვა არაფერია, თუ არა პოლიტიკური მმართველობის სახით მოვლენილი პაპიზმი.

მონარქიის ბოროტებას ჩვენ ტახტის მემ-

კვიდრეობითობის ბოროტებაც მივუმატეთ. თუ პირველი საკუთრივ ჩვენ გვაკნინებს და გვამდაბლებს, მეორე, რომელიც უფლებადაა გამოცხადებული, შთამომავლობის შეურაცხყოფა და მისი მოტყუებაა. რადგან ყველა ადამიანი იმთავითვე თანასწორია, არავის არ უნდა ჰქონდეს **თანდაყოლილი** უფლება, თავის ოჯახს, ყველა დანარჩენ ოჯახთან შედარებით, მარადიული უპირატესობა მიანიჭოს და სამუდამოდ მათზე მაღლა დაადგინოს. ადამიანს შეუძლია, თავისი თანამედროვეებისგან **გარკვეული** პატივისცემა დაიმსახუროს, თუმცა, მისი შთამომავლები, შესაძლოა, სრულიად უღირსნი აღმოჩნდნენ იმისათვის, რომ მემკვიდრეობით მიიღონ ეს პატივი. ტახტის მემკვიდრეობითობის პრინციპის აბსურდულობის დამამტკიცებელი ერთ-ერთი უძლიერესი **ბუნებრივი** არგუმენტი ისაა, რომ მის უარმყოფელად თავად ბუნება გვევლინება. წინააღმდეგ შემთხვევაში, **ლომის** ნაცვლად **ვირის** მოვლინებით, ის ასე მწარედ არ დასცინებდა ამ პრინციპს.[20]

მეორეც, რადგან თავიდან არც ერთ ადამიანს არ შეეძლო, ჰქონოდა სხვა საზოგადოებრივი პატივი, გარდა იმისა, რაც მას მიანიჭეს, ამდენად, ამ პატივის მიმნიჭებლები ვერ შეძლებდნენ შთამომავლობის უფლების გადაცემას. მართალია, მათ შეეძლოთ, ეთქვათ: „ჩვენ აგირჩიეთ შენ ჩვენს მმართველად“, მაგრამ მათ არ შეეძლოთ ეთქვათ შემდეგი სიტყვები საკუთარი შვილებისადმი აშკარა უსამართლობის მიყენების გარეშე: „დაე, შენმა შვილებმა და შვილიშვილებმა იმეფონ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებზე სამარადჟამოდ“, რადგან ადვილად შესაძლებელია,

რომ ასეთი არაგონივრული, უსამართლო და არაბუნებრივი შეთანხმება, შემდგომი მემკვიდრის მეფობის დროს, მათ თაღლითის, ან ბრიყვის მმართველობის ქვეშ მოაქცევდა. ბრძენ ადამიანთა უმრავლესობა თავის კერძო შეხედულებებში მემკვიდრეობითი უფლების მიმართ უკიდურეს ზიზღს გამოხატავდა, თუმცა, ეს ისეთი ბოროტებაა, რომელსაც, დამკვიდრების შემთხვევაში, ოღლად ვერ ამოძირკვავ. ბევრი ადამიანი მას შიმის გამო ემორჩილება, სხვები – ცრურწმენათა გამო, ხოლო ყველაზე უფრო ძლიერნი მეფესთან ერთად იყოფენ სხვების ძარცვით მიღებულ სიმდიდრეს.

მიიჩნევა, რომ მეფეთა დღევანდელი მოდგმა ქეთილშობილური წარმოშობისაა. სინამდვილეში კი, წარსულზე გადაფარებული მუქი საბურველის ჩამოგლეჯა და მათი თავდაპირველი აღზევებისათვის თვალის მიდევნება რომ შეგვეძლოს, ვნახავდით, რომ პირველი მეფე არაფრით აღემატება ყაჩაღთა მძვინვარე დაჯგუფების უფროსს, რომელსაც ველურმა მანერებმა, ან გამორჩეულმა ცბიერებამ მძარცველთა მეთაურობა მოუპოვა; რომელიც ძალაუფლების გაზრდითა და ძარცვა-გლეჯის გაძლიერებით ძრწოლით აღავსებდა მშვიდობიან და უმწეო მოსახლეობას, რათა მათ ხშირი გამოსასყიდების მეშვეობით მოეპოვებინათ უსაფრთხოება. თუმცა მისი ამომრჩევლები აზრადაც არ გაივლებდნენ მემკვიდრეობის უფლების მინიჭებას მისი შთამომავლებისათვის, რადგან მათი მუდმივი გამორიცხვა შეუთავსებელი იქნებოდა იმ თავისუფალ და შეუზღუდავ პრინციპებთან, რომელთა თანახმადაც ისინი ცხოვრობდნენ. ამიტომაც, მემკვი-

დრეობითობის პრინციპი, მონარქიის გარიჟრაჟზე, მოთხოვნის ფორმით, შეუძლებელია, რომ არსებულიყო. მას უფრო რაღაც შემთხვევითის, ან დამატებითის სახე ექნებოდა. მაგრამ, რადგან იმ ეპოქის შესახებ თითქმის არ მოიპოვება წერილობითი წყაროები, ხოლო ტრადიციული ისტორია ზღაპრებით იყო სავსე, რამდენიმე თაობის შემდეგ, არავითარ სირთულეს არ წარმოადგენდა თავისი დროის შესატყვისი რაიმე ცრუ ამბის შეთითხვნა მუჰამედის მსგავსად, რათა მემკვიდრეობის უფლება ხალხისთვის თავს მოეხვიათ. ალბათ, იმ უწესრიგობამ, რომელიც საფრთხეს შექმნიდა (ან ჩანდა, რომ შექმნიდა) მეთაურის გარდაცვალებისა და ახალი მეთაურის არჩევის დროს (რადგან არჩევნები ყაჩაღებს შორის წესრიგით გამორჩეული ვერ იქნებოდა) ბევრი მათგანი აიძულა, კეთილგანწყობით მოჰკიდებოდა მემკვიდრეობითობის პრინციპს. ამის მეშვეობით მოხდა ის, რაც მას შემდგომ მუდმივად ხდება: კერძოდ, ის, რაც თავიდან მოხერხებულობის გამო იქნა მიღებული, შემდგომში უფლების სახით დამკვიდრდა.

დაპყრობის შემდეგ[21] ინგლისს რამდენიმე კარგი მონარქი ჰყავდა, თუმცა უფრო ხშირად ქვეყანა ცუდ მმართველთა უღელქვეშ იტანჯებოდა. ასევე, არც ერთი ჭკუათმყოფელი ადამიანი არ იტყვის, რომ ამ მეფეების მიერ უილიამ დამპყრობელზე მითითება ძალიან კეთილშობილური ჟესტია. ფრანგი ნაძირალა, რომელიც შეიარაღებულ ყაჩაღთა ბრბოსთან ერთად გადასხდა ინგლისის სანაპიროზე და ადგილობრივების ნების საპირისპიროდ თავი მეფედ გამოაცხადა,[22] მარტივად რომ ვთქვათ, ნამდვილად ძალზე უბადრუკი თაღლითია. მასში არაფერია ღვთაებრივი. თუმცა მემკვიდრეობის პრინციპის აბსურდულობის საბაბკარაოზე გამოტანა დიდი დროის დახარჯვად არ ღირს. თუ მოიპოვებიან იმდენად სუსტი ადამიანები, რომლებსაც ამ პრინციპის სწამთ, მათ განურჩევლად თაყვანი სცენ და აღფრთოვანებით შეეგებნონ ვირსაც და ლომსაც. მე არც მათ მოკრძალებას გადმოვიღებ და არც მათ ალტკინებას შევუშლი ხელს.

და მაინც, მოხარული ვიქნები, თუ ასეთ შეკითხვას დავსვამ: ამ ადამიანთა აზრით, საიდან გაჩნდნენ პირველი მეფეები? ამ შეკითხვაზე მხოლოდ სამი პასუხი არსებობს: წილისყრით, არჩევით, ან ძალის გამოყენებით. თუ პირველი მეფე წილისყრით აირჩიეს, მაშინ ეს ფაქტი პრეცედენტს ქმნის მომდევნო მეფისათვის, რაც მემკვიდრეობის პრინციპს გამორიცხავს. საული წილისყრით აირჩიეს მეფედ,[23] მონაცვლეობა მემკვიდრეობითი არ იყო და არც მოვლენათა შემდგომი მსვლელობიდან ჩანს, რომ ასეთი განზრახვა საერთოდ არსებობდა. თუ ნებისმიერი ქვეყნის პირველი მეფე არჩეული იყო, აღნიშნული გარეგანებაც პრეცედენტს შექმნიდა მომავალი მეფისათვის. მტკიცებას, რომლის თანახმად, პირველი ამომრჩევლების ქმედებით, სამუდამოდ აირჩიონ არა მხოლოდ მეფე, არამედ მეფის ოჯახიც, ყველა მომდევნო თაობის **უფლება** წართმეულია, პარალელი არ მოეპოვება არც წმინდა წერილში და არც მის გარეთ, პირველქმნილ ცოდვაზე მოძღვრების გარდა, რომლის თანახმად, ყველა ადამიანის თავისუფალი ნება ადამის სახით დაიკარგა. ასეთი შედარებიდან (რადგან სხვა შედარების შესაძლებლობა არ არსებობს) კი მემკვიდრეობი-

თობის პრინციპი ბევრს ვერაფერს გამორჩება. ამრიგად, ადამის სახით ყველა ადამიანმა შესცოდა, ხოლო პირველი ამომრჩევლების სახით ყველა ადამიანმა მორჩილება გამოხატა. პირველ შემთხვევაში მთელი კაცობრიობა სატანას დაემორჩილა, მეორე შემთხვევაში – მეფის ხელისუფლებას. პირველ შემთხვევაში ჩვენ საკუთარი უმანკოება დავკარგეთ, მეორე შემთხვევაში – საკუთარი უფლებები. რადგან ორივე შემთხვევა წინანდელი მდგომარეობისა და პრივილეგიების აღდგენის საშუალებას გვართმევს, აქედან ეჭვშეუვალად გამომდინარეობს, რომ პირველქმნილი ცოდვა და მემკვიდრეობითობის პრინციპი ერთმანეთს შეესაბამება. რა სამარცხვინო შესაბამისობაა! რა ულირსი კავშირი! თვით ყველაზე უფრო გაქნილი სოფისტიც კი ვერ მოიფიქრებდა უკეთეს შედარებას.

რაც შეეხება ძალის გამოყენებას, არავინ იქნება ისეთი უგუნური, მის დაცვას რომ შეეცადოს. ის, რომ უილიამ დამპყრობელი უზურპატორი იყო, ეჭვშეუვალი ფაქტია. ასევე, ისიც წმინდა წყლის ჭეშმარიტებაა, რომ ინგლისური მონარქიისაგან არაფერი დარჩება, თუკი მას გამოწვლილვით განვიხილავთ.

მაგრამ კაცობრიობას მემკვიდრეობითობის პრინციპის აბსურდულობაზე მეტად ამ პრინციპის მანკიერება ვნებს. აღნიშნულ პრინციპს კეთილი და ბრძენი ადამიანების მოდგმის არსებობა რომ უზრუნველეყო, მაშინ ის ღვთაებრივი ნიშნით იქნებოდა აღბეჭდილი; მაგრამ **უგუნური, ბინიერი** და **გამოუსადეგარი** ადამიანებისათვის გზის გახსნით მას ჩაგვრის უღელი მოაქვს. ის ადამიანები, რომლებიც საკუთარ თავს მმართ-

[illegible]ობისათვის, სხვებს კი – მორჩილებისათვის [illegible] მიიჩნევენ, მალე თავხედდებიან. ისინი [illegible] კაცობრიობისაგან გამოცალკევებ[illegible] არიან, ამიტომ მათი სული ადრევე იწამ[illegible] ქედმაღლობის შხამით. ის სამყარო, სადაც [illegible] მოქმედებენ, იმდენად განსხვავდება ნამ[illegible] სამყაროსაგან, რომ მათ თითქმის არა [illegible] შესაძლებლობა, გაიგონ, თუ რა ინტერე[illegible] მოქმედებს იქ. როდესაც მმართველობა მათ [illegible] გადადის, ისინი ხშირად ყველაზე უვიცნი [illegible] გამოუსადეგარნი არიან მათ სამფლობელოებში მცხოვრებ ადამიანებს შორის.

მემკვიდრეობითობის პრინციპის თანმხლები [illegible] ერთი ბოროტება ისაა, რომ ტახტი, შესა[illegible], ნებისმიერი ასაკის არასრულწლოვანს ერ[illegible]. მთელი ამ ხნის განმავლობაში რეგენტის[24] მმართველობას, რომელიც მეფის მანტიის ქვეშ [illegible] მოქმედებს, უამრავი შესაძლებლობა და მოტივი აქვს, ულალატოს იმათ, ვისი [illegible]ობითაც სარგებლობს. მსგავსი ეროვნული [illegible]ურება ხდება მაშინ, როდესაც დაავად[illegible] და დაუძლურებული მეფე ადამი[illegible] სისუსტის უკანასკნელ საფეხურს აღწევს. [illegible] შემთხვევაში, ხალხი ხდება ნებისმიერი იმ [illegible]ლითის მსხვერპლი, რომელიც ბავშვობის ან [illegible]ებულობის უგუნურებით ისარგებლებს.

ყველაზე უფრო დამაჯერებელი არგუმენტი, რომელიც ოდესმე გაჟღერებულა მემკვიდრეობითობის პრინციპის სასარგებლოდ ისაა, რომ ეს პრინციპი, თითქოს, სამოქალაქო ომებისაგან იცავს ერს. ეს რომ მართლაც ასე იყოს, აღნიშნული არგუმენტი მართლაც ანგარიშგასაწევი იქნებოდა. სინამდვილეში, ეს კაცობრიო-

ბის თავს მოხვეული ყველაზე უფრო უსირცხვილო სიცრუეა. ინგლისის მთელი ისტორია ამ ფაქტის უარყოფას წარმოადგენს. დაპყრობის შემდეგ[25] ამ არეულ სამეფოს ოცდაათი მეფე და ორი არასრულწლოვანი მართავდა. ამ ხნის განმავლობაში, სულ მცირე, რვა სამოქალაქო ომი (რევოლუციის ჩათვლით) და ცხრამეტი აჯანყება მოხდა. ასე რომ, მშვიდობის დამკვიდრების ნაცვლად, მემკვიდრეობითობის პრინციპი მის წინააღმდეგ ილაშქრებს და არღვევს იმ საფუძველს, რომელსაც, თითქოს, ემყარება.

იორკისა და ლანკასტერების ბრძოლამ ტახტისა და მემკვიდრეობისათვის ინგლისი მრავალი წლის განმავლობაში სისხლით მორწყო.[26] ჰენრისა და ედუარდს შორის[27] თორმეტი სისხლისმღვრელი ბრძოლა (აქ არ ითვლება პატარ-პატარა თავდასხმები და ციხე-ქალაქების ალყაში მოქცევა) გაიმართა. ჰენრი ორჯერ იმყოფებოდა ედუარდის ტყვეობაში, რომელიც, თავის მხრივ, ერთხელ იყო ჰენრის ტყვე. როდესაც დაპირისპირების საფუძველი მხოლოდ პირადი ინტერესებია, მაშინ ომის ბედიცა და ხალხის განწყობაც გაურკვეველია. ამას ისიც ადასტურებს, რომ ჰენრი ციხიდან სასახლეში ტრიუმფით წაიყვანეს, ხოლო ედუარდი იძულებული გახდა, სასახლიდან უცხო ქვეყანაში გადახვეწილიყო. მაგრამ, რადგან განწყობის უეცარი ცვლილებები იშვიათად გრძელდება დიდხანს, ჰენრი, თავის მხრივ, ჩამოგდებულ იქნა ტახტიდან და მის ნაცვლად მეფედ ედუარდი მიიწვიეს. რაც შეეხება პარლამენტს, ის ყოველთვის ძლიერის მხარეს იჭერდა.

ეს დაპირისპირება ჰენრი VI-ს მმართველობის დროს დაიწყო და სრულად ჩაცხრა მხოლოდ

ჰენრი VII-ის მეფობის დროს, რომელმაც ორივე გვარი გააერთიანა.[28] ბრძოლამ 67 წელს გასტანა, 1422 წლიდან 1489 წლამდე.[29]

მოკლედ რომ ვთქვათ, მონარქიამ და მემკვიდრეობითობის პრინციპმა ნაცარტუტად აქცია არა მხოლოდ ესა თუ ის სამეფო, არამედ მთელი მსოფლიოც. ეს არის სისხლიანი მმართველობის ფორმა, რომლის წინააღმდეგაც ღვთის სიტყვაა მიმართული.

თუ მეფეთა საქმიანობას განვიხილავთ, აღმოვაჩენთ, რომ ზოგიერთ ქვეყანაში ისინი არაფერს აკეთებენ. მას შემდეგ, რაც თავიანთი ეის და ქვეყნისთვის უსარგებლოდ გალევენ ცხოვრებას, ისინი ტოვებენ სცენას და ულიმლამო როლის შესრულებას თავიანთ მემკვიდრეებს გადაულოცავენ ხოლმე. აბსოლუტურ მონარქიებში სამოქალაქო და სამხედრო საქმეთა მთელი ტვირთი მეფეს აწევს მხრებზე. როდესაც ისრაელის შვილებმა მეფე მოითხოვეს, საბაბად ეს მოიყვანეს: *„ჩვენი მეფე განგვსჯის ჩვენ, ნინ წაგვიძღვება და ჩვენი გულისთვის იბრძოლებს.“*[30] მაგრამ იმ ქვეყნებში, სადაც მეფე არც მოსამართლეა და არც მხედართმთავარი (როგორც ეს ინგლისშია), გამოცანად რჩება ის, თუ რა ევალება მას.

რაც უფრო უახლოვდება მმართველობის ფორმა რესპუბლიკურს, მით უფრო ნაკლები საქმე რჩება მეფისათვის. ინგლისის მმართველობის ფორმისათვის შესაფყვისი სახელის გამოძებნა ცოტათი რთულია. სერ უილიამ მერედითი[31] მას რესპუბლიკურს უწოდებს. მაგრამ, ახლანდელ მდგომარეობაში, ეს მმართველობა ასეთ სახელს არ იმსახურებს, რადგან სამეფო

ტახტის (რომლის განკარგულებაშია ყველა თანამდებობა) მავნე ზეგავლენამ შთანთქა თემთა პალატის (რომელიც კონსტიტუციის რესპუბლიკურ ნაწილს წარმოადგენს) ძალაუფლება და სიქველე. ასე რომ, ინგლისის მმართველობა თითქმის ისევე მონარქიულია, როგორც საფრანგეთის, ან ესპანეთის მმართველობები. ადამიანები ხშირად კამათობენ სახელების შესახებ ისე, რომ არც კი ესმით მათი ჭეშმარიტი მნიშვნელობა. ინგლისელები ხოტბას ასხამენ თავიანთი ქვეყნის კონსტიტუციის არა მონარქიულ, არამედ რესპუბლიკურ ნაწილს, კერძოდ კი, საკუთარი რიგებიდან თემთა პალატის არჩევის უფლებას. სავსებით აშკარაა, რომ რესპუბლიკური სიქველის დაკარგვას შედეგად მონობა მოჰყვება. რატომაა ინგლისური კონსტიტუცია დაავადებული? იმიტომ, რომ მონარქიამ მოწამლა რესპუბლიკა, ხოლო სამეფო ტახტმა თემთა პალატა დაიმორჩილა.

ინგლისში მეფის საქმიანობა ომების წამოწყება და სხვადასხვა პირებისათვის თანამდებობების ბოძება გახლავთ, რაც, მარტივად რომ ვთქვათ, ხალხის გაღატაკებას და მათი ერთმანეთისათვის წაკიდებას ნიშნავს. სარფიანი საქმეა ადამიანისათვის, რომელიც ამის სანაცვლოდ წელიწადში რვაასი ათას სტერლინგს და, გარდა ამისა, ქვეშევრდომთაგან თაყვანისცემას იღებს! ღმერთისა და საზოგადოების თვალში ერთი პატიოსანი ადამიანი უფრო მეტს ნიშნავს, ვიდრე ყველა გვირგვინოსანი ნაძირალა ერთად აღებული, რომლებსაც დღემდე უცხოვრიათ.

განაზრებანი ამერიკული საკითხების ახლანდელი მდგომარეობის შესახებ

მომდევნო გვერდებზე მკითხველს არაფერს ეთავაზობ მარტივი ფაქტების, ნათელი არგუმენტებისა და საღი აზრის გარდა, წინასწარ არც რაიმეზე არ მინდა შევუთანხმდე მას, გარდა იმისა, რომ იგი გათავისუფლდეს ცრურწმენებისა და აკვიატებული შეხედულებებისაგან და თავის გრძნობებსა და გონებას თავისუფალი მოქმედების შესაძლებლობა მისცეს; მიენდოს და არ დაშორდეს თავის ნამდვილ ადამიანურ ბუნებას და მზერა დიდსულოვნად მიმართოს დღევანდელობის მიღმა.

ინგლისისა და ამერიკის დაპირისპირების შესახებ მთელი ტომებია დაწერილი. კამათში ყველა რანგისა და წოდების ადამიანი ჩაერთო, ყველას თავისი განზრახვა და მოტივი ამოძრავებდა. თუმცა მათი მცდელობები უშედეგო გამოდგა და კამათის დროც ამოიწურა. დღეს დაპირისპირებას წყვეტს იარაღი, როგორც უკანასკნელი საშუალება. ეს საშუალება მეფის[32] ამორჩეულია და კონტინენტმაც მიიღო გამოწვევა.

განსვენებული მისტერ პელჰემის[33] (რომელიც, მართალია, უნარიანი მინისტრი იყო, თუმცა არც უნაკლო ყოფილა) შესახებ ამბობენ, რომ, როდესაც იგი თემთა პალატაში მის მიერ გატარებული არაეფექტური ღონისძიებების გამო გააკრიტიკეს, მან თავდამსხმელებს ასეთი პასუხი გასცა: „სანამ ცოცხალი ვარ, ისინი გასტანენ.“ ახლანდელი დაპირისპირებისას, კოლონიებმა

ასეთი დამღუპველი და უღირსი აზრით რომ იხელმძღვანელონ, მომავალი თაობები თავიანთ წინაპრებს ზიზღით გაიხსენებენ.

დედამიწის ზურგზე ამაზე უფრო მნიშვნელოვანი მოვლენები ჯერ არ განვითარებულა. ეს არ არის ქალაქის, საგრაფოს, პროვინციის, ან სამეფოს საქმე. ეს მთელი კონტინენტის საქმეა, რომელიც, სულ მცირე, დედამიწის მოსახლეობის ერთ მერვედს მაინც მოიცავს. ეს არ არის მხოლოდ დღევანდელი დღის, მიმდინარე წლის, ან თუნდაც ჩვენი ეპოქის საზრუნავი. შთამომავლობა, ფაქტიურად, ჩართულია მიმდინარე ბრძოლაში და ახლანდელი მოვლენები მეტ-ნაკლები ხარისხით მასზე სამარადისო ზეგავლენას მოახდენს. ეს არის კონტინენტური ერთობის, რწმენისა და ღირსების ჩასახვის ჟამი. ახლა თვით უმცირესი ბზარიც კი ახალგაზრდა მუხის რბილ ქერქზე ქინძისთავით ამოკაწრული სახელის მსგავსია. ჭრილობა ხესთან ერთად გაიზრდება და შთამომავლობას ღრმად ამოტვიფრული სახით დაუდგება თვალწინ.

როდესაც საქმემ კამათიდან იარაღისაკენ გადაინაცვლა, პოლიტიკაში ახალი ეპოქა დაიწყო, დამკვიდრდა ახალი აზროვნების წესი. 19 აპრილამდე, ანუ საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე[34] არსებული ყველა გეგმა, შემოთავაზება და სხვ., გასული წლის კალენდრის მსგავსია, რომელიც, მართალია, შარშან სასარგებლო იყო, მაგრამ წელს უსარგებლოა და ახლითაა ჩანაცვლებული. რა შეხედულებაც არ უნდა წამოეწიათ მაშინ მოკამათე მხარეებს, ყველაფერი მაინც ერთი და იგივე შედეგით სრულდებოდა, კერძოდ, ბრიტანეთთან ერთიანობით. ერთადერთი

განსხვავება დაპირისპირებულ პარტიებს შორის დასახული მიზნის მისაღწევად განსხვავებული საშუალების გამოყენება იყო. ერთი მხარე ძალის გამოყენების მომხრე იყო, მეორე – მეგობრულ დამოკიდებულებას ამჯობინებდა. მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველმა შემოთავაზებამ მარცხი განიცადა, მეორემ კი გავლენა დაკარგა.

რადგან ბევრი რამ ითქვა შერიგების უპირატესობის შესახებ, ტკბილ ოცნებასავით რომ გაქრა და იმავე მდგომარეობაში დაგვტოვა, რომელშიც ვიყავით, მართებული იქნება, თუ არგუმენტის საპირისპირო მხარეს განვიხილავთ და იმ მრავალი მატერიალური ზარალიდან გამოვიკვლევთ ზოგიერთს, ეს კოლონიები დიდ ბრიტანეთთან კავშირისა და მასზე დამოკიდებულების შედეგად ამჟამად რომ განიცდიან (და არც მომავალში არიან ამისგან დაზღვეული, თუ ეს კავშირი გაგრძელდა). თუ გვსურს იმის გაგება, რისი იმედი შეიძლება გვქონდეს განცალკევების შემთხვევაში, ან რას უნდა მოველოდეთ, თუ ინგლისზე დამოკიდებულები დავრჩებით, აუცილებელია, აღნიშნული კავშირისა და დამოკიდებულების გამოკვლევა ბუნებისა და საღი აზრის პრინციპების საფუძველზე.

შეეხვედრივარ ადამიანებს, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ, რადგან ამერიკა ჰყვაოდა დიდ ბრიტანეთთან უწინდელი კავშირის დროს, იგივე კავშირი აუცილებელია მისი მომავალი ბედნიერებისათვის და რომ ის ყოველთვის იგივე შედეგს მოიტანს. ამაზე უფრო მცდარი და მაცდუნებელი არგუმენტი წარმოუდგენელია. ანალოგიურად შეგვიძლია ვამტკიცოთ, რომ რადგან ბაშვისთვის რძე უაღრესად სასარგებლოა, მას

ხორცი არასოდეს დასჭირდება, ან ის, რომ ჩვენი ცხოვრების პირველი ოცი წელიწადი შემდგომ ოც წელიწადს განსაზღვრავს. მაგრამ ესეც ზედმეტის დაშვებას ნიშნავს. სრული გულწრფელობით ვაცხადებ, რომ ამერიკა ისეთივე (შესაძლოა, უფრო მეტადაც) აყვავებული იქნებოდა, ევროპულ სახელმწიფოებს საერთოდ რომ არ ჰქონოდათ მასთან შეხება. ამერიკა პირველადი მოხმარების საგნების ვაჭრობით გამდიდრდა და მას ყოველთვის ექნება გასაღების ბაზარი, ვიდრე ევროპაში ჭამის მოთხოვნილება ექნებათ.

მაგრამ ინგლისი ხომ ჩვენ გვიცავდა, – ამბობენ ზოგიერთები. მის ხელთ რომ ვიყავით, ეს ფაქტია. ისიც მართალია, რომ ინგლისი იცავდა კონტინენტს, როგორც ჩვენ, ასევე, თავის ხარჯზე. მაგრამ იმავე მოტივით (ვაჭრობისა და ძალაუფლების გამო) ის ხომ თურქეთსაც დაიცავდა.

ჩვენდა სამწუხაროდ, დიდი ხნის განმავლობაში, ძველ ცრურწმენათა ტყვეობაში ვიმყოფებოდით და მათ გამო დიდი მსხვერპლიც გავიღეთ. ჩვენ ვტრაბახობდით იმით, რომ დიდი ბრიტანეთი გვიცავდა, მაგრამ იმაზე არ ვფიქრობდით, რომ მის მოტივს **დაინტერესება** და არა **მიჯაჭვულობა** განაპირობებდა; რომ ის ჩვენი მტრებისაგან კი არ გვიცავდა ჩვენს გამო, არამედ, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, საკუთარ თავს იცავდა თავისი მტრებისაგან, რომლებთანაც ჩვენ საკამათო არაფერი გვქონდა და რომლებიც, ამავე მიზეზის გამო, ჩვენი მარადიული მტრები იქნებიან. დაე, ბრიტანეთმა ხელი აიღოს კონტინენტთან დაკავშირებულ თავის პრეტენზიებზე, ან კონტინენტმა მოიცილოს დამოკიდებულების

ფალი. ასეთ შემთხვევაში ჩვენ მშვიდობიანი ურთიერთობები გვექნებოდა საფრანგეთთან და ესპანეთთან იმ შემთხვევაშიც, თუ მათ ომი ექნებოდათ ბრიტანეთთან. უკანასკნელი ომის დროს ჰანოვერის თავს დატეხილი უბედურებები[35] გამაფრთხილებელი ნიშანი უნდა იყოს ჩვენთვის ასეთი კავშირების წინააღმდეგ.

არც ისე დიდი ხნის წინ პარლამენტში ამტკიცებდნენ, რომ კოლონიებს შორის არსებული ურთიერთობები მხოლოდ მშობელი ქვეყნის, მეტროპოლიის მეშვეობით ხორციელდება; ანუ, პენსილვანია, ჯერსი და სხვა დანარჩენი კოლონიები დობილი კოლონიები არიან ინგლისის მეშვეობით. ეს საკმაოდ ირიბი გზაა ნათესაობის დასამტკიცებლად, სამაგიეროდ, ყველაზე უფრო ხელსაყრელი და საიმედო გზაა მტრობის დასადასტურებლად, თუ შეიძლება ამას ასე ვუწოდოთ. საფრანგეთი და ესპანეთი არასოდეს იყვნენ (და სავარაუდოდ, არც მომავალში იქნებიან ოდესმე) ჩვენი, **როგორც ამერიკელების,** მტრები; რასაც ვერ ვიტყვით ჩვენზე, როგორც **დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომებზე.**

მაგრამ ბრიტანეთი ხომ ჩვენი სამშობლოა, – ამბობს ზოგიერთი. მაშინ მისი საქციელი მით უფრო სამარცხვინოა. მხეცებიც კი არ ჭამენ თავიანთ შვილებს, ველურებიც კი არ ესხმიან თავს თავიანთი ოჯახის წევრებს. ამიტომ, თუ ზემოთქმული დებულება ჭეშმარიტია, ის თავად ბრიტანეთისთვისაა სამარცხვინო. მაგრამ ეს დებულება არ არის ჭეშმარიტი, ან, თუ არის, მხოლოდ ნაწილობრივ. სიტყვები „მშობელი ქვეყანა“, ან „დედასამშობლო“ მდაბალი პაპისტური განზრახვით იეზუიტურადაა გამოყენებული

მეფისა და მისი მუქთახორა თანამოაზრეების მიერ ჩვენს გულუბრყვილო გონებაზე მავნე ზემოქმედების მოხდენის მიზნით. ამერიკის სამშობლოა არა ინგლისი, არამედ ევროპა. ახალი სამყარო ევროპის **ყველა ნაწილიდან** დევნილი სამოქალაქო და რელიგიური თავისუფლებების მომხრეთა თავშესაფრად იქცა. აქ ისინი დედის მზრუნველ ალერსს კი არ გამოექცნენ, არამედ ურჩხულის სისასტიკეს. ინგლისთან მიმართებაში ეს მართალია იმდენად, რამდენადაც ის ტირანია, რომელმაც პირველ ემიგრანტებს მშობლიური სახლ-კარის დატოვება აიძულა, მათ შთამომავლებს დღესაც სდევნის.

დედამიწის ამ ვრცელ ნაწილზე ჩვენ ვივიწყებთ სამას სამოცი მილით (ინგლისის განფენილობა) დაწესებულ ვიწრო საზღვრებს და მეგობრობის გრძნობას ფართო გასაქანს ვაძლევთ; ჩვენ ყველა ევროპელ ქრისტიანს ჩვენს ძმად ვაცხადებთ და ამ გრძნობის კეთილშობილება ჩვენს სულებს ზეიმით აღავსებს.

სასიამოვნოა იმაზე დაკვირვება, თუ როგორ ვძლევთ თანდათანობით ადგილობრივ ცრურწმენებს იმისდა კვალად, რაც უფრო ფართოვდება ჩვენი ნაცნობობა მსოფლიოსთან. ინგლისის ნებისმიერ ქალაქში (რომელიც სამრევლოებადაა დაყოფილი) დაბადებულ ადამიანს, ბუნებრივია, უფრო მეტად, მისი სამრევლოს წევრებთან ექნება ურთიერთობა (რადგან, ბევრ შემთხვევაში, მათ საერთო ინტერესები აქვთ) და მათ სხვებისაგან **მეზობლების** სახელით გამოარჩევს. თუ იგი ერთ-ერთ მათგანს თავისი სახლიდან რამდენიმე მილის მოშორებით შეხვდება, მაშინ იგი უკუაგდებს ქუჩის ვიწრო ცნებას და შემხვედრს,

[illegible] **თანამოქალაქეს,** ისე მიესალმება. იმ [illegible], თუ იგი თავისი საგრაფოს საზ[illegible] გარეთ შეხვდება მას, უკვე ყურადღე[illegible] გამახვილებს ქუჩისა და ქალაქის ვიწრო [illegible] და მას **თანამემამულეს** უწოდებს. [illegible], თუ საზღვარგარეთ მოგზაურობისას ეს [illegible] ერთმანეთს შეხვდებიან საფრანგეთ[illegible] ევროპის სხვა რომელიმე კუთხეში, მაშინ [illegible] ადგილობრივი ნაცნობობა **ინგლისელის** [illegible] განივრცობა. ანალოგიურად, ყველა [illegible], რომელიც სხვა ევროპელს ამერიკაში, [illegible] სხვა ნაწილში ხვდება, ერთმანეთის **თანამემამულეა,** რადგან ინგლისი, გერმანია, [illegible] და შვედეთი მთელთან მიმართებაში [illegible] ადგილს იკავებენ (ოღონდ უფრო დიდი მასშტაბით), როგორსაც ქუჩა, ქალაქი და საგრაფო ერთმანეთთან მიმართებაში (უფრო მცირე მასშტაბით). ეს განსხვავებები კონტინენტური აზროვნებისათვის ძალზე შეზღუდულია. მაცხოვრებელთა ერთი მესამედიც (თვით ამ პროვინციის ჩათვლით[36]) არ არის ინგლისური წარმომავლობისა. ამიტომ „მშობელი ქვეყნისა" და „დედასამშობლოს" ცნებების მხოლოდ ინგლისისადმი მიყენებას ვგმობ, როგორც მცდარ, ეგოისტურ, შეზღუდულ და არაკეთილშობილურ საქციელს.

კიდეც რომ დავუშვათ, რომ ყველანი ინგლისური წარმომავლობისა ვართ, რა გამოვა აქედან? არაფერი! ბრიტანეთი, რომელიც ამჟამად ჩვენი აშკარა მტერია, ყველა განსხვავებულ სახელსა და დასახელებას ანადგურებს. იმის თქმა, რომ შერიგება ჩვენი მოვალეობაა, სასაცილოა და მეტი არაფერი. ინგლისის პირველი მეფე ამ-

ჟამინდელი დინასტიური ხაზით (უილიამ დამპყრობელი) ფრანგი იყო და ინგლისის ლორდების ნახევარი წარმოშობით საფრანგეთიდანაა. ანალოგიურად თუ ვიმსჯელებთ, ინგლისს ახლა საფრანგეთი უნდა მართავდეს.

ბევრი რამ ითქვა ბრიტანეთისა და კოლონიების გაერთიანებულ ძალაზე; იმის თაობაზე, რომ ისინი ერთობლივად მთელი სამყაროს გამოწვევას შეძლებდნენ. მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდია. ომის ბედი გაურკვეველია, არც ეს გამოთქმები ნიშნავს რამეს, რადგან ეს კონტინენტი არასოდეს დაუშვებს მაცხოვრებლებისაგან დაცარიელებას იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ბრიტანეთის შეიარაღებული ძალების წარმატებას აზიაში, აფრიკასა თუ ევროპაში.

გარდა ამისა, რატომ უნდა გამოვიწვიოთ დანარჩენი მსოფლიო? ჩვენი მიზანი ვაჭრობაა და, მისი შესაფერისად წარმართვის შემთხვევაში, გარანტირებული გვექნება მშვიდობა და მეგობრობა მთელ ევროპასთან, რადგან მთელი ევროპის ინტერესში შედის თავისუფალი აღებ-მიცემობა ამერიკასთან. ვაჭრობა ყოველთვის იქნება ამერიკის დამცავი ფარი, ხოლო ამ ქვეყანაში ოქროსა და ვერცხლის სიმწირე დამპყრობლებს თავდასხმაზე ხელს ააღებინებს.

შერიგების ყველაზე თავგამოდებულ მომხრეებს მოვუწოდებ, აჩვენონ თუნდაც ერთი სარგებელი, რომელსაც კონტინენტი მიიღებს დიდ ბრიტანეთთან კავშირის შედეგად. მე ვიმეორებ გამოწვევას და ვამბობ, რომ ამით უმცირესი სარგებელიც კი არ მიიღება. ჩვენი ხორბალი ევროპის ნებისმიერ ბაზარზე გავა, ხოლო ჩვენი იმპორტირებული საქონელი უნდა გაიყიდოს იქ,

სადაც ჩვენ გვსურს.

ესით აღუწერელია ის უსამართლობა და ზარალი, რასაც ჩვენ ამ კავშირის შედეგად განიცდით. ჩვენი მოვალეობა ზოგადად კაცობრიობის და, ასევე, საკუთარი თავის მიმართ, გვკარნახობს, რომ უარი ვთქვათ ამ ალიანსზე. ნებისმიერი სახის დაქვემდებარება, ან დამოკიდებულება დიდი ბრიტანეთისადმი პირდაპირ გვიბიძგებს ევროპულ ომებსა და უთანხმოებებში მონაწილეობისაკენ და მტრულ ურთიერთობაში გვაყენებს იმ ხალხებთან, რომლებიც, სხვა შემთხვევებში, ჩვენი მეგობრობის მოპოვებას შეეცდებოდნენ და რომელთა საწინააღმდეგოც ჩვენ არაფერი გვაქვს. რადგან ევროპა ჩვენს ბაზარს წარმოადგენს, ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავამყაროთ მიკერძოებული ურთიერთობა მის რომელიმე ნაწილთან. ამერიკის ჭეშმარიტ ინტერესს წარმოადგენს ევროპული დაპირისპირებებისათვის თავის არიდება, რასაც ის ვერასდროს შეძლებს, რადგან, ბრიტანეთზე დამოკიდებულების გამო, ის ბრიტანული პოლიტიკის სასწორზე მხოლოდ საპირწონედ რჩება.

ევროპის ტერიტორიაზე სამეფოები სოკოებივითაა მომრავლებული, რაც ხელს უშლის მშვიდობის დიდი ხნით შენარჩუნებას. როდესაც ინგლისსა და ნებისმიერ სხვა სახელმწიფოს შორის ომი იწყება, ამერიკული ვაჭრობა თავდაღმა მიექანება **ბრიტანეთთან კავშირის გამო.** შემდგომი ომი, შესაძლოა, უკანასკნელის მსგავსად არ წარიმართოს და თუ ასე მოხდა, მაშინ ისინი, რომლებიც ახლა შერიგებას ემხრობიან, მომავალში განცალკევებას დაუჭერენ მხარს, რადგან, ასეთ შემთხვევაში, ნეიტრალიტეტი

გაცილებით უკეთესი არჩევანია, ვიდრე დენთი და თოფის წამალი. ყველაფერი, რაც კი იმსახურებს სამართლიანისა და ბუნებრივის სახელს, განცალკევებისაკენ მოგვიწოდებს. დაღუპულთა სისხლი და, მასთან ერთად, ბუნების ძალთა ხმაცას შეჰღაღადებს: **„განშორების დრო!“** თვით ის მანძილიც, რომელიც, ყოვლისშემძლე უფლის მეოხებით, ინგლისსა და ამერიკას აშორებს ერთმანეთისაგან, ბუნებრივი და ეჭვშეუვალი საბუთია იმისა, რომ ერთის ბატონობა მეორეზე ზეციურ ძალთა მიერ დადგენილი არ არის. ამერიკის კონტინენტის აღმოჩენის დრო და, ასევე, მისი შემდგომი დასახლების წესიც ჩვენს არგუმენტს მეტ დამაჯერებლობას სძენს. რეფორმაციას ამერიკის აღმოჩენა უძღოდა წინ. თითქოს ყოვლისშემძლე ღმერთს დიდსულოვნად სურდა, მომავალ დევნილთათვის თავშესაფრის კარი გაეხსნა მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელთათვის სამშობლო აღარ იქნებოდა მეგობრობისა და უსაფრთხოების კერა.

დიდი ბრიტანეთის ძალაუფლება ამ კონტინენტზე არის მმართველობის ფორმა, რომელსაც, ადრე თუ გვიან, ბოლო უნდა მოეღოს. მტკივნეული და მტკიცე თავდაჯერებულობით აღსავსე სერიოზული ადამიანი ლოდინით ჭეშმარიტ კმაყოფილებას ვერ მიიღებს, რადგან ის, რასაც იგი „ახლანდელ მმართველობას“ უწოდებს, მხოლოდ დროებითი და წარმავალია. როგორც მშობლებს, ჩვენ შვებას არ მოგვგვრის იმის ცოდნა, რომ **ეს ხელისუფლება** საკმაოდ ხანმოკლეა იმისათვის, რათა უზრუნველყოს ყველაფერი, რისი გადაცემაც გვსურს შთამომავლობისათვის. მარტივი მსჯელობიდანაც ნათელია, რომ თუ მომდევ-

ნი თაობას ვალებს ვუტოვებთ, მათთვის უნდა დამრიგებლობა კიდეც. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენი დამოკიდებულება მათდამი მდაბალი და ეგოისტური იქნება. იმისათვის, რომ მართებულად გავაცნობიეროთ ჩვენი მოვალეობა, საჭიროა, რომ ჩვენს შვილებზე პასუხისმგებლობა ავიღოთ და ჩვენი მდგომარეობა რამდენიმე წლით ადრე გავიმყაროთ. ეს ამაღლებული მდგომარეობა ჩვენ თვალწინ გადაშლის ახალ ჰორიზონტს, რომლის დანახვასაც დღეს ჩვენი შიშები და ცრურწმენები უშლის ხელს.

მიუხედავად იმისა, რომ გულმოდგინედ ვცდილობ, თავი ავარიდო ვინმეს იოტისოდენად შეურაცხყოფასაც კი, მაინც მიმაჩნია, რომ ყველა ის ადამიანი, ვინც შერიგების მომხრეა, შესაძლებელია, შემდეგ ჯგუფებად დავყოთ: დაინტერესებული პირები, რომელთა ნდობა არ შეიძლება; სუსტი ადამიანები, რომლებსაც დანახვა **არ შეუძლიათ;** ცრურწმენებით შეპყრობილი ადამიანები, რომლებიც **არ დაინახავენ;** და ზომიერი შეხედულებების მქონე ადამიანები, რომლებსაც ევროპულ სამყაროზე იმაზე უფრო უკეთესი წარმოდგენა აქვთ, ვიდრე ის სინამდვილეში იმსახურებს. ეს უკანასკნელი ჯგუფი თავისი გაუაზრებელი შეხედულებებით გაცილებით მეტ უბედურებას მოუტანს ამ კონტინენტს, ვიდრე პირველი სამი ჯგუფი ერთად აღებული.

ის ადამიანები, რომლებიც უბედურების ადგილიდან მოშორებით ცხოვრობენ, საკმაოდ იღბლიანები არიან. ბოროტებას ჯერ კიდევ არ გადაულახავს მათი კარის ზღურბლი. ასე რომ, ისინი ვერ გრძნობენ იმ საფრთხეს, რაც ამერიკაში საკუთრების ქონას უკავშირდება. მაგრამ,

მოდით, რამდენიმე წუთით წარმოვიდგინოთ, რომ ბოსტონში ვიმყოფებით. ეს სიღატაკისა და სიდუხჭირის ნავსაყუდელი ჭკუას გვასწავლის და ჩაგვაგონებს, ერთხელ და სამუდამოდ გავწყვიტოთ კავშირი იმ ხელისუფლებასთან, რომლის ნდობაც არ შეიძლება. ამ უბედური ქალაქის მაცხოვრებლებს, სულ რაღაც რამდენიმე თვის წინ შვებითა და სიამტკბილობით რომ ცხოვრობდნენ, დღეს სხვა არჩევანი არ გააჩნიათ, გარდა იმისა, რომ ან სახლში ჯდომით შიმშილისაგან ამოხდეთ სული, ან კიდევ მათხოვრობა დაიწყონ. ქალაქში დარჩენის შემთხვევაში მათ საკუთარი არმიის ცეცხლი უქმნით საფრთხეს, მისი დატოვების შემთხვევაში კი ჯარისკაცთა ყაჩაღობის მსხვერპლნი შეიქმნებიან. ახლანდელ მდგომარეობაში ისინი ტყვეები არიან, რომელთა ხსნის არანაირი გზა არ არსებობს. გენერალური შეტევის შემთხვევაში, რომლის მიზანიც მათი გათავისუფლება იქნებოდა, მათ ორივე არმიის მრისხანება დაატყდებათ თავს.[37]

უმოქმედო ადამიანები ბრიტანეთის მიერ მოყენებულ წყენასა და შეურაცხყოფას ვითომ ვერც ამჩნევენ. მათ ჯერ კიდევ სწამთ უკეთესი მომავლის და შეუძლიათ, წამოიძახონ: „მოდით, მიუხედავად ყველაფრისა, კვლავ მეგობრებად დავრჩეთ!“ მაგრამ, ჩაუკვირდით კაცობრიობის ვნებებსა და გრძნობებს. საგულდაგულოდ გასინჯეთ შერიგების დოქტრინა ბუნების სასინჯ ქვაზე და შემდეგ მითხარით, შეძლებთ ამის შემდეგ შეიყვაროთ, პატივი სცეთ და ერთგულად ემსახუროთ სახელმწიფოს, რომელიც ცეცხლითა და მახვილით შემოიჭრა თქვენს ქვეყანაში? თუ თქვენ არ ძალგიძთ ამის გაკეთება, მაშინ

მხოლოდ საკუთარ თავს იტყუებთ და თქვენი დაყოვნებით შთამომავლობას ღუპავთ. ბრიტანეთთან, რომლის არც პატივისცემა შეგიძლიათ და არც სიყვარული, თქვენი მომავალი კავშირი ძალულებითი და არაბუნებრივი იქნება. ის მხოლოდ წუთიერი მოგების მიღების იმედს ემყარება და ძალიან სწრაფად კიდევ უფრო უარეს შედეგებს მოიტანს. მაგრამ თუ თქვენ იტყვით, რომ ყურადღებას არ მიაქცევთ დანაშაულებრივ ქმედებებს, მაშინ, მე გკითხავთ: დაწვეს, თუ არა თქვენი სახლი? ხომ არ განადგურებულა თქვენი ქონება თქვენს თვალწინ? თქვენი ცოლ-შვილი სახლ-კარისა და სასმელ-საჭმლის გარეშეა დარჩენილი? დაკარგეთ თუ არა მტრების ხელით მშობელი, ან შვილი? ხართ თუ არა განადგურებული და უბედური გადარჩენილი? თუ არა, მაშინ თქვენ ვერ იქნებით მათი მსაჯული, ვინც ეს უბედურებები განიცადა. მაგრამ თუ თქვენც იწვნიეთ საკუთარ თავზე ეს საშინელებები და მაინც შეგიძლიათ ხელი ჩამოართვათ მკვლელებს, მაშინ თქვენ არ იმსახურებთ მეუღლის, მამის, მეგობრისა და საყვარელი ადამიანის სახელს. ასეთ შემთხვევაში, თქვენი ტიტულისა და წოდების მიუხედავად, თქვენ ლაჩრის გული და მლიქვნელის სული გაქვთ.

ეს სულაც არ გახლავთ წაქეზება და გადაჭარბება. ეს არის მოვლენათა განსჯა იმ გრძნობებითა და მიდრეკილებებით, რომლებსაც თავად ბუნება ამართლებს და რომელთა გარეშეც ჩვენ ვერ შევძლებდით მოქალაქეობრივი ვალის აღსრულებას, ან ცხოვრებისეული სიამეებით დატკბობას. ჩემი მიზანია არა საშინელებათა აღწერა შურისძიების გრძნობის გაღვივების მიზნით, არ-

ამედ ჩვენი გამოღვიძება მომაკვდინებელი და ქანცგამწყვეტი ძილისაგან, რათა კონკრეტული მიზნის დასახვა და მისკენ მიზანმიმართული სწრაფვა შევძლოთ. არც ბრიტანეთს და არც ევროპას არ ხელეწიფებათ ამერიკის დაპყრობა, თუ ამერიკამ თავად არ მისცა მათ ამის საბაბი თავისი **დაყოვნებითა** და **მოკრძალებით**. წლევანდელი ზამთარი ეპოქალური მნიშვნელობის იქნება, თუ მას სათანადოდ გამოვიყენებთ. მაგრამ, თუ ჩვენ დროს უქმად დავკარგავთ და ძვირფას წამებს ხელიდან გავუშვებთ, მაშინ უბედურება მთელ კონტინენტს ეწვევა. თუ ასეთ ძვირფას და სასარგებლო დროს არ გამოიყენებს, მაშინ ადამიანი – ვინც არ უნდა იყოს ის, რასაც არ უნდა წარმოადგენდეს და სადაც არ უნდა იყოს – ნებისმიერ სასჯელს იმსახურებს.

თვალსაზრისი, რომლის თანახმად, ეს კონტინენტი, შესაძლებელია, დიდი ხნის განმავლობაში იყოს რომელიმე გარეშე ძალის დაქვემდებარებაში, ეწინააღმდეგება გონებას, საგანთა საყოველთაო წესრიგსა და წინამორბედი ეპოქების ყველა მაგალითს. ბრიტანეთში ასე ყველაზე ოპტიმისტებიც კი არ ფიქრობენ. ამჯერად ადამიანური გონების უკიდურესი დაძაბვითაც კი შეუძლებელია ისეთი გეგმის მოფიქრება (გარდა განცალკევებისა), რომელიც, თუნდაც ერთი წლით მაინც უზრუნველყოფს კონტინენტის უსაფრთხოებას. შერიგების იდეა დღეს ტკბილი ოცნებაა. ბუნებამ ბედის ანაბარად მიატოვა ეს კავშირი. ასე რომ, ხელოვნება ამაოდ ეცდება მისი ადგილის დაკავებას, რადგან, როგორც ბრძნულად შენიშნავს მილტონი, „სასიკვდილო ზიზღისაგან მიყენებულ ღრმა ჭრილობებს ვერაფერი შეახორცებს.“[38]

ყველა მშვიდობიანი საშუალება მშვიდობის დასამყარებლად უშედეგო აღმოჩნდა. ჩვენი ინტერესები ზიზღით იქნა უკუგდებული, რაც მხოლოდ დაგვარწმუნა, რომ არაფერი ისე არ ემლიქვნელება მეფეთა პატივმოყვარეობას, რა ძალიერებს მათ სიჯიუტეს, როგორც მრავალჯერ განმეორებული თხოვნა. არაფერს ისე არ შეუწყვია ხელი ევროპელი მეფეებისათვის აბსოლუტური ძალაუფლების მოპოვებაში, როგორც ამ მეთოდს. ამის მაგალითია დანია და შვედეთი. ამიტომ, რადგან საქმეს მხოლოდ ძალის გამოყენებით თუ მოევლება, მოდით, ღვთის გულისათვის, საბოლოოდ განვცალკევდეთ. ნუ ვაიძულებთ მომდევნო თაობას, ერთმანეთი მშობლისა და შვილის წაბილწული და მნიშვნელობადაკარგული სახელებით მოიხსენიონ და ერთმანეთს ყელი გამოჭრან.

იმის თქმა, რომ მომავალში ისინი[39] არასოდეს ეცდებიან ამის გამეორებას, უსაფუძვლო ილუზიაა. ასე ვფიქრობდით საღერბო გადასახადის შესახებ კანონის გაუქმებისას,[40] თუმცა ერთიორ წელიწადში ჭკუა ვისწავლეთ. ასევე, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ის ხალხები, რომლებიც ერთხელ დამარცხებას იწვნევენ, არასოდეს გააახლებენ დაპირისპირებას.

რაც შეეხება მმართველობას, უნდა ითქვას, რომ ბრიტანეთს არ შესწევს ძალა, რომ ამ კონტინენტს თავისი კუთვნილი მიაგოს. კონტინენტის საქმეები მალე საკმაოდ მძიმე და ჩახლართული შეიქმნება იმისათვის, რათა მოხერხდეს მათი მეტ-ნაკლებად ნორმალური წარმოება იმ ხელისუფლების მიერ, რომელიც ასე დაშორებუ-

ლია ჩვენგან და ცოტა რამ თუ იცის ჩვენს შესახებ. თუ მათ ჩვენი დაპყრობა ვერ შეძლეს, მაშინ ვერც ჩვენს მართვას შეძლებენ. სამი თუ ოთხი ათასი მილის გავლა რაღაც ამბის, ან პეტიციის გადასაცემად, შემდეგ ოთხი-ხუთი თვე პასუხის მოლოდინი, რომლის ახსნა-განმარტებასაც კიდევ ხუთი-ექვსი თვე სჭირდება, – ყოველივე ეს რამდენიმე წელიწადში სისულელედ და გულუბრყვილობად ჩაითვლება. იყო დრო, როცა ეს მეთოდი ამართლებდა, მაგრამ ახლა დადგა დრო, როდესაც ეს უნდა შეწყდეს.

მცირე კუნძულები, რომლებსაც საკუთარი თავის დამოუკიდებლად დაცვა არ ძალუძთ, ხელსაყრელ ობიექტებს წარმოადგენენ სამეფოებისათვის მფარველობაში ასაყვანად. ამ ფონზე ძალზე აბსურდულად ჟღერს იმის დაშვება, რომ კონტინენტი მარადიულად უნდა იმართებოდეს კუნძულის მიერ. ბუნებას არასოდეს შეუქმნია პლანეტაზე უფრო დიდი თანამგზავრი და რადგან ინგლისი და ამერიკა ერთმანეთთან მიმართებაში ბუნების ჩვეულ წესრიგს თავდაყირა აყენებენ, აშკარაა, რომ ისინი განსხვავებულ სისტემებს განეკუთვნებიან: ინგლისი ევროპას, ხოლო ამერიკა – საკუთარ თავს.

განცალკევებისა და დამოუკიდებლობის დოქტრინის მხარდაჭერას სიამაყე, პარტიული პრინციპები, ან აღშფოთება როდი მაიძულებს. გულწრფელად მწამს, რომ სწორედ ეს წარმოადგენს კონტინენტის ჭეშმარიტ ინტერესს; რომ სხვა ყველაფერი, **გარდა ამისა**, უბრალო ჯამბაზობაა, რომელსაც არ ძალუძს ხანგრძლივი ბედნიერების მოტანა. ეს ჩვენი შვილებისათვის ხელში მახვილის შეჩეჩების ტოლფასია და ეს ისეთ

დროს, როდესაც სულ ერთი ნაბიჯია დარჩენილი იმისათვის, რათა ჩვენმა კონტინენტმა მსოფლიო დიდება მოიპოვოს.

რადგან ბრიტანეთს კომპრომისისათვის უმცირესი მზაობაც კი არ გამოუხატავს, შეგვიძლია, დარწმუნებულები ვიყოთ, რომ შეუძლებელია კონტინენტისათვის მისაღები პირობების მიღწევა, ან ისეთი საშუალებების გამონახვა, ჩვენ მიერ დანთხეულ სისხლსა და დახარჯულ სიმდიდრეს რომ აანაზღაურებდა.

დაპირისპირების ობიექტი მის მოსაპოვებლად გაწეულ დანახარჯებთან მუდამ მართებულ შესატყვისობაში უნდა იყოს. ნორსის,[41] ან უმსგავსო ხროვის ჩამოცილება ნამდვილად არ ღირს ჩვენ მიერ დახარჯულ მილიონებად. მხოლოდ ვაჭრობის დროებითი შეჩერებით მოყენებული ზარალი გააბათილებდა ჩვენ მიერ გასაჩივრებული ყველა სამართლებრივი აქტის გაუქმებას (კიდეც რომ მიგვეღწია წარმატებისათვის ყველა შემთხვევაში). მაგრამ თუ მთელმა კონტინენტმა უნდა აიღოს ხელში იარაღი, თუ ყველა მამაკაცი ჯარისკაცი უნდა გახდეს, მაშინ მხოლოდ საძულველი სამინისტროს წინააღმდეგ ბრძოლას აზრი არა აქვს. ძვირად, საკმაოდ ძვირად გვიჯდება არასასურველი სამართლებრივი აქტების გაუქმება იმ შემთხვევაში, თუ მხოლოდ მათი გაუქმებისათვის ვიბრძვით. სამართლიანად თუ შევაფასებთ, ნათელია, რომ დიდი სისულელეა ბანკერ-ჰილის[42] საფასურის გადახდა კანონის (და არა ქვეყნის) სანაცვლოდ. ყოველთვის მივიჩნევდი, რომ კონტინენტი, ადრე თუ გვიან, დამოუკიდებელი გახდებოდა. კონტინენტის სწრაფი პროგრესი სიმწიფის გზაზე

იმას მიუთითებს, რომ ეს დღე შორს არ არის. სწორედ ამიტომ, საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ, არც კი ღირდა დავა და კამათი საქმის შესახებ, რომელსაც დრო, საბოლოოდ, თავად მოაგვარებდა, ჩვენ რომ მას მთელი სერიოზულობით არ მოვკიდებოდით. სხვაგვარი საქციელი დაემსგავსებოდა ქონების ფლანგვას ისეთ სასამართლო პროცესზე, სადაც იმ მოიჯარის სამართალდარღვევებს განიხილავენ, რომლის იჯარის ვადაც უკვე იწურება. 1775 წლის 19 აპრილის* საბედისწერო დღემდე[43] არ არსებობდა ადამიანი, რომელსაც ჩემზე უფრო გულმხურვალედ სურდა შერიგება. მაგრამ იმ წუთიდან, როდესაც ცნობილი გახდა იმ დღეს განვითარებული მოვლენები, სამუდამოდ უარვყავი ინგლისის ცივსისხლიანი და მოღუშული ფარაონი.[44] მძულს ის ნაძირალა, რომელსაც, **ხალხის მამის** საფარქვეშ ამოფარებულს, შეუძლია, აუღელვებლად მოისმინოს ცნობები ამერიკელთა ხოცვა-ჟლეტის შესახებ და შემდეგ მშვიდად დაიძინოს, მიუხედავად იმისა, რომ დაღუპულთა სისხლი მის სინდისზეა.

მაგრამ, დავუშვათ, ინგლისთან მოვრიგდით. რა იქნება ამის შედეგი? ჩემი პასუხი ასეთია: კონტინენტის დაღუპვა. ამას რამდენიმე მიზეზი განაპირობებს.

პირველი. თუ ძალაუფლება კვლავ მეფის ხელთ იქნება, მაშინ მას კონტინენტის მთელი საკანონმდებლო საქმიანობის პარალიზება შეეძლება. რადგან მან თავი აჩვენა, როგორც თავისუფლების უმოწყალო მტერმა და შეუზღუდავი ძალაუფლებისაკენ დაუოკებელი სწრაფვა გამოავლინა, აქვს კი მას უფლება, უთხრას კოლონიებს: „თქვენ ვერ მიიღებთ იმ კანონებს, რომელთა მიღებაც არ მსურს“? მოიპოვება კი დღეს ამერიკაში იმდენად უვიცი ადამიანი, რომელმაც არ იცის, რომ **ახლანდელი კონსტიტუციის** პირობებში კონტინენტს არ შეუძლია ისეთი კანონების მიღება, რომლებზეც მეფის თანხმობა არ იქნება? არსებობს კი იმდენად სულელი ადამიანი, რომელიც ვერ ხედავს, რომ, იმის გათვალისწინებით, რაც მოხდა, მეფე არ დაუშვებს აქ ისეთი კანონის მიღებას, რომელიც მის მიზნებს არ შეესატყვისება? ჩვენი დამონება ისეთივე წარმატებით შეიძლება ამერიკული კანონების სიმწირით, როგორც ინგლისში ჩვენთვის მიღებული კანონებისადმი დამორჩილებით. ე.წ. შერიგების შემდეგ არავის შეეპარება ეჭვი, რომ სამეფო ტახტის მთელი ძალისხმევა კონტინენტის დამცირებისა და დაკნინებისაკენ იქნება მიმართული. წინსვლის მაგივრად უკან-უკან წავალთ: ან გამუდმებულ კამათში ვიქნებით, ან კიდევ უაზრო პეტიციებში დავკარგავთ დროს. – ჩვენ უკვე უფრო ძლიერები ვართ, ვიდრე ეს მეფეს სურს. ნუთუ მომავალში იგი ჩვენს დაკნინებას არ შეეცდება? მოკლედ რომ ვთქვათ, არის კი ისეთი მმართველობა სამართლიანი, რომელსაც ჩვენი აყვავება არ სწადია? ვინც ამ შეკითხვაზე **არა**-ს პასუხობს, იგი **დამოუკიდებლობის მომხრეა,** რადგან დამოუკიდებლობა სხვა არაფერია, თუ არა შემდეგი: ან ჩვენ თავად მივიღებთ კანონებს, ან კიდევ მეფე, უდიდესი მტერი, რომელიც ამ კონტინენტს საერთოდ შეიძლება ჰყავდეს, გვეტყვის: „არ იარსებებს სხვა კანონები იმათ გარდა, რომლებიც მომწონს.“

* ლექსინგტონის ხოცვა-ჟლეტა.

თქვენ ალბათ იტყვით, რომ ინგლისში მეფეს ვეტოს უფლება აქვს, რომ ხალხს იქ არ შეუძლია კანონების მიღება მისი თანხმობის გარეშე. სამართლისა და მართლწესრიგის პერსპექტივის ფონზე, ძალზე სასაცილოა ის გარემოება, რომ ოცდაერთი წლის ახალგაზრდა მასზე ასაკოვან და ჭკვიან რამდენიმე მილიონ ადამიანს მიმართავს: „თქვენი ესა თუ ის აქტი ვერ იქნება კანონი" (ასე ხშირად მომხდარა). მაგრამ ახლა ასეთ პასუხს საერთოდ უკუვაგდებ, თუმცა არასოდეს შევწყვეტ მის აბსურდულობაზე მითითებას. ის გარემოება, რომ ინგლისი მეფის საცხოვრებელს წარმოადგენს, ამერიკა კი – არა, საერთოდ ცვლის საქმის ვითარებას. მეფის ვეტო **აქ** ათმაგად უფრო საშიში და საბედისწეროა, ვიდრე ინგლისში. **იქ** იგი ნაკლებად თუ შეძლებს, უარი განაცხადოს იმ კანონის მიღებაზე, რომლის მიზანი ინგლისის თავდაცვისუნარიანობის მაქსიმალური ამაღლებაა, მაგრამ მეფე არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს ასეთი კანონის მიღებას ამერიკაში.

ბრიტანულ პოლიტიკურ სისტემაში ამერიკა მხოლოდ მეორეხარისხოვანი ობიექტია. ამ ქვეყნის კეთილდღეობას ინგლისი მხოლოდ საკუთარი ინტერესების საფუძველზე ითვალისწინებს. მისი ინტერესები კი მას ჩვენი განვითარების შეფერხებას კარნახობს ყველა იმ შემთხვევაში, რომელიც მისი სარგებლის მიღებას არ ემსახურება, ან სულ მცირედით მაინც უშლის ხელს მას ამის მიღწევაში. იმის გათვალისწინებით, რაც მოხდა, ადვილი საფიქრებელია, რა „შესაშურ" მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით ასეთი არაპირდაპირი მმართველობის პირობებში! სახელის გადარქმევით მტერი მოყვარედ როდი გადაიქცევა. იმის ჩვენების მიზნით, რომ შერიგების დოქტრინა **ამჟამად** სახიფათოა, ვამტკიცებ, რომ **მეფისთვის ხელსაყრელი პოლიტიკა იქნება კანონების გაუქმება იმისათვის, რათა პროვინციებში საკუთარი ძალაუფლება გაამყაროს, რათა შემდეგ ცბიერებითა და ეშმაკობით საბოლოოდ მიაღწიოს იმას, რის მიღწევასაც ახლა ძალის გამოყენებით ვერ ახერხებს.** შერიგება და დაღუპვა ერთმანეთის ტოლფასია.

მეორე. საუკეთესო პირობებიც კი, რომლის მიღწევასაც ვიმედოვნებთ, მხოლოდ ვითარების დროებითი შემსუბუქება, ან მეურვეობით მმართველობა იქნება. ეს უკანასკნელი გაგრძელდება იქამდე, ვიდრე კოლონიები მომწიფდებიან დამოუკიდებლობისათვის. მთელი ამ ხნის განმავლობაში მოვლენათა ზოგადი სურათი და საქმეთა ვითარება გაურკვეველი და უიმედო იქნება. შეძლებული ემიგრანტები არ ისურვებენ ჩამოსვლას ისეთ ქვეყანაში, რომლის მმართველობაც ბეწვზე ჰკიდია და რომელიც ყოველდღე სამოქალაქო მღელვარებებისა და არეულობების ზღვარზე იმყოფება. რაც შეეხება ახლანდელ მაცხოვრებლებს, ისინი ისარგებლებენ შექმნილი ვითარებით, გაყიდიან თავიანთ ქონებას და დატოვებენ კონტინენტს.

მაგრამ ყველაზე ძლიერი არგუმენტია შემდეგი: კონტინენტზე მშვიდობის შენარჩუნება და მისი ომებისაგან დაცვა შეუძლია მხოლოდ დამოუკიდებლობას, ანუ მმართველობის კონტინენტურ ფორმას. ახლა ბრიტანეთთან შერიგების საკითხი უფრო მაშინებს, რადგან დანამდვილებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ამას მოაყვება აჯანყებები ამა თუ იმ ადგილას, რომლის

შედეგებიც უფრო საბედისწერო იქნება, ვიდრე ბრიტანეთის ყველა ბოროტი განზრახვა ერთად აღებული.

ათასობით ადამიანია გაუბედურებული ბრიტანეთის ბარბაროსობის შედეგად (იმავე მიზეზით, სავარაუდოდ, კიდევ მრავალი ათასი გაუბედურდება). ამ ადამიანებს სხვა გრძნობები აქვთ, ვიდრე ჩვენ, რადგან ჩვენ მსგავსი რამ არ განგვიცდია. ერთადერთი რამ, რასაც ისინი **ახლა** ფლობენ, თავისუფლებაა. სწორედ მას შესწირეს ამ ადამიანებმა ყველაფერი, რითაც ადრე ტკბებოდნენ. მათ არაფერი აქვთ დასაკარგი და ამიტომაც სძულთ მორჩილება. გარდა ამისა, კოლონიების ზოგადი განწყობა ბრიტანეთის ხელისუფლების მიმართ იმ ახალგაზრდის განწყობას ჰგავს, რომელმაც უკვე მიაღწია სიმწიფის ჟამს: ისინი ნაკლებად იდარდებენ მის გამო. ხოლო მთავრობას, რომელსაც მშვიდობის შენარჩუნება არ ძალუძს, არც კი ეთქმის მთავრობა და ასეთ შემთხვევაში ფულს ამაოდ ვფლანგავთ. ნება მიბოძეთ, ვიკითხო, რის გაკეთებას შეძლებს ბრიტანეთი, რომლის ძალაუფლებაც მხოლოდ ქაღალდზე იარსებებს, იმ შემთხვევაში, თუ შერიგებიდან მეორე დღეს სამოქალაქო მღელვარება დაიწყება? ზოგიერთი ადამიანისაგან (რომლებიც, ჩემი ღრმა რწმენით, გაუაზრებლად ლაპარაკობდნენ) მომისმენია, რომ მათ ეშინიათ დამოუკიდებლობის, რადგან, მათი რწმენით, ამას სამოქალაქო ომები მოჰყვება. უცაბედად თავში გაელვებული აზრი იშვიათად თუა ჭეშმარიტი. სწორედ ასეა ამ შემთხვევაშიც. ხელოვნურად მიღწეული კავშირი ათმაგად უფრო საშიშია, ვიდრე დამოუკიდებლობა. მსხვერპლთა ადგილას

ჩემს თავს ვაყენებ და ვაცხადებ, რომ, იმ შემთხვევაში, თუ მაიძულებდნენ ჩემი სახლ-კარის დატოვებას, ჩემს ქონებას გაანადგურებდნენ და საარსებო პირობებს მომისპობდნენ, როგორც ფასამართლობების მიმართ მგრძნობიარე ადამიანი, არასოდეს გავამართლებდი შერიგების დოქტრინას და არასოდეს მივიჩნევდი თავს მასზე დამოკიდებულად.

კოლონიებმა იმდენად სანიმუშოდ გამოავლინეს წესრიგისადმი სწრაფვა და კონტინენტური ხელისუფლებისადმი მორჩილება, რომ ამის გამო ნებისმიერ გონიერ ადამიანს შეუძლია, მშვიდად იყოს. ვერავინ მოუძებნის თავის შიშებს (ის, რომ ერთი კოლონია მეორეზე გაბატონებას მეეცდება) უმცირეს გამართლებასაც კი, ბავშვური და სასაცილო მიზეზების გარდა.

სადაც განსხვავებები არ არსებობს, იქ არც ერთი მხარე არ ფლობს უპირატესობას. სრულყოფილი თანასწორობა ცდუნებისათვის ადგილს არ ტოვებს. ევროპის ყველა რესპუბლიკა მშვიდობიანად თანაარსებობს (შეიძლება ითქვას, რომ ყოველთვის ასე იქნება). ჰოლანდიამ და შვეიცარიამ არ იციან, თუ რა არის შიდა, ან საგარეო დაპირისპირება. ფაქტია, რომ მონარქიული მმართველობები ვერ ახერხებენ მშვიდობის შენარჩუნებას დიდი ხნით. **ქვეყნის შიგნით** თავად სამეფო ტახტი წარმოადგენს საცდურს გაქნილი ნაძირლებისათვის. ხოლო სიამაყისა და თავხედობის ის ხარისხი, რომელიც მუდმივად ახასიათებს სამეფო ხელისუფლებას, უცხო სახელმწიფოებთან განხეთქილებას იწვევს. იგივე შემთხვევებში, უფრო ბუნებრივ პრინციპებზე დაფუძნებული რესპუბლიკური მმართველობა

შეცდომას გამოასწორებდა.

თუ არსებობს შიშის საფუძველი დამოუკიდებლობასთან მიმართებით, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჯერჯერობით არანაირი გეგმა არ შემუშავებულა. ადამიანები გამოსავალს ვერ ხედავენ. ამიტომ, დასაწყისისათვის, საჭიროდ მიმაჩნია რამდენიმე რჩევის შემოთავაზება. ჩემი მოკრძალებული თვალსაზრისით, ამ რჩევებმა, შესაძლოა, ხელი შეუწყოს რაღაც უკეთესის აღმოცენებას. შესაძლებელი რომ იყოს ცალკეული ადამიანების მიმოფანტული აზრების ერთად შეკრება, მაშინ ეს იქნებოდა მასალა გონიერი და უნარიანი ადამიანებისათვის, რათა მათ ამის საფუძველზე საქმე გაეუმჯობესებინათ.

ასამბლეის სხდომა წელიწადში ერთხელ უნდა გაიმართოს მხოლოდ პრეზიდენტის მეთაურობით. წარმომადგენლობითობის პრინციპი უფრო მეტად უნდა იყოს დაცული. ასამბლეა ცალსახად საშინაო საქმეებით უნდა შემოიფარგლებოდეს და კონტინენტური კონგრესისადმი უნდა იყოს დაქვემდებარებული.

თითოეული კოლონია უნდა დაიყოს ექვს, რვა, ან ათ ხელსაყრელი ზომის ოლქად. თითოეულმა ოლქმა კონგრესში დელეგატთა გარკვეული რაოდენობა უნდა წარადგინოს. თითოეულ კოლონიას, სულ მცირე, 30 დელეგატის წარდგენა მაინც უნდა შეეძლოს. დელეგატთა საერთო რაოდენობა კონგრესში, სულ მცირე, 390 მაინც უნდა იყოს. კონგრესის ყოველი სხდომა[45] და პრეზიდენტის არჩევის წესი უნდა იყოს ასეთი: როდესაც დელეგატები შეიკრიბებიან, ცამეტი კოლონიიდან წილისყრით არჩეული უნდა იქნეს ერთი კოლონია. ამის შემდეგ, მთელმა კონგრესმა ფარული კენჭისყრით უნდა აირჩიოს პრეზიდენტი **ამ** კოლონიის დელეგატებიდან. შემდეგი კონგრესის დროს წილისყრაში მონაწილეობას მიიღებს თორმეტი კოლონია, ანუ, გამოტოვებული იქნება ის კოლონია, საიდანაც იქნა არჩეული პრეზიდენტი წინა კონგრესის დროს. ასე უნდა გაგრძელდეს მანამ, ვიდრე ცამეტივე კოლონია არ მიიღებს მონაწილეობას. ხოლო იმისათვის, რათა კანონის სახე მხოლოდ სამართლიანმა გადაწყვეტილებამ მიიღოს, კონგრესის უმრავლესობა უნდა ეწოდებოდეს კონგრესის სრული შემადგენლობის სულ მცირე სამ მეხუთედს მაინც. იმას, ვინც ასე სამართლიანად მოწყობილ მმართველობაში უწესრიგობის შეტანას შეეცდება, ლუციფერის ბედი ეწევა.

მაგრამ ვინ უნდა წამოიწყოს ეს საქმე და როგორ? ეს ერთობ დელიკატური საკითხია. ყველასთვის მისაღები და ყველაზე თანმიმდევრული იქნება, თუ ამ საქმეს ითავებს რაიმე შუალედური ორგანო მმართველებსა და დაქვემდებარებულებს, კონგრესსა და ხალხს შორის. ამის გამო უნდა ჩატარდეს **კონტინენტური კონფერენცია** შემდეგი წესით და იმ მიზნით, როგორც ეს ქვემოთაა გადმოცემული:

უნდა შეიქმნას საბჭო კონგრესის ოცდაექვსი წევრისაგან (თითოეული კოლონიიდან ორი წევრი); ამას უნდა დაემატოს ორი წევრი თითოეული ასამბლეიდან ან პროვინციული კონვენტიდან და ხუთი წარმომადგენელი მთლიანად ხალხიდან, რომლებიც არჩეულნი იქნებიან მთელი პროვინციის სახელით დედაქალაქში, ან თითოეული პროვინციის მთავარ ქალაქში საარჩევნო ხმის მქონე იმ პირთა რაოდენობით, რომლებიც პრო-

ვინციის ყველა კუთხიდან საჭიროდ ჩათვლიან ამ მიზნით გამოცხადებას და ხმის მიცემას. თუ უფრო ხელსაყრელი იქნება, შესაძლებელია, წარმომადგენლები არჩეულ იქნენ პროვინციის ყველაზე უფრო დასახლებული ნაწილებიდან. ასეთი წესით დაკომპლექტებული კონფერენცია ორ ძირითად პრინციპს – **ცოდნასა და ძალას** – გააერთიანებს. კონგრესის, ასამბლეისა და კონვენტების წევრები, ეროვნული საკითხების გადაჭრისას მიღებული გამოცდილების საფუძველზე, უნარიანი და სასარგებლო მრჩევლები იქნებიან. ხოლო რაც შეეხება მთლიანად კონფერენციას, ის ხალხის მიერ უფლებამოსილებით აღჭურვილი და ჭეშმარიტად კანონიერი იქნება.

კონფერენციის მონაწილეთა მიზანი **კონტინენტური ქარტიის,** ანუ გაერთიანებული კოლონიების ქარტიის (რომელიც ინგლისის თავისუფლებათა დიდ ქარტიას[46] შეესატყვისება) შემუშავება უნდა იყოს. ქარტიამ უნდა განსაზღვროს კონგრესისა და ასამბლეის წევრთა რაოდენობა და მათი არჩევის წესი, შეკრების ვადები, საქმეები და იურისდიქცია იმის გათვალისწინებით, რომ ძალა მთელ კონტინენტშია და არა ცალკეულ პროვინციებში. ყველა ადამიანის საკუთრება და თავისუფლება უზრუნველყოფილი უნდა იყოს, უპირველეს ყოვლისა კი, სინდისის კარნახზე დაფუძნებული რწმენის თავისუფლება. გარდა ამისა, დარეგულირებული უნდა იყოს ის საკითხები, რომელთა გათვალისწინება, ქარტიის ფორმატიდან გამომდინარე, აუცილებელია. ამის შემდგომ კონფერენცია მყისვე უნდა დაიშალოს, ხოლო ის ორგანოები, რომლებიც ქარტიის შესატყვისად იქნებიან არ-

ჩეულნი, მოცემული მომენტისათვის გახდებიან კონტინენტის კანონმდებლები და მმართველები. უფალმა დაუმკვიდროს მათ მშვიდობა და ბედნიერება. ამინ.

თუ მომავალში ამ და სხვა მიზნით ადამიანთა გარკვეული ჯგუფი შეიკრიბება, მათ ყურადღებას მივაპყრობდი პასაჟებს სახელმწიფო საქმეების ბრძნული დამკვირვებლის, დრაგონეტის,[47] თხზულებებიდან. „პოლიტიკოსის ხელობას, – ამბობს დრაგონეტი, – ბედნიერებისა და თავისუფლებისაკენ მიმავალი გზის ჩვენება წარმოადგენს. საუკუნო დიდებას მოიპოვებენ ის ადამიანები, რომლებიც აღმოაჩენენ მმართველობის ისეთ ფორმას, რომელიც, ერისათვის მინიმალური დანახარჯების ფასად, ინდივიდუალური ბედნიერების უდიდეს წილს შეიცავს“ (დრაგონეტი, „სიქველისა და ჯილდოების შესახებ“).

მაგრამ სად არის ამერიკის მეფე? – კითხულობს ზოგიერთი. გეტყვი, ჩემო მეგობარო: იგი ზეცაში მეფობს და, ბრიტანეთის სამეფო მხეცის მსგავსად, დედამიწაზე ქაოსს როდი თესავს. თუმცა, ისე რომ არ გამოჩნდეს, თითქოს ჩვენ ამქვეყნიურ პატივთა ნაკლებობას განვიცდიდეთ, დაე, საზეიმოდ გამოიყოს საგანგებო დღე ქარტიის გამოცხადებისათვის. ის წმინდა წერილზე დადებული უნდა გამოიტანონ. ქარტიაზე გვირგვინი უნდა დაიდოს, რითაც დანარჩენი მსოფლიო შეიტყობს, რომ ჩვენ იმდენად ვეთანხმებით მონარქიას, რამდენადაც **ამერიკაში თავად კანონია მეფე.** აბსოლუტური მმართველობის დროს მეფე კანონობს, თავისუფალ ქვეყნებში კი კანონი (და არავინ სხვა) **უნდა** მეფობდეს. იმის-

ათვის, რათა შემდგომში ყოველგვარი ბოროტი განზრახვა აღკვეთილი იქნეს, ცერემონიის დასრულების შემდეგ, გვირგვინი ნამსხვრევებად უნდა აქციონ და ნამსხვრევები ხალხში მიმოფანტონ, რადგან გვირგვინი ხალხის საკუთრებას წარმოადგენს.

საკუთარი მმართველობის ქონა ჩვენი ბუნებრივი უფლებაა. თუ სერიოზულად დავფიქრდებით ადამიანურ საქმეთა არამდგრადობაზე, დავრწმუნდებით, რომ გაცილებით უფრო უსაფრთხო და გონივრულია, ცივი გონებით და აუჩქარებლად ჩამოვაყალიბოთ ჩვენი მმართველობა, ვიდრე ამის გაკეთება ძალგვიძს და ასეთი მნიშვნელოვანი საქმე დროსა და შემთხვევითობას არ მივანდოთ. თუ ჩვენ ამას ახლა არ გავაკეთებთ, მომავალში გამოჩნდება ვინმე, მასანელოს* მსგავსი, რომელიც ისარგებლებს სახალხო მღელვარებით და სასოწარკვეთილ და უკმაყოფილო ადამიანებს გააერთიანებს. ისინი ხელში ჩაიგდებენ მმართველობის სადავეებს და წარღვნასავით წალეკავენ იმ თავისუფლებებს, რომლებიც კონტინენტს აქვს. ამერიკის მმართველობა ისევ ბრიტანეთის ხელში რომ გადავიდეს, შექმნილი არამყარი მდგომარეობა ნამდვილი ცდუნება იქნება თავგადასავლების სასოწარკვეთილი მაძიებლისათვის, იმისათვის, რათა მან თავისი იღბალი სცადოს. და, როგორ დახმარებას გაგვიწევდა ბრიტანეთი ასეთ შემთხვევაში? ვიდრე ის შეიტყობდა ამ სიახლეს, საბედისწერო საქმე,

* თომას ანელო, სხვანაირად, მასანელო, ნეაპოლელი მეთევზე იყო. მან ბაზრის მოედანზე ესპანელთა (რომელთა ხელშიც იყო მაშინ ნეაპოლი) ჩაგვრის წინააღმდეგ წააქეზა თავისი თანამემამულეები და აჯანყება მოაწყო, რის შედეგადაც, ერთი დღის განმავლობაში მეფე გახდა.

მესაძლოა, უკვე განხორციელებული ყოფილიყო და ჩვენ, საცოდავი ბრიტების მსგავსად, დამპყრობლის უღელქვეშ დავტანჯულიყავით.[48] თქვენ, რომლებიც დამოუკიდებლობას ეწინააღმდეგებით, არც კი უწყით, რას სჩადიხართ. ხელისუფლებაში ცარიელი ადგილის დატოვებით თქვენ მარადიულ ტირანიას უღებთ კარს. ათასობით და ათიათასობით ადამიანი დიდებულ საქმედ ჩათვლის იმ ბარბაროსული და ჯოჯოხეთური ძალის კონტინენტიდან გაძევებას, რომელმაც ინდიელები და შავკანიანები ჩვენს წინააღმდეგ აამხედრა.[49] სისასტიკე ორმხრივია, უბრალოდ ჩვენი სისასტიკე უხეშია, მათი კი – ვერაგული.

სისულელე და სიგიჟეა ფიქრი იმათთან მეგობრობაზე, რომელთა ნდობას ჩვენი გონება გვიკრძალავს და რომელთა სიძულვილსაც ათასგვარი წყენით მოყენებული ჭრილობები შთაგვაგონებენ. თითოეული დღე შლის ჩვენს შორის არსებული მსგავსების ნარჩენებს. არსებობს კი რაიმე საფუძველი რწმენისათვის, რომ ურთიერთობების ამოწურვის შემდეგ ურთიერთმიჯაჭვულობა გაიზრდება? რომ ჩვენ უკეთ მოვრიგდებით, როდესაც ათჯერ უფრო მეტი და მნიშვნელოვანი მიზეზები გვექნება დაპირისპირებისათვის, ვიდრე ოდესმე?

თქვენ, ვინც ჰარმონიასა და შერიგებაზე საუბრობთ, განა შეძლებთ წარსულის დაბრუნებას? დაუბრუნებთ კი მრუშებს თავდაპირველ უმანკოებას? სწორედ ასევე ვერ შეძლებთ ბრიტანეთისა და ამერიკის შერიგებას. უკანასკნელი ძაფი უკვე გაწყვეტილია, ინგლისელი ხალხი ჩვენს წინააღმდეგ საჩივრებით გამოდის. არსებობს არასწორი საქციელი, რომელსაც ბუნება

ვერ გაპატიებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ბუნება აღარ იქნება. როგორც შეყვარებული ვერ აპატიებს ვერავის თავისი სატრფოს ნამუსის ახდას, ასევე, კონტინენტიც ვერ აპატიებს ბრიტანეთს მის მიერ ჩადენილ მკვლელობებს. ყოვლისშემძლე უფალმა ამ გრძნობების მარადიული ცეცხლი ჩვენს სულებში კეთილი და გონივრული მიზნებით აანთო. ეს გრძნობები გვეხმარება, ღვთის ხატი შეურყვნელად შევინარჩუნოთ ჩვენს გულებში. სწორედ მათი მეშვეობით განვსხვავდებით ცხოველთა უბრალო ჯოგისაგან. გრძნობათა მიმართ გულგრილნი რომ ვყოფილიყავით, სოციალური ხელშეკრულება დაირღვეოდა და სამართლიანობა ძირფესვიანად ამოიძირკვებოდა დედამიწის ზურგიდან, ან მხოლოდ აქა-იქ თუ იარსებებდა. მძარცველი და მკვლელი ხშირად დაუსჯელი დარჩებოდა, მოყენებულ ზიანს ჩვენში სამართლიანობის გრძნობა რომ არ გაეღვიძებინა.

თქვენ მოგიწოდებთ, კაცობრიობის გულშემატკივარნო! ყოველი თქვენგანი, რომელიც არა მხოლოდ ტირანიისადმი, არამედ ტირანისადმი დაპირისპირებას ბედავს, წინ დადგეს! ძველი სამყაროს ყოველი გოჯი ტანჯვის უღელქვეშაა მოქცეული. თავისუფლება მთელს დედამიწაზე იდევნება. აზიამ და აფრიკამ იგი დიდი ხნის წინ განდევნეს, ევროპისთვის იგი უცხოა, ხოლო ინგლისი მას გაძევებით დაემუქრა. თქვენ მოგიწოდებთ, მიიღეთ დევნილი და დროულად მოამზადეთ თავშესაფარი კაცობრიობისათვის!

ამერიკის დღევანდელი შესაძლებლობების შესახებ, სხვა განაზრებებთან ერთად

უკლებლივ ყველა ადამიანი, რომელსაც ამერიკაში, ან ინგლისში შევხვედრივარ, აღიარებდა, რომ ეს ორი ქვეყანა, ადრე თუ გვიან, განცალკევდებოდა. არ არსებობს შემთხვევა, სადაც ჩვენ უფრო ნაკლები გამჭრიახობა გამოგვეჩინოს, ვიდრე ჩვენს მცდელობაში, აღგვეწერა ის, რასაც ჩვენ დამოუკიდებლობისათვის კონტინენტის სიმწიფესა და მზაობას ვუწოდებთ.

რადგან ყველა თანახმაა ამ ღონისძიებაზე და მხოლოდ ვადებია განსხვავებული, შეცდომების თავიდან არიდების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება, თუ მოვლენათა ზოგად მიმოხილვას გადმოვცემდით და **შესაფერისი** დროის გამოძებნას შევეცდებოდით. მაგრამ შორს წასვლა არ გვჭირდება და ჩვენი გამოკვლევაც წყდება, რადგან **ხელსაყრელი ჟამი თავად წამოგვენია.** გარემოებათა საერთო დამთხვევა და ყველა მოვლენის დიდებული კავშირი ამ ფაქტის დამადასტურებლად გვევლინება.

ჩვენი დიადი ძალა რაოდენობაში კი არ გამოიხატება, არამედ ერთიანობაში. თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი ახლანდელი რაოდენობა სრულებით საკმარისია დანარჩენი მსოფლიოს მოსაგერიებლად. მოცემული მომენტისათვის კონტინენტის განკარგულებაშია შეიარაღებული და გაწვრთნილი ადამიანების უდიდესი კონტინგენტი დედამიწის ზურგზე. მან

ახლახან მიაღწია ძლიერების ისეთ საფეხურს, როდესაც ვერც ერთი კოლონია ცალკე ვერ შეძლებს თავის დაცვას, თუმცა კოლონიების გაერთიანების შემთხვევაში, ამ ამოცანის განხორციელება შესაძლებელია. ამაზე უფრო მეტ, ან ნაკლებ ძალას, შესაძლოა, საბედისწერო შედეგები მოჰყოლოდა. სახმელეთო ძალები უკვე საკმაო რაოდენობით გვყავს. რაც შეეხება საზღვაო საქმეებს, შეუძლებელია არ ვიცოდეთ, რომ ბრიტანეთი არასოდეს დაუშვებდა ამერიკული სამხედრო ხომალდის აგებას, ვიდრე კონტინენტი მის ხელთ იქნებოდა. ასეთ შემთხვევაში, ამ სფეროში, ახლანდელ მდგომარეობასთან შედარებით, ასი წლის შემდეგაც ვერ წავიწევდით წინ. სინამდვილეში, უფრო უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებოდით, რადგან ხე-ტყის რაოდენობა ქვეყანაში დღითიდღე სულ უფრო მცირდება და ის, რაც ბოლოს დარჩება, შორს მდებარე და ძნელად მოსაპოვებელი იქნება.

კონტინენტი მჭიდროდ დასახლებული რომ ყოფილიყო, დღეს მისი მდგომარეობა აუტანელი იქნებოდა. რაც უფრო მეტი საზღვაო პორტი გვექნებოდა, მით უფრო მეტი გვექნებოდა დასაცავი და დასაკარგიც. ჩვენი ამჟამინდელი რაოდენობა იმდენად კარგად შეესაბამება ჩვენს მოთხოვნილებებს, რომ უსაქმოდ არც ერთი ადამიანი არ დარჩება. ვაჭრობის შემცირება არმიას წარმოშობს, არმიის მოთხოვნილებები კი ახალ ვაჭრობას ქმნის.

ვალები არ გაგვაჩნია და თუ მათი აღება დაგვჭირდა, ისინი ჩვენი სიქველის სახელოვან მოგონებად დარჩება. თუ ჩვენი შთამომავლობისათვის მმართველობის მოწესრიგებული ფორმისა და დამოუკიდებელი კონსტიტუციის დატოვებას შევძლებთ, მაშინ ასეთი გარიგება ნებისმიერ ფასად მაინც იაფი იქნება. მაგრამ მილიონების ხარჯვა ერთ-ორი საძაგელი კანონის, ან სამინისტროს გასაუქმებლად, არ ღირს გაწეულ ძალისხმევად. ასეთი საქციელი შთამომავლობისადმი უკიდურესი სისასტიკის გამოვლინებაა, რადგან მათ მოუწევთ უზარმაზარი სამუშაოს გაწევა და ვალების გადახდა, რითაც ვერანაირ სარგებელს ვერ მიიღებენ. ასეთი აზრები შეუფერებელია პატიოსანი და ღირსეული ადამიანისათვის. ისინი გონებაშეზღუდულ ადამიანებსა და მეწვრილმანე პოლიტიკოსებს ახასიათებს.

საქმის განხორციელების შემთხვევაში ჩვენ მიერ აღებული ვალები განსაკუთრებულ ყურადღებას არც კი იმსახურებს. არც ერთი ერი არ უნდა იყოს ვალის გარეშე. ეროვნული ვალი ეროვნული ერთიანობის საწინდარია და თუ ის უპროცენტოა, მაშინ უკმაყოფილების საბაბიც არ არსებობს. ბრიტანეთი წელში წყდება ვალისაგან, რომლის რაოდენობაც ას ორმოც მილიონ სტერლინგს აჭარბებს და რისთვისაც ის ოთხი მილიონი სტერლინგის პროცენტს იხდის. თუმცა, ვალის სანაცვლოდ, მას დიდი ფლოტი ჰყავს. ამერიკას არ გააჩნია ვალი, მაგრამ არც ფლოტი ჰყავს. თუმცა, ინგლისის ეროვნული ვალის მეოცედი ნაწილის საფასურად, მას შეუძლია, იგივე ზომის ფლოტი ჰყავდეს. ამჟამად ინგლისის ფლოტის ღირებულება სამ მილიონ-ნახევარ სტერლინგს არ აღემატება.

აღნიშნული პამფლეტის პირველი და მეორე გამოცემა შემდეგი გამოთვლების გარეშე დაიბეჭდა. ეს გამოთვლები ამჯერად მოყვანილია იმის

დასადასტურებლად, რომ ჩვენ მიერ ზემოთ აღწერილი ფლოტის შეფასება სამართლიანია. იხ. ენტიკის[50] „საზღვაო ისტორია“, შესავალი, გვ. 36.

შესაბამისი სიმძლავრის ხომალდის აგების, მასზე ანძების, ქანდარების, იალქნებისა და ტაკელაჟის დამაგრების ხარჯები, ბოცმანისა და დურგლის რვა თვის სამყოფი საზღვაო მარაგის ხარჯებთან ერთად, ასეთია (დაანგარიშებულია საზღვაო საქმეთა მინისტრის, მისტერ ბარჩეტის[51] მიერ):

100 ქვემეხიანი ხომალდისათვის – £ 35 553;

90 ქვემეხიანი ხომალდისათვის – £ 29 886;

80 ქვემეხიანი ხომალდისათვის – £ 23 638;

70 ქვემეხიანი ხომალდისათვის – £ 17 785;

60 ქვემეხიანი ხომალდისათვის – £ 14 197;

50 ქვემეხიანი ხომალდისათვის – £ 10 606;

40 ქვემეხიანი ხომალდისათვის – £ 7 558;

30 ქვემეხიანი ხომალდისათვის – £ 5 846;

20 ქვემეხიანი ხომალდისათვის – £ 3 710.

აქედან ადვილია მთელი ბრიტანული ფლოტის ფასის, უფრო სწორედ, მისი ღირებულების გამოთვლა. 1757 წელს, თავისი დიდების მწვერვალზე, მისი შემადგენლობა ასეთი იყო:

ხომალდების რაოდენობა	ქვემეხების რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	სულ
6	100	35 553[52]	213 318
12	90	29 886	358 632
12	80	23 638	283 656
43	70	17 785	764 755
35	60	14 197	496 895
40	50	10 606	424 240
45	40	7 558	340 110
58	20	3 710	215 180
85 შხუნა, ბომბარდერი და ბრანდერი[53] ერთად აღებული		2 000	170 000
			3 266 786
ღირებულება –			
ქვემეხებისთვის რჩება –			233 214
ჯამი			3 500 000

დედამიწაზე არც ერთ ქვეყანას არ გააჩნია ისეთი ხელსაყრელი მდებარეობა და ფლოტის შესაქმნელად საჭირო შესაძლებლობები, როგორც ამერიკას. კუპრი, ხე-ტყე, რკინა და გემსართავის მასალა მის ბუნებრივ რესურსებს წარმოადგენს. საჭირო მასალისათვის საზღვარგარეთ წასვლა არ გვესაჭიროება, მაშინ, როცა ჰოლან-

დიელები, რომლებიც დიდ მოგებას ნახულობენ თავიანთი საზღვაო გემების ესპანეთისა და პორტუგალიისათვის მიქირავებით, იძულებულნი არიან, საჭირო მასალების უმეტესი ნაწილი სხვა ქვეყნებიდან შემოიტანონ. ფლოტის შექმნა უნდა განვიხილოთ, როგორც სავაჭრო საქმე, როგორც ჩვენი ქვეყნის ბუნებრივი წარმოება. ეს არის საუკეთესო წამოწყება, რომელშიც ფული თამამად შეგვიძლია ჩავდოთ. დასრულებული ფლოტის ღირებულება მის აგებაზე დახარჯულ თანხებს აღემატება. ფლოტი ეროვნული პოლიტიკის იმ მნიშვნელოვან პუნქტს წარმოადგენს, სადაც ვაჭრობისა და უსაფრთხოების ინტერესები ერთმანეთს კვეთს. მაშ, შევუდგეთ მის აგებას! თუ ფლოტი აღარ დაგვჭირდება, მაშინ შეგვიძლია, გავყიდოთ ის და ამის მეშვეობით ჩვენი ქალალდის ვალუტა ნამდვილი ოქროთი და ვერცხლით ჩავანაცვლოთ.

ფლოტის დაკომპლექტებისას, როგორც წესი, დიდ შეცდომებს უშვებენ ხოლმე. სულაც არ არის აუცილებელი, რომ შემადგენლობის ერთი მეოთხედი მეზღვაური იყოს. ხომალდ „თერიბლის" კაპერი, კაპიტანი დესი,[54] უკანასკნელი ომის დროს, ნებისმიერ გემთან სამკვდრო-სასიცოცხლო შებრძოლებას იგერიებდა, მიუხედავად იმისა, რომ გემბანზე ოცი მეზღვაურიც კი არ ჰყავდა, თუმცა მისი ეკიპაჟის სრული შემადგენლობა ორას კაცს აღემატებოდა. რამდენიმე უნარიანი და გულღია მეზღვაური სწრაფად შეასწავლის გემზე მუშაობას ეკიპაჟის აქტიური წევრების საკმარის რაოდენობას. ამიტომ, ახლა, როგორც არასდროს, შეგვიძლია, საზღვაო საქმეს მოვკიდოთ ხელი: ჩვენში ხე-ტყე ჯერ კიდევ გაუკაფია, თევზჭერა ბლოკირებულია, ჩვენი მეზღვაურები და გემის დურგლები კი უსაქმოდ არიან. ორმოცი წლის წინ ახალ ინგლისში[55] სამოცდაათ და ოთხმოც ქვემეხიან ხომალდებს აგებდნენ. რატომ არ შეგვიძლია იგივეს გაკეთება დღეს? გემთმშენებლობა ამერიკის უდიდესი სიამაყეა. დროთა განმავლობაში ის ამ საქმეში მთელ მსოფლიოს გაუსწრებს. აღმოსავლეთის დიდი იმპერიები, ძირითადად, სახმელეთო იმპერიებია. შესაბამისად, ისინი ამერიკას მეტოქეობას ვერ გაუწევენ. აფრიკა ბარბაროსულ მდგომარეობაში იმყოფება. რაც შეეხება ევროპას, იქ არც ერთ სახელმწიფოს არ გააჩნია ასეთი სიგრძის სანაპირო ზოლი და შინაგანი რესურსები. იქ, სადაც ბუნებამ ერთი გასცა, მეორის გაცემისაგან თავი შეიკავა. მხოლოდ ამერიკას უბოძა მან ერთიც და მეორეც. რუსეთის უზარმაზარი იმპერია თითქმის მოწყვეტილია ზღვას.[56] ამიტომ, მისი უსაზღვრო ტყეები, მისი კუპრი, რკინა და გემსართავი მასალა მხოლოდ ვაჭრობისთვის თუ გამოდგება.

უსაფრთხოების საკითხებიდან გამომდინარე, უნდა ვიყოთ თუ არა ფლოტის გარეშე? ჩვენ უკვე აღარ ვართ პატარა ხალხი, როგორც ეს იყო სამოცი წლის წინ. იმ დროში შეგვეძლო, ჩვენი ქონება ქუჩებისთვის, უფრო სწორად, მინდვრებისთვის მიგვენდო და მშვიდად დაგვეძინა ისე, რომ კარ-ფანჯრები ბოქლომებითა და ურდულებით არ ყოფილიყო ჩაკეტილ-ჩარაზული. ახლა მდგომარეობა შეიცვალა და ჩვენი თავდაცვის საშუალებები ჩვენივე ქონების ზრდასთან ერთად უნდა გაუმჯობესდეს. თორმეტი თვის წინ ჩვეულებრივ ყაჩაღს შეეძლო, აღმა აჰყოლოდა

დელავერს[57] და ქალაქ ფილადელფიისაგან მყისიერი კონტრიბუცია მოეთხოვა იმ თანხის ოდენობით, რაც მას მოეპრიანებოდა. მსგავსი რამ, შესაძლოა, სხვა ადგილზეც მომხდარიყო. მეტიც, ნებისმიერ თავზეხელაღებულს თოთხმეტ, ან თექვსმეტ ქვემეხიანი ბრიგით[58] მთელი კონტინენტის გაძარცვა და ამ გზით ნახევარი მილიონი ფუნტის შეგროვება შეეძლო. აღნიშნული გარემოებები ჩვენ ყურადღებას მოითხოვენ და საზღვაო თავდაცვის აუცილებლობაზე მიგვითითებენ.

ზოგიერთი, ალბათ, იტყვის, რომ მას შემდეგ, რაც ბრიტანეთს შევურიგდებით, ის ჩვენ დაგვიცავს. შეიძლება ისეთი უგუნურები ვიყოთ და ვირწმუნოთ, რომ ბრიტანეთი ამ მიზნით განათავსებს თავის ფლოტს ჩვენს ნავმისადგომებში? საღი აზრი გვკარნახობს, რომ ხელისუფლება, რომელმაც ჩვენი დამორჩილება სცადა, ყველაზე ნაკლებად გამოდგება ჩვენს თავდასაცავად. დაპყრობა, შესაძლებელია, მეგობრობის ნიღბით განხორციელდეს. ასეთ შემთხვევაში, ხანგრძლივი და მამაცი წინააღმდეგობის მიუხედავად, ბოლოს მაინც მონობის უღელქვეშ ამოვყოფთ თავს. ხოლო თუ ბრიტანეთის ხომალდებს ჩვენს ნავსადგურებში არ შემოვუშვებთ, მაშინ როგორ შეძლებს ის ჩვენს დაცვას? სამი თუ ოთხი ათასი მილის მოშორებით მდებარე ფლოტი ნაკლებად სასარგებლოა, ხოლო მოულოდნელი შემთხვევების დროს – საერთოდ არაფრის მომცემი. ამიტომ, თუ მომავალში საკუთარი თავის დაცვა მოგვიწევს, რატომ არ უნდა გავაკეთოთ ეს ჩვენ თვითონ? რატომ უნდა მივანდოთ ეს საქმე სხვას?

ინგლისის სამხედრო ხომალდების ნუსხა ვრცელი და შიშისმომგვრელია, მაგრამ მათი

მეათედიც კი არ არის საბრძოლო მზადყოფნაში ნებისმიერ დროს. ზოგიერთი ხომალდი უკვე არც არსებობს, მაგრამ მათი სახელი მაინც საზეიმოდ იხსენიება სიაში, მიუხედავად იმისა, რომ მთელი ხომალდიდან მხოლოდ ერთი ფიცარიღაა შემორჩენილი. რაც შეეხება იმ ხომალდებს, რომლებიც საბრძოლო მზადყოფნაში იმყოფებიან, საჭიროების შემთხვევაში, ერთ ადგილზე მათი მეხუთედის შეგროვებაც კი ვერ მოხერხდება. ოსტ – და ვესტ-ინდოეთი, ხმელთაშუა ზღვა, აფრიკა და მსოფლიოს სხვა ნაწილები, სადაც ბრიტანეთის ძალაუფლება ვრცელდება, მისი ფლოტისაგან დიდ რესურსებს მოითხოვს. ცრურწმენებისა და უყურადღებობის გამო, ბრიტანეთის ფლოტის მიმართ მცდარი დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა. ჩვენ ისე ვლაპარაკობდით მის შესახებ, თითქოს მთელ ფლოტთან დაპირისპირება მყისიერად მოგვიწევდა. ამის გამო ვთვლიდით, რომ ჩვენც ისეთივე დიდი ფლოტი უნდა გვყოლოდა, როგორიც ინგლისელებს აქვთ. რადგან ასეთი ფლოტის სწრაფად შექმნა შეუძლებელია, შენიღბული ტორების[59] ჯგუფმა ჩვენი წამოწყების წელში გატეხა სცადა. მაგრამ არაფერია ჭეშმარიტებისაგან ისე შორს, როგორც ზემოთ მოყვანილი მსჯელობა. ამერიკა ინგლისის საზღვაო ძლიერების მეოცედ ნაწილს მაინც რომ ფლობდეს, აშკარად მასზე აღმატებული იქნება. ეს იმიტომ, რომ ჩვენ არ გაგვაჩნია უცხოური სამფლობელოები და არც ვაცხადებთ პრეტენზიას მათზე. შესაბამისად, მთელი ჩვენი ძალა ჩვენს ნაპირებთან იქნება ამოქმედებული. ერთი სიტყვით, ორჯერ მეტ უპირატესობას მოვიპოვებდით მოწინააღმდეგესთან მიმართებით,

რადგან ჩვენზე შეტევის განსახორციელებლად მას სამი თუ ოთხი ათასი მილის გადმოლახვა მოუწევდა, მასალებისა და შემადგენლობის გასაახლებლად კი იგივე მანძილის გადალახვა მოუხდებოდა. მართალია, ბრიტანეთს, თავისი ფლოტის მეშვეობით, შეუძლია ევროპასთან ჩვენი ვაჭრობის გაკონტროლება, თუმცა ჩვენც ასეთივე წარმატებით შეგვიძლია, მისი ვაჭრობის გაკონტროლება ვესტ-ინდოეთთან, რომელიც, კონტინენტთან მისი სიახლოვის გამო, თავიდან ბოლომდე მასზეა დამოკიდებული.

იმ შემთხვევაში, თუ საჭიროდ არ ჩავთვლიდით მუდმივი სამხედრო-საზღვაო ფლოტის არსებობას, შესაძლოა, გამონახულიყო რაიმე მეთოდი, რომელიც, მშვიდობიანობის პერიოდში, ფლოტის შენახვის საშუალებას მოგვცემდა. თუ მოხდებოდა პრემიების გაცემა იმ ვაჭრებისათვის, რომლებიც ააგებდნენ და გამოიყენებდნენ ისეთ ხომალდებს, სადაც განთავსებული იქნებოდა ოციდან ორმოცდაათამდე ქვემეხი (პრემიები პროპორციული იქნებოდა ტვირთის იმ წონისა, რომელსაც ვაჭრები ხომალდებზე ქვემეხების განთავსებით დაკარგავდნენ), მაშინ ორმოცდაათი, ან სამოცი ასეთი ხომალდი, მუდმივ სამსახურში მყოფ რამდენიმე სადაზვერვო ხომალდთან ერთად, საკმარისი სიძლიერის ფლოტს შექმნიდა. ეს არანაირად არ დაამძიმებდა ჩვენს მდგომარეობას ინგლისისაგან განსხვავებით, სადაც სერიოზულად წუხან იმის გამო, რომ მშვიდობიანობის ჟამს ხომალდები დოკებში ლპება. ვაჭრობისა და თავდაცვის ძალების გაერთიანება გონივრული პოლიტიკაა, რადგან, როდესაც ჩვენი სიძლიერე და სიმდიდრე ერთმანეთს ხელს შეუწყობს, მაშინ

გარეშე მტრის არ უნდა შეგვეშინდეს.

თავდაცვისათვის საჭირო ყველა მასალა ჩვენთან უხვად მოიპოვება. კანაფი საკმარისზე მეტი გვაქვს, ასე რომ, გემსართავის მასალის საჭიროებას ჩვენ არ განვიცდით. ჩვენი რკინა სხვა ქვეყნების რკინაზე უმჯობესია, ხოლო ცეცხლსასროლი იარაღით მსოფლიოში არავის ჩამოუვარდებით. ქვემეხების ჩამოსხმა უსასრულოდ შეგვიძლია, გვარჯილასა და თოფისწამალს კი ყოველდღიურად ვაწარმოებთ. ჩვენი ცოდნა ყოველწუთიერად ივსება და ახალი გამოცდილებით მდიდრდება. გამბედაობა ჩვენი განუყრელი თვისებაა, ხოლო სიმამაცეს არასოდეს უღალატია ჩვენთვის. ამიტომ, რა გვსურს ჩვენ? რატომ ვმერყეობთ? ბრიტანეთისაგან გასადგურების მეტს არაფერს უნდა ველოდეთ. თუ მას კიდევ ერთხელ აღიარებენ ამერიკის მმართველად, მაშინ ეს კონტინენტი საცხოვრებლად აღარ ივარგებს. ეჭვიანობა და აჯანყებები მისი განუყრელი თანამგზავრები შეიქნებიან. ვინ შეძლებს მათ ჩახშობას? ვინ ჩააგდებს საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში იმისათვის, რათა თანამემამულეები უცხოელ დამპყრობელთა უღელქვეშ მოაქციოს? პენსილვანიასა და კონეკტიკუტს შორის არსებული უთანხმოება ზოგიერთი დაუსახლებელი მიწის გამო, ბრიტანული ხელისუფლების უდღეურობასა და უსუსურობაზე მიუთითებს და ცალსახად აჩვენებს, რომ კონტინენტური საქმეების გადაჭრა მხოლოდ კონტინენტურ ხელისუფლებას შეუძლია.

კიდევ ერთი გარემოება, რის გამოც ახლანდელი დრო უაღრესად ხელსაყრელია, ასეთია: რაც უფრო მცირეა ჩვენი რიცხვი, მით უფრო

მეტია აუთვისებელი მიწები. იმის ნაცვლად, რომ მეფემ ეს მიწები თავის ლაქიებს ჩამოურიგოს, ჩვენ შეგვიძლია, ეს მიწები მომავალში გამოვიყენოთ როგორც ვალების დასაფარად, ასევე, ხელისუფლების მუდმივი მხარდაჭერისთვისაც. ასეთი უპირატესობა დედამიწაზე არც ერთ ერს არ გააჩნია.

კოლონიების ჩანასახოვანი მდგომარეობა, როგორც მას უწოდებენ ხოლმე, დამოუკიდებლობის სასარგებლოდ მოქმედებს და არა მის საწინააღმდეგოდ. ჩვენ საკმარისად მრავალრიცხოვანნი ვართ. კიდევ უფრო მეტნი რომ ვყოფილიყავით, შეიძლება, ჩვენს შორის ნაკლები ერთიანობა ყოფილიყო. ყურადღებას იმსახურებს შემდეგი გარემოება: რაც უფრო მეტია ქვეყნის მოსახლეობა, მით უფრო მცირე არმია ჰყავს ამ ქვეყანას. სამხედრო ძალის რაოდენობით ძველი ქვეყნები გაცილებით აღემატებოდნენ თანამედროვე ქვეყნებს. მიზეზი ნათელია: რადგან ვაჭრობას მოსახლეობის რაოდენობა განაპირობებს, ადამიანები იმდენად არიან დაკავებული ამ საქმიანობით, რომ სხვა რამეებისთვის დრო აღარ რჩებათ. ვაჭრობა აკნინებს პატრიოტულ და სამხედრო სულისკვეთებას. ისტორია დამაჯერებლად გვასწავლის, რომ ყველაზე უფრო თამამ მიღწევებს ესა თუ ის ერი თავისი არასრულწლოვანების დროს აღწევდა. ვაჭრობის ზრდასთან ერთად, ინგლისმა დაკარგა თავისი სულისკვეთება. ქალაქი ლონდონი, მიუხედავად მისი მოსახლეობის მრავალრიცხოვნებისა, ლაჩრულად ითმენს გაუთავებელ შეურაცხყოფას. რაც უფრო მეტი აქვს ადამიანს დასაკარგი, მით უფრო ეკარგება მას ხალისი გაბედული მოქ-

მედებისაკენ. როგორც წესი, მდიდრები მუდამ მონურ შიშში არიან და, სამეფო კარის ძალაუფლებას მლიქვნელი ადამიანის ნიღაბქვეშ ამოფარებულნი, ცახცახით მორჩილებენ.

როგორც ცალკეულ ადამიანებში, ასევე, მთელ ერებშიც, ახალგაზრდობის პერიოდი კარგი ჩვევების ჩამოყალიბების დროა. ნახევარი საუკუნის შემდეგ, ალბათ, რთული (ან, სულაც, შეუძლებელი) იქნება კონტინენტზე ერთიანი ხელისუფლების ჩამოყალიბება. ვაჭრობისა და მოსახლეობის ზრდით განპირობებული ინტერესთა უსაზღვრო მრავალფეროვნება არევ-დარევას გამოიწვევდა. კოლონია კოლონიის წინააღმდეგ ამხედრდებოდა და ვინც კი შეძლებდა, უკუაგდებდა მეორის დახმარებას. ვიდრე ამაყნი და უგუნურნი უბადრუკი განსხვავებებით დატკბებოდნენ, გონიერი ადამიანები მწუხარებას მიეცემოდნენ იმის გამო, რომ კავშირი უფრო ადრე აღარ შედგა. ამიტომ, **ახლანდელი დრო ყველაზე უფრო ხელსაყრელია** კავშირის ჩამოსაყალიბებლად. ბავშვობის დროს გაჩენილი სიახლოვის გრძნობა და გაჭირვების ჟამს ჩამოყალიბებული მეგობრობა, სხვა ყველაფერთან შედარებით, ყველაზე უფრო ხანგრძლივი და უცვლელია. ჩვენს ახლანდელ კავშირს ორივე ეს ნიშანი ახასიათებს: ჩვენ ახალგაზრდები ვართ და, ამავე დროს, განსაცდელში ვიმყოფებით. მაგრამ ჩვენმა ერთსულოვნებამ დაძლია ჩვენ წინაშე არსებული სირთულეები და, ჩვენი შთამომავლობის საამაყოდ, დაუვიწყარი ეპოქა შექმნა.

გარდა ამისა, ახლანდელი დრო ის განსაკუთრებული მომენტია, რომელიც ერის ისტორიაში მხოლოდ ერთხელ დგება, კერძოდ, მაშინ,

როდესაც ის ხელისუფლებას აყალიბებს. ბევრმა ერმა ხელიდან გაუშვა ეს შესაძლებლობა, რის გამოც, შემდეგში, იმის ნაცვლად, რომ თვითონ შეექმნა საკუთარი კანონები, იძულებული შეიქნა, თავისი დამპყრობლებისაგან მიეღო ისინი. მათ ჯერ მეფე ჰყავდათ, ხოლო მმართველობის ფორმა შემდეგ მიიღეს. მაგრამ, წესით, ჯერ უნდა ჩამოყალიბდეს ხელისუფლებისათვის აუცილებელი წესებისა და კანონების ერთობლიობა, ხოლო შესაბამისი პირები მათ აღსასრულებლად შემდგომ უნდა იქნენ არჩეულნი. სხვა ერების მიერ დაშვებული შეცდომებისგან ჭკუა უნდა ვისწავლოთ და ხელიდან არ უნდა გავუშვათ ეს შესაძლებლობა: **დავიწყოთ ხელისუფლების შექმნა ხელსაყრელი მომენტიდან.**

როდესაც უილიამ დამპყრობელმა ინგლისი დაიმორჩილა, მან ინგლისელებს კანონები მახვილის ბასრი პირით გადასცა. ვიდრე არ დავთანხმდებით, რომ ხელისუფლება ამერიკაში სამართლიანად და ღირსეულად იქნეს ჩამოყალიბებული, მუდამ იარსებებს იმის საფრთხე, რომ იქ მოხვდება ვიღაც იღბლიანი არამზადა, რომელიც ისე მოგვექცევა ჩვენ, როგორც უილიამ დამპყრობელი ექცეოდა ინგლისელებს. სადღა იქნება მაშინ ჩვენი თავისუფლება ან საკუთრება?

რაც შეეხება რელიგიას, მიმაჩნია, რომ ყოველი პატიოსანი მორწმუნის დაცვა ნებისმიერი ხელისუფლების აუცილებელი მოვალეობაა. სხვა მხრივ, ხელისუფლებას რელიგიასთან არაფერი ესაქმება. ადამიანმა უნდა უკუაგდოს ის პრინციპული ეგოიზმი და გონებაშეზღუდულობა, რომლისგან განშორებაც ასე ეძნელება ნებისმიერი აღმსარებლობის მქონე გონებაშეზღუდულ

ადამიანს და იგი მყისვე გათავისუფლდება ყოველგვარი შიშისაგან, რომელიც ამ საკითხს უკავშირდება. ეჭვიანობა მდაბალ ადამიანებს ახასიათებთ. ის დამღუპველად მოქმედებს ნებისმიერ ჯანსაღ საზოგადოებაზე. რაც შემეხება მე, ღრმად მწამს, რომ ჩვენს ირგვლივ არსებული რელიგიური შეხედულებების მრავალფეროვნება ყოვლისშემძლე ღმერთის ნებითაა განპირობებული. ეს გარემოება ჩვენს ქრისტიანულ სიყვარულს უფრო ფართო გასაქანს აძლევს. ყველანი რომ ერთნაირად ვაზროვნებდეთ, ჩვენს რელიგიურ მიდრეკილებებს ვერაფერში გამოვცდიდით. ამ ლიბერალური პრინციპის საფუძველზე, განსხვავებული აღმსარებლობები მიმაჩნია ერთი ოჯახის შვილებად, რომლებიც მხოლოდ ქრისტიანული სახელებით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

მე-80-ე გვერდზე გაკვრით მივანიშნე კონტინენტური ქარტიის მიზანშეწონილობის შესახებ (ჩემი სურვილი იყო მხოლოდ რჩევების შემოთავაზება და არა გეგმის შედგენა). თავს უფლებას მივცემ და კიდევ დავუბრუნდები მოცემულ საკითხს: ქარტია უნდა განვიხილოთ, როგორც საზეიმო ვალდებულება, რომელსაც საზოგადოება, როგორც მთლიანობა, საკუთარ თავზე იღებს მისი ყოველი ცალკეული ნაწილის უფლებების (რელიგიურ, პირად თავისუფლებასა და საკუთრებასთან დაკავშირებული უფლებების) დასაცავად. მტკიცე შეთანხმება და ზუსტი გათვლა ხანგრძლივი მეგობრობის საწინდარია.

79-ე გვერდზე, ასევე, მივუთითე ვრცელი და თანასწორი წარმომადგენლობის აუცილებლობის შესახებ. ეს არის პოლიტიკური საკითხი, რო-

მელიც ჩვენგან ყველაზე უფრო მეტ ყურადღებას მოითხოვს. ამომრჩეველთა, ან წარმომადგენელთა მცირე რაოდენობა თანაბრად საშიშია. ხოლო იმ შემთხვევაში, როდესაც წარმომადგენელთა რიცხვი არა მხოლოდ მცირე, არამედ არათანაბარიცაა, მაშინ საფრთხე იზრდება. მაგალითისათვის შემდეგ ფაქტს მოვიყვანთ: როდესაც ასოციატორთა პეტიცია პენსილვანიის ასამბლეაზე განიხილებოდა,[60] სხდომას მხოლოდ ასამბლეის ოცდარვა წევრი ესწრებოდა. ბაქსის საგრაფოს ყველა წარმომადგენელმა (სულ რვა წევრი), ასოციაციის წინააღმდეგ მისცა ხმა. ჩესტერის საგრაფოს წარმომადგენლებს (შვიდი წევრი) იგივე რომ გაეკეთებინათ, მაშინ მთელი პროვინციის მართვა-გამგეობა მხოლოდ ორი საგრაფოს ხელში აღმოჩნდებოდა. ასეთი საფრთხე მას ყოველთვის ემუქრება. იმ არაფრით გამართლებულმა შეყოვნებამ, რომელიც აღნიშნულმა ასამბლეამ თავის უკანასკნელ სხდომაზე იმისათვის გამოიწვია, რათა ამ პროვინციის დელეგატებზე უსაზღვრო ძალაუფლება მოეპოვებინა, ხალხს ჭკუა უნდა ასწავლოს და დააფიქროს იმაზე, თუ ვის და როგორ გადასცემს ძალაუფლებას. დელეგატებისათვის შედგენილ იქნა ერთობლიობა ინსტრუქციებისა, რომლებიც, ფორმითა და შინაარსით, თვით სკოლის მოსწავლისთვისაც კი სამარცხვინო და შეუფერებელი იქნებოდა. მას შემდეგ, რაც კულუარებში ეს ინსტრუქციები მოწონებული იქნა **მცირე, ძალიან მცირე** რაოდენობის ადამიანთა მიერ, ისინი წარადგინეს ასამბლეაში და **მთელი კოლონიის სახელით** დაამტკიცეს. კოლონიის მაცხოვრებლები მყისვე დაკარგავდნენ ასამ-

ბლეის ნდობას, მათ რომ სცოდნოდათ, თუ რა არაკეთილმოსურნე გრძნობით გაატარა ასამბლეამ ზოგიერთი აუცილებელი საზოგადოებრივი ღონისძიება.

უკიდურესი საჭიროება ბევრ ისეთ რამეს ხდის ასატანს, რომელთა გაჭიანურების შემთხვევაში, ჩაგვრა აუტანელი იქნებოდა. მიზანშეწონილობა და სამართლიანობა ერთმანეთისაგან განსხვავდება. როდესაც თავს დატეხილი უბედურებების გამო, ამერიკას რჩევები სჭირდებოდა, რამდენიმე ასამბლეიდან წარმომადგენლების დანიშვნა ყველაზე უფრო სწრაფი და შესაფერისი საშუალება იყო ამ მიზნის მისაღწევად. ამ ადამიანების მიერ გამოჩენილმა სიბრძნემ იხსნა კონტინენტი განადგურებისაგან. რადგან მთელი დამაჯერებლობით შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ არასოდეს ვიქნებით **კონგრესის** გარეშე, ამიტომ წესრიგის ყოველმა მოსურნემ უნდა აღიაროს: ასამბლეაში წევრების არჩევის წესი გადასახედია. კაცობრიობის შემსწავლელებს ვუსვამ ასეთ შეკითხვას: ხომ არ არის **წარმომადგენლობისა და არჩევის** უფლება ზედმეტი ძალაუფლება ერთი და იმავე ორგანოსათვის? როდესაც შთამომავლობისათვის გეგმებს ვადგენთ, უნდა გვახსოვდეს, რომ სიქველე მემკვიდრეობით არ გადაიცემა.

ხშირად საუკეთესო გაკვეთილებს ჩვენი დაუძინებელი მტრები გვაძლევენ, ხოლო მათი შეცდომები გონებას გვინათებენ ხოლმე. მისტერ კორნუელი, ხაზინის ერთ-ერთი ლორდი,[61] ზიზღით განეწყო ნიუ-იორკის ასამბლეის პეტიციის მიმართ, რადგან, მისი სიტყვებით, აღნიშნული ასამბლეა მხოლოდ ოცდაექვსი წევრისაგან

შედგებოდა. ასეთი უმნიშვნელო რაოდენობის მიჩნევა მთელი კოლონიის წარმომადგენლობად, მისი აზრით, არაღირსეული იქნება. ლორდი კორნუელი თავისი უნებური პატიოსნებისათვის მადლობას იმსახურებს.*

დაბოლოს, აღვნიშნავ, რაც არ უნდა უცნაურად ეჩვენოს ზემოთქმული ზოგიერთს და რაც არ უნდა უარყოფითად იყვნენ განწყობილნი მის მიმართ, ეს არაფერს შეცვლის. შესაძლებელია მრავალი დამაჯერებელი და ყურადსაღები არგუმენტის მოყვანა იმის საჩვენებლად, რომ სხვა არაფერს შეუძლია ჩვენი საქმეების სწრაფად მოგვარება, როგორც დამოუკიდებლობის ღია და ურყევ გამოცხადებას. გთავაზობთ ამ არგუმენტებიდან რამდენიმეს:

პირველი. ერებს შორის არსებობს ასეთი წესი: როდესაც ორი სახელმწიფო ერთმანეთთან საომარ მდგომარეობაში იმყოფება, მაშინ ის სახელმწიფოები, რომლებიც დაპირისპირებაში არ მონაწილეობენ, შუამავლის როლში გამოდიან და საზავო მოლაპარაკებებს აწარმოებენ. მაგრამ, ვიდრე ამერიკა საკუთარ თავს დიდი ბრიტანეთის ქვეშევრდომს უწოდებს, ვერც ერთი სახელმწიფო (რაც არ უნდა კეთილგანწყობილი იყოს ის) ვერ შეძლებს შუამავლობას. ამიტომ, ახლანდელ მდგომარეობაში, ჩვენი დაპირისპირება, შესაძლოა, მარადიულად გაგრძელდეს.

მეორე. უგუნურება იქნება იმის დაშვება, რომ საფრანგეთი, ან ესპანეთი რაიმე სახის დახმარებას გაგვიწევს, თუ ჩვენი სურვილი მხოლოდ ის იქნება, რომ ამ დახმარების მეშვეობით განხეთქილება აღმოვფხვრათ და ბრიტანეთსა და ამერიკას შორის კავშირი კიდევ უფრო გავაძლიეროთ, ვინაიდან ასეთი შედეგი ზემოხსენებულ სახელმწიფოებს დააზარალებს.

მესამე. ვიდრე თავს ბრიტანთის ქვეშევრდომებად ვაცხადებთ, სხვა ხალხთა თვალში აჯანყებულებად ვრჩებით. ეს პრეცენდენტი რაღაცნაირად საფრთხეს უქმნის **მათ მშვიდობას,** რადგან, ამ შემთხვევაში, შეიარაღებული ადამიანები საკუთარ თავს ქვეშევრდომებს უწოდებენ. ჩვენ, ვინც მოვლენათა შუაგულში ვტრიალებთ, შეგვიძლია ამ პარადოქსის ახსნა, მაგრამ წინააღმდეგობისა და მორჩილების გაერთიანება ჩვეულებრივი განსჯის ძალ-ღონეს აღემატება.

მეოთხე. უნდა გამოიცეს მანიფესტი, რომელიც გაიგზავნება უცხო სახელმწიფოთა სამეფო კარზე; მასში აღწერილი უნდა იყოს ის უბედურებები, რომლებიც ჩვენ გადავიტანეთ და ის მშვიდობიანი მეთოდები, რომლებიც ჩვენ უშედეგოდ გამოვიყენეთ სამართლიანობის აღსადგენად. ამავე დროს, უნდა გამოცხადდეს, რომ ჩვენ უკვე აღარ შეგვიძლია ბედნიერად და უსაფრთხოდ ცხოვრება ჩვენს მიმართ ბრიტანეთის სამეფო კარის სასტიკი დამოკიდებულების გამო; რის შედეგადაც, ჩვენ იძულებულნი გავხდით, ყოველგვარი კავშირი გაგვეწყვიტა მასთან. გარდა ამისა, უნდა დავარწმუნოთ უცხო სახელმწიფოები ჩვენს კეთილგანწყობაში მათ მიმართ, რაც გამყარებული უნდა იქნეს მათთან ვაჭრობის დამყარების სურვილით. ასეთი მემორანდუმი ბევრად უფრო სასარგებლო იქნება

---

* ვისაც სურს, გაიგოს, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფართო და თანაბარი წარმომადგენლობის საკითხი სახელმწიფოსათვის, გაეცნოს ბურგის „პოლიტიკურ გამოკვლევებს.“ (ჯეიმს ბურგი (1714-1775 წწ.) – ინგლისელი პოლიტიკოსი, – *მთარგმ. შენიშვნა*).

კონტინენტისთვის, ვიდრე ბრიტანეთისათვის - დაწერილი პეტიციებით დატვირთული მთელი გემი.

ვიდრე ბრიტანეთის ქვეშევრდომებად ვიწოდებით, საზღვარგარეთ არც მიგვიღებენ და არც მოგვისმენენ. ყველა სამეფო კარის წეს-ჩვეულება ჩვენ წინააღმდეგაა მომართული და ასე გაგრძელდება მანამ, ვიდრე დამოუკიდებლობის გამოცხადებით სხვა ერების თანასწორ მდგომარეობას არ მოვიპოვებთ.

ეს ქმედებები, შესაძლოა, თავდაპირველად, უცნაური და რთულად განსახორციელებელი ჩანდეს. მაგრამ ყველა იმ ნაბიჯის მსგავსად, რომლებიც უკვე გადავდგით, ძალზე მცირე დროში ისინი ჩვეულებრივი და მისაღები იქნება. დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე კონტინენტი იმ ადამიანივით იგრძნობს თავს, რომელიც მუდამ გადადებს ხოლმე რაღაც არასასიამოვნო საქმეს, თუმცკი იცის, რომ ის მაინც უნდა გაკეთდეს. მას სძულს საქმის წამოწყება, ეჩქარება მისი დამთავრება, თავს კი მუდამ დასტრიალებს ფიქრები მისი აუცილებლობის შესახებ.

დანართი

აღნიშნული პამფლეტის პირველი გამოცემის გამოქვეყნების შემდეგ, ან, უფრო სწორედ, იმ დღეს, როდესაც ის გამოიცა, ამ ქალაქში ცნობილი გახდა მეფის სიტყვა.[62] ამ ნაწარმოების დაბადება წინასწარმეტყველური სულის მეოხებით რომ მომხდარიყო, ის ამაზე უფრო ხელსაყრელ დროსა და გარემოებას ვერ შეარჩევდა. ერთი ტექსტის სისხლიანი სულისკვეთება მეორეში გამოხატული შეხედულებების გაზიარების აუცილებლობას აჩვენებდა. ადამიანები მას შურისძიების მიზნით კითხულობდნენ. ხალხის შეშინებისა და დაფრთხობის ნაცვლად, მეფის სიტყვამ ნიადაგი შეუმზადა დამოუკიდებლობის გამბედავ პრინციპებს.

ცერემონიულობა და თვით მდუმარებაც კი, როგორი მოტივებიდანაც არ უნდა იყოს წარმოშობილი, მტკივნეული შედეგების მომტანია იმ შემთხვევაში, როცა ისინი, თუნდაც მცირედით, მაინც ამართლებენ მდაბალ და ბოროტ ქმედებებს. ამიტომაც, აღნიშნული დებულების გაზიარების შემთხვევაში, ბუნებრივად გამომდინარეობს, რომ მეფის სიტყვა, როგორც სრულყოფილი ბოროტმოქმედების გამოვლინება, კონგრესისა და ხალხის სახელით, საყოველთაო გაკიცხვას იმსახურებდა და ახლაც იმსახურებს. თუმცა, რადგან ხალხის სიმშვიდე ქვეყანაში დიდწილადაა დამოკიდებული **ერის ზნე-ჩვეულებათა** სიწმინდეზე, ხშირ შემთხვევაში, უმჯობესია, გარკვეულ მოვლენებს ჩუმი ზიზღით გვერ-

დი ავუაროთ, ვიდრე მტრობის გამოხატვის ისეთ მეთოდებს მივმართოთ, რომლებმაც, შესაძლოა, სულ მცირედით მაინც შერყვნან ჩვენი ზნე-ჩვეულებანი, ჩვენი მშვიდობისა და უსაფრთხოების მცველნი. ალბათ, სწორედ ამ გონივრული დელიკატურობით აიხსნება ის გარემოება, რომ მეფის სიტყვა დღემდე არ გამხდარა საჯარო გაკიცხვის საგანი. ეს სიტყვა (თუ საერთოდ შეიძლება მას ასე ვუწოდოთ) სხვა არაფერია, თუ არა წინასწარგანზრახული და თავხედური გამოხტომა ჭეშმარიტების, საყოველთაო კეთილდღეობისა და კაცობრიობის არსებობის წინააღმდეგ. ეს არის მაღალფარდოვანი და გაბღენძილი მცდელობა, რომელიც ტირანთა სიამაყის დასაკმაყოფილებლად ადამიანურ მსხვერპლს მოითხოვს. მაგრამ კაცობრიობის საყოველთაო ამოწყვეტა ხომ მეფეთა ერთ-ერთი პრივილეგია და მათი არსებობიდან გამომდინარე შედეგია. რადგან ბუნება მათ **არ** აღიარებს, **არც** ისინი ცნობენ მას და თუმცა **ჩვენი** შექმნილები არიან, მაინც არ გვაღიარებენ და თავიანთ შემქმნელთა ღმერთებად გვევლინებიან. მეფის სიტყვას ერთი კარგი თვისება აქვს: ის არ არის მოტყუებაზე გათვლილი. ამიტომ, კიდეც რომ გვდომოდა საკუთარი თავის მოტყუება, ის მაინც ვერ მოგვატყუებდა. ამ სიტყვიდან სისასტიკე და ტირანია გამოსჭვივის. ის ეჭვსაც კი არ გვიტოვებს და ყოველი სტრიქონი უფრო გვარწმუნებს, რომ უსწავლელი და შიშველი ინდიელი, რომელიც ნადავლის მოსაპოვებლად ტყეში დაძრწის, უფრო ნაკლებად ველურია, ვიდრე დიდი ბრიტანეთის მეფე.

სერ ჯ...ნ დ...მა,[63] წუწუნა იეზუიტური ნაწარ-

მოების (რომელსაც მცდარად დაარქვეს „ინგლისელი ხალხის მიმართვა ამერიკის მაცხოვრებლებისადმი“) სავარაუდო ავტორმა, მცდარი ვარაუდის საფუძველზე, რომ თითქოს აქაური ხალხი დაფრთხებოდა მეფის ბრწყინვალებითა და მისი აღწერით, სინამდვილეში მისი ჭეშმარიტი ხასიათი წარმოაჩინა (რაც საკმაოდ უგუნური ნაბიჯი იყო მისი მხრიდან). იგი წერს: „ხოლო, თუ თქვენ საიმისოდ ხართ განწყობილნი, რომ ხოტბა შეასხათ იმ მმართველობას, რომელსაც ჩვენ არ ვუჩივით“ (მას მხედველობაში აქვს მარკიზ როკინგემის[64] მთავრობა საღერბო გადასახადის შესახებ კანონის გაუქმების დროს), „მაშინ თქვენი მხრიდან დიდი უსამართლობა იქნება, ქებითა და დიდებით არ მოიხსენიოთ ის ხელისუფალი, რომლის **თავის დაქნევის გარეშეც ეს მმართველობა არაფრის მაქნისი იქნებოდა.**“ აი, ტორიზმის ჭეშმარიტი გამოვლინება! ეს არის კერპთაყვანისმცემლობა, ყოველგვარი შენიღბვის გარეშე. ის ადამიანი, რომელსაც შეუძლია ამ მოძღვრების მშვიდად მოსმენა და ატანა, ყოველგვარ უფლებას კარგავს, გონიერ არსებად იწოდებოდეს. იგი ადამიანური გვარის მოღალატეა. მას უნდა ექცეოდნენ, როგორც ისეთ ადამიანს, რომელმაც არა მხოლოდ უარყო ადამიანური ღირსება, არამედ ცხოველზე დაბლაც კი დაეშვა და ჭიაყელასავით საზიზღრად იკლაკნება მიწაზე.

თუმცა ახლა ნაკლები მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რას იტყვის, ან რას მოიმოქმედებს ინგლისის მეფე. მან ზიზღით აქცია ზურგი ყოველგვარ მორალურ და ადამიანურ ვალდებულებას, ფეხქვეშ გათელა ბუნების წესიცა და სინდისიც და,

მისთვის მუდმივად დამახასიათებელი ქედმაღ-
ლობისა და სისასტიკის გამო, საყოველთაო სი-
ძულვილი და ზიზღი დაიმსახურა. სწორედ **ახლა**
ამერიკის ინტერესებში საკუთარ თავზე ზრუნვა
შედის. მას უკვე ჰყავს დიდი და ახალგაზრდა
ოჯახი. მისი მოვალეობაა, იზრუნოს ამ ოჯახზე
და არ გაფლანგოს მისი ქონება იმ ძალაუფლების
მხარდასაჭერად, რომელიც სამარცხვინოდ იქ-
ცა ქრისტიანი ადამიანების თვალში. თქვენ,
რომელთა საქმეც, მიუხედავად თქვენი აღმ-
სარებლობისა, ერის ზნე-ჩვეულებებზე თვალის
მიდევნებაა; თქვენ, ვინც უშუალოდ საზოგადოე-
ბრივი თავისუფლების სადარაჯოზე დგახართ,
თუ გსურთ თქვენი მშობლიური ქვეყნის დაცვა
ევროპული სიბინძურისა და სიბილწისაგან, მაშინ
გულის სიღრმეში განცალკევება უნდა გსურდ-
ეთ. საკითხის მორალური მხარე კერძო განაზრე-
ბებისთვის დამითმია, ჩემს შემდგომ შენიშვნებში
კი, ძირითადად, შემდეგი საკითხებით შემოვი-
ფარგლები:

პირველი. ბრიტანეთისაგან განცალკევება
ამერიკის ინტერესებში შედის.

მეორე. რომელია ყველაზე უფრო მარტივი და
პრაქტიკული გეგმა: **შერიგება, თუ დამოუკიდე-
ბლობა?** რამდენიმე დამატებით შენიშვნასთან
ერთად.

პირველი დებულების მხარდასაჭერად, თუ
საჭიროდ ჩავთვლიდი, შემეძლო, ჩვენი კონტი-
ნენტის ყველაზე უნარიანი და გამოცდილი ადა-
მიანების შეხედულებები მომეყვანა, რომელთა
დამოკიდებულება ამ საკითხის მიმართ ჯერ
კიდევ უცნობია ფართო საზოგადოებისათვის.
სინამდვილეში, თავისთავად ცხადია, რომ ვერც

ერთი ერი, რომელიც უცხო ძალაზეა დამოკიდე-
ბული, რომელსაც შეზღუდული აქვს ვაჭრობა
და რომლის საკანონმდებლო ხელისუფლებაც
შებორკილია და მარწუხებშია მომწყვდეული,
ვერ შეძლებს მატერიალური კეთილდღეობის
მიღწევას. ამერიკისთვის მატერიალური სი-
უხვე და სიჭარბე ჯერ უცნობია. მართალია,
ისეთ წარმატებებს, რომლებსაც მან მიაღწია,
მსოფლიო ისტორიაში ვერ ვნახავთ, მაგრამ ეს
არაფერია იმასთან შედარებით, რასაც ის მიაღწ-
ევდა, საკუთარი საკანონმდებლო ხელისუფლება
რომ ჰქონოდა. დღეს ინგლისი ამაყად ესწრაფ-
ვის ისეთ მიზნებს, რომელთა განხორციელებაც
მას ზიანის მეტს არაფერს მოუტანს, ხოლო კონ-
ტინენტი ყოყმანობს ისეთ საკითხზე, რომლის
უგულებელყოფაც მას საბოლოოდ დაღუპავს.
ინგლისის კეთილდღეობა ამერიკის დაპყრობა კი
არ გახლავთ, არამედ მასთან სავაჭრო ურთიერ-
თობების დამყარება. ეს ურთიერთობები შემდ-
გომში კიდევ უფრო განმტკიცდებოდა, ეს ორი
ქვეყანა ისევე დამოუკიდებელი რომ ყოფილიყო
ერთმანეთისგან, როგორც, მაგალითად, საფრან-
გეთი და ესპანეთია. ამას კიდევ უფრო ამყარებს
ის გარემოება, რომ მრავალი სახის პროდუქცი-
ისათვის არც ერთს და არც მეორეს უკეთესი
ბაზრის პოვნა არ შეუძლია. მაგრამ, ამჯერად,
ერთადერთი და უმნიშვნელოვანესი საკითხი,
რომლისთვისაც დაპირისპირება ღირს, ეს არის
ამ ქვეყნის დამოუკიდებლობა ბრიტანეთისგან,
ან კიდევ ნებისმიერი სხვა ქვეყნისაგან. ყველა
იმ ჭეშმარიტების მსგავსად, რომლებიც აუცილე-
ბლობის ძალით იქნა აღმოჩენილი, ეს ჭეშმარიტ-
ბაც დღითიდღე ცხადი და ეჭვშეუვალი შეიქნება.

პირველი: იმიტომ, რომ ადრე თუ გვიან, ეს მაინც ასე მოხდება.

მეორე: რაც უფრო დაყოვნდება ეს საქმე, მით უფრო გართულდება შემდეგში მისი განხორციელება.

პირადი საუბრების დროს, ან საზოგადოებრივ შეხვედრებზე, ხშირად ვერთობოდი იმით, რომ ჩემთვის აღვნიშნავდი ხოლმე იმ ადამიანების უზარმაზარ შეცდომებს, როყიოდ ლაპარაკი რომ უყვართ. მრავალი შეცდომისაგან, რომელიც მომისმენია, ყველაზე გავრცელებული შემდეგია: მიიჩნევენ, რომ ეს განხეთქილება, ახლა კი არა, არამედ ორმოცი, ან ორმოცდაათი წლის შემდეგ რომ მომხდარიყო, კონტინენტი უფრო წარმატებით შეძლებდა დამოკიდებულებისაგან გათავისუფლებას. ჩემი პასუხი ამაზე ასეთია: ჩვენი სამხედრო შესაძლებლობები **ამ დროისთვის** ემყარება იმ გამოცდილებას, რომელიც უკანასკნელი ომის დროს შევიძინეთ.[65] ორმოცი, ან ორმოცდაათი წლის შემდეგ ეს გამოცდილება უკვალოდ გაქრება. იმ დროისთვის კონტინენტს არათუ გენერალი, ოფიცერიც კი არ ეყოლება და ჩვენ, ან ისინი, რომლებიც ჩვენ შეგვცვლიან, ისეთივე გამოუცდელები იქნებიან სამხედრო საქმეებში, როგორც ინდიელები ძველ დროში. მხოლოდ ეს ერთი დებულებაც, თუ მას საფუძვლიანად ჩავუკვირდებით, ეჭვშეუვალად გვიდასტურებს, რომ ახლანდელი დრო ყველაზე საუკეთესოა. ჩვენი არგუმენტი ცხადყოფს: უკანასკნელი ომის დასასრულს ჩვენ გვქონდა გამოცდილება, თუმცა ცოცხალი ძალის ნაკლებობას განვიცდიდით. ორმოცი, ან ორმოცდაათი წლის შემდეგ, ჩვენ გვეყოლება ცოცხალი ძალა გამოცდილების გარეშე. ამიტომ, ხელსაყრელი დრო ამ ორ უკიდურესობას შორის უნდა არსებობდეს, სადაც შენარჩუნებული იქნება საკმარისი გამოცდილება და მიღწეული იქნება სათანადო რაოდენობა. ახლანდელი დრო სწორედ ასეთი დროა.

მკითხველი მაპატიებს ამ გადახვევას, რადგან ის პირდაპირ არ ეხება იმ საკითხს, რომლის განხილვაც თავდაპირველად დავიწყე და რომელსაც კვლავ ვუბრუნდები შემდეგი დებულებით, კერძოდ, ბრიტანეთთან ურთიერთობა რომ აღდგეს და ამ ქვეყანამ ამერიკაზე მმართველობა და უზენაესობა რომ შეინარჩუნოს (რაც, მოვლენათა ახლანდელი მდგომარეობის გათვალისწინებით, საქმეს საერთოდ უკარგავს მნიშვნელობას), ჩვენ მოვისპობთ ამჟამინდელი, ან მომავალი ვალების დაფარვის აუცილებელ საშუალებებს. საერთო ღირებულება იმ მოშორებით მდებარე მიწებისა, რომელთა ფასი ყოველ ას აკრზე[66] მხოლოდ ხუთ გირვანქა სტერლინგს შეადგენს და რომლებსაც ზოგიერთი პროვინცია ფარულად კარგავს კანადის საზღვრების უსამართლო განვრცობით, ოცდახუთ მილიონს აღემატება პენსილვანიის ვალუტით; ხოლო კვიტ-რენტების[67] საერთო ღირებულება, თითო აკრზე თითო პენსი, ყოველწლიურად ორი მილიონია.

სესხის დაფარვა სწორედ ამ მიწების გაყიდვითაა შესაძლებელი. ამ გზით ვალი არავის დააწვება კისერზე. ამ მიწებზე შენარჩუნებული კვიტ-რენტები მუდამ შეამცირებს და, გარკვეული დროის შემდეგ, სრულად აანაზღაურებს სახელისუფლებო ხარჯებს. არა აქვს მნიშვნელობა, რა ვადაში უნდა განხორციელდეს სესხის დაფარვა, მთავარია, რომ გაყიდული მიწები სეს-

ხის დასაფარად იქნეს გამოყენებული. ამის აღსრულებას კონტინენტი მოცემული მომენტისათვის კონგრესს მიანდობდა.

ახლა შევუდგები მეორე საკითხის განხილვას: რომელია ყველაზე უფრო მარტივი და პრაქტიკული გეგმა – **შერიგება, თუ დამოუკიდებლობა?** რამდენიმე დამატებით შენიშვნასთან ერთად.

იმ ადამიანების გადარწმუნება, რომელთა სახელმძღვანელო პრინციპს ბუნება და მისი კანონები წარმოადგენს, არ არის ადვილი. ამის გამო, ჩემი პასუხი ზოგადი იქნება: დამოუკიდებლობა ერთადერთი და უმარტივესი გზაა, რომელიც ჩვენზეა დამოკიდებული. რაც შეეხება შერიგებას, ის უკიდურესად ჩახლართული და ბუნდოვანი საქმეა, რომელშიც მუხთალი და ცვალებადი სამეფო კარი ჩაერევა.

ამერიკის დღევანდელი მდგომარეობა ნამდვილად საგანგაშოა ნებისმიერი მოაზროვნე ადამიანისათვის: მას არ გააჩნია კანონი, ხელისუფლება და ძალაუფლების სხვა არც ერთი ფორმა, გარდა იმისა, რაც სხვების მიერ თავაზიანადაა ნაწყალობები. ეს ქვეყანა გრძნობათა შეუდარებელი ერთიანობითაა შეკავშირებული, რომლებიც, მიუხედავად ამისა, ცვალებადნი არიან. გარდა ამისა, აღნიშნული ერთიანობის დარღვევას ყველა ფარული მტერი ესწრაფვის. ჩვენი ახლანდელი მდგომარეობა – ეს არის კანონმდებლობა კანონის გარეშე, სიბრძნე – გეგმის გარეშე, მმართველობა – სახელის გარეშე და რაც ყველაზე უფრო გასაოცარია – სრულყოფილი დამოუკიდებლობა, რომელიც დამოკიდებულებას ესწრაფვის. ასეთი შემთხვევა უპრეცენდენტოა, მსგავსი რამ ჯერ არ არსებ-

ულა. ვინ იტყვის, თუ როგორი იქნება შედეგი? ასეთ მყიფე ვითარებაში ნებისმიერი ადამიანის საკუთრება საფრთხის ქვეშაა. ხალხი ბედის ანაბარადაა მიგდებული. ადამიანები ვერავითარ გარკვეულობას ვერ ხედავენ, ამიტომ საკუთარ ფანტაზიებსა და გულისთქმას არიან აყოლილნი. არც ერთი სამართალდარღვევა დანაშაულად არ ითვლება, ღალატის ცნება გამქრალია, ამიტომ, თითოეული ადამიანი ისე იქცევა, როგორც მოესურვება. ტორებს რომ სცოდნოდათ, საკუთარი სიცოცხლით აგებდნენ პასუხს კანონისა და სახელმწიფოს წინაშე, ვერ გაბედავდნენ ასე თავხედურად გამოსვლას. ერთმანეთისაგან უნდა განვასხვაოთ ბრძოლის ველზე დატყვევებული ინგლისელები და ის ამერიკელები, რომლებსაც იარაღი აღმოაჩნდათ. პირველნი სამხედრო ტყვეები არიან, მეორენი – გამყიდველები; პირველნი თავისუფლებას კარგავენ, მეორენი – საკუთარ თავს.[68]

ჩვენი სიბრძნის მიუხედავად, ჩვენს ზოგიერთ ქმედებას აშკარა სისუსტე დაჰყვება თან, რაც უთანხმოების გაღვივებას უწყობს ხელს. კონტინენტური სარტყელი სულაც არ არის მჭიდროდ შემოჭერილი და თუ დროულად არ მივიღებთ სათანადო ზომებს, მაშინ საკმაოდ დაგვიგვიანდება მოქმედება და ისეთ მდგომარეობაში აღმოვჩნდებით, როდესაც **შერიგებაც** და **დამოუკიდებლობაც** სანატრელი გაგვიხდება. მეფე და მისი ულირსი მომხრეები თავიანთ ძველ თამაშს თამაშობენ და კონტინენტის დახლეჩას ესწრაფვიან. ჩვენს შორის, გამომცემლებში კი, მრავლად მოიპოვებიან ისეთები, რომლებიც შეეცდებიან შავის თეთრად ჩვენებას და სიყალბეს ჭეშმარიტებად გაასაღე-

ბენ. ცბიერებითა და მლიქვნელობით აღსავსე წერილი, რომელიც რამდენიმე თვის წინ ნიუიორკის ორ გაზეთში გამოქვეყნდა (და დამატებით, კიდევ ორში),[69] იმის დამადასტურებელია, რომ არსებობენ ადამიანები, რომლებსაც განსჯის უნარი და პატიოსნება აკლიათ.

ძალიან ადვილია სოროებსა და კუთხეებში მიმალვა და იქიდან შერიგებაზე საუბარი. მაგრამ, ნუთუ ეს ადამიანები არ უფიქრდებიან, რამდენად რთულია ეს საკითხი და რამდენად საშიში შეიძლება აღმოჩნდეს ის, თუ კონტინენტი მის გამო შუაზე გაიხლიჩება? ითვალისწინებენ კი ისინი ყველა იმ განსხვავებულ ჯგუფს, რომელთა შეხედულებებიც, მათი შეხედულებების მსგავსად, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული? აყენებენ კი ისინი საკუთარ თავს დაზარალებულთა ადგილზე, რომელთაც ყველაფერი დაკარგეს? ანდა ჯარისკაცისა, ყველაფერი რომ გაწირა თავისი სამშობლოსათვის? თუ მათი გაუაზრებელი და ნაჩქარევი ზომიერება **მხოლოდ** მათ პირად მდგომარეობას იქნება მორგებული, მაშინ მოვლენათა მსვლელობა დაარწმუნებს მათ, რომ ისინი „მათი უფროსის გარეშე აწარმოებენ ანგარიშებს."[70]

ზოგიერთი ითხოვს ჩვენს დაბრუნებას 1763 წლის მდგომარეობისადმი,[71] რაზეც ჩემი პასუხი ასეთია: ბრიტანეთს **ახლა** ამის განხორციელება არ ძალუძს და ის არც შემოგვთავაზებს ამას. მაგრამ ასეთი შემოთავაზება რომც ყოფილიყო და შესრულებულიყო კიდეც, მე მიჩნდება სრულიად სამართლიანი შეკითხვა: როგორ უნდა აიძულო პირობების დაცვა ასეთ გაფუჭებულ და ცბიერ სამეფო კარს? სხვა პარლამენტს (თვით

ახლანდელსაც კი), შეუძლია, გააუქმოს ვალდებულება იმ საბაბით, რომ ის ძალით იქნა მიღწეული, ან არამართებულად იქნა აღებული. ასეთ შემთხვევაში, სად ვიპოვით სამართალს? სხვა ხალხებთან სამართლის ძიება არ ღირს. სამეფო კარის ადვოკატები ქვემეხებია, ხოლო საქმეს წყვეტს არა სამართლიანობის, არამედ ომის მახვილი. 1763 წლის მდგომარეობის აღსადგენად არ კმარა მხოლოდ კანონების ძველი სახით აღდგენა. საჭიროა ჩვენი ადრინდელი ყოფის აღდგენაც: ჩვენი დამწვარი და განადგურებული ქალაქები ხელახლა უნდა აშენდეს, ჩვენი პირადი ზარალი უნდა ანაზღაურდეს, სახელმწიფო ვალები (რომლებიც თავდაცვის გამო ავიღეთ) კი უნდა დაიფაროს. წინააღმდეგ შემთხვევაში, იმ შესაშურ დროსთან შედარებით, ათასჯერ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. ერთი წლის წინ ასეთი მოთხოვნის დაკმაყოფილება კონტინენტის გულს მოიგებდა, ახლა უკვე ძალიან გვიანია – „რუბიკონი გადალახულია."

გარდა ამისა, იარაღის ხელში აღება მხოლოდ ფინანსური კანონის უკუსაგდებად, ისეთივე გაუმართლებელი ქმედებაა ღვთაებრივი კანონის მიხედვით და ისევე ეწინააღმდეგება ადამიანურ გრძნობებს, როგორც იარაღის მეშვეობით ამ კანონისადმი იძულებით დამორჩილება. ორივე შემთხვევაში მიზანი არ ამართლებს საშუალებას, რადგან ადამიანთა სიცოცხლე საკმაოდ ძვირფასია საიმისოდ, რათა ამგვარ წვრილმანებზე გაიწიროს. – ჩვენ მიმართ გამოყენებული ძალადობა, რომლის გამეორების საფრთხე ისევ არსებობს; შეიარაღებული ძალის მიერ ჩვენი საკუთრების განადგურება; ჩვენს ქვეყანაში ცე-

ცხლითა და მახვილით შემოჭრა – ეს არის ის, რაც სრულიად ამართლებს ჩვენ მიერ იარაღის გამოყენებას. იმ წუთიდან, როდესაც ასეთი თავდაცვის საჭიროება შეიქმნა, ბრიტანეთისადმი ყოველგვარი მორჩილება უნდა შეწყდეს. ამერიკის დამოუკიდებლობა იმ წამიდან უნდა იქნეს ათვლილი და გამოცხადებული, **როდესაც მის წინააღმდეგ პირველმა მუშკეტმა გაისროლა.** ეს ხაზი აბსოლუტურად სწორია. მას არ ამრუდებს ჭირვეულობა და პატივმოყვარეობა. ის წარმოქმნა მოვლენათა ჯაჭვმა, რომელთა სათავეში კოლონიები არ ყოფილან.

ამ შენიშვნებს შემდეგი თანადროული და კეთილგანზრახული მითითებებით დავასრულებ. ჩვენ უნდა გავიაზროთ, რომ დამოუკიდებლობის მიღწევა შესაძლებელია სამი განსხვავებული გზით, რომელთაგან ერთ-ერთი, ადრე თუ გვიან, ამერიკის ხვედრი შეიქნება. ეს მოხდება ხალხის კანონიერი განაცხადით კონგრესში, სამხედრო ძალის გამოყენებით, ან ბრბოს მეშვეობით. ჩვენი ჯარისკაცები ყოველთვის როდი იქნებიან მშვიდობიანი მოქალაქეები, ასევე, უბრალო ხალხი ვერ იქნება მუდამ გონიერი. სიქველე, როგორც ეს უკვე აღვნიშნე, არც მემკვიდრეობითია და არც მარადიული. თუ დამოუკიდებლობას პირველი გზის გამოყენებით მივაღწევთ, ყველა წინაპირობა გვექნება საიმისოდ, რომ დედამიწის ზურგზე ყველაზე უფრო კეთილშობილი და სრულყოფილი მმართველობა დავამყაროთ. ჩვენ შეგვიძლია, სამყაროს შენება თავიდან დავიწყოთ. ნოედან მოყოლებული, კაცობრიობას არ ახსოვს ისეთი მდგომარეობა, როგორიც დღესაა. სულ მალე ახალი სამყაროს დაბადების

შემსწრენი გავხდებით და ადამიანთა ახალი მოდგმა, რომელიც რაოდენობით მთელი ევროპის მოსახლეობას უტოლდება, თავის წილ თავისუფლებას რამდენიმე თვეში განვითარებული მოვლენების შედეგად მიიღებს. ამაზე ფიქრიც კი ადამიანს ძრწოლით აღავსებს. რა უბადრუკად და სასაცილოდ მოჩანს რამდენიმე სუსტი და მიკერძოებული ადამიანის ფხუკიანობა ასეთი მსოფლიო მნიშვნელობის მქონე საქმის ფონზე!

თუ ახლანდელ ხელსაყრელ და მიმზიდველ მომენტს უგულებელვყოფთ და მომავალში დამოუკიდებლობა ნებისმიერი სხვა საშუალებით იქნება მიღწეული, მაშინ შედეგებზე პასუხისმგებლობა ჩვენ უნდა ავიღოთ, ან, უფრო სწორედ, მათ, ვინც, ჩვეულებისამებრ, გონებაშეზღუდულობისა და ცრურწმენების გამო, სათანადო დაფიქრებისა და განსჯის გარეშე ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ ღონისძიებას. არსებობს დამოუკიდებლობის მხარდამჭერი ისეთი არგუმენტები, რომლებიც არ საჭიროებენ საჯარო განხილვას. ისინი ადამიანებმა თავად უნდა გაიაზრონ. კამათი იმის შესახებ, უნდა ვიყოთ თუ არა დამოუკიდებლები, არ ღირს; უნდა ვეცადოთ იმას, რომ დამოუკიდებლობა მყარ, უსაფრთხო და ღირსეულ საფუძველზე დავამყაროთ. ჩვენ უფრო ის უნდა გვაშფოთებდეს, რომ ამის კეთება ჯერ არ დაგვიწყია. არადა ყოველი დღე ამ საქმის აუცილებლობაში გვარწმუნებს. თვით ტორებიც (თუ ასეთი არსებები ჯერ კიდევ არსებობენ ჩვენ შორის) კი, ყველაზე მეტად უნდა უწყობდნენ ხელს ამ საქმეს. ისევე, როგორც კომიტეტების დანიშვნამ იხსნა ისინი თავიდან ხალხის რისხვისაგან, ასევე, გონივრულად და

მტკიცედ შედგენილი მმართველობის ფორმა მომავალში მათი უსაფრთხოების ერთადერთი გარანტი იქნება. ამიტომ, თუ მათ არ აქვთ საკმარისი სიქველე საიმისოდ, რომ **ვიგები**[72] იყვნენ, მაშინ იმდენი კეთილგონიერება კი უნდა ჰქონდეთ, რომ დამოუკიდებლობა ისურვონ.

ერთი სიტყვით, დამოუკიდებლობა ერთადერთი რამაა, რასაც შეუძლია ჩვენი საიმედოდ შეკავშირება და გაერთიანება. მაშინ დავინახავთ ჩვენს მიზანსაც და ჩვენი ყურები სამართლიანად იქნება დახშული მზაკვარი და სასტიკი მტრისთვის; მაშინ შესაფერისი საფუძველი გვექნება იმისათვის, რათა ბრიტანეთთან მოლაპარაკებები ვაწარმოოთ. ასეთ შემთხვევაში შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ სამეფო კარის სიამაყე ნაკლებად იქნება შელახული, თუ ის სამშვიდობო მოლაპარაკებებს ამერიკის შტატებთან აწარმოებს და არა იმათთან, ვისაც ის „აჯანყებულ ქვეშევრდომებს" უწოდებს. სწორედ ჩვენი ყოყმანი აძლევს მას ჩვენივე დაპყრობის იმედს, ჩვენი ყოყმანი კი ომს მხოლოდ აჭიანურებს. ჩვენ შევაჩერეთ ჩვენი ვაჭრობა, რათა ოდნავ მაინც შეგვემსუბუქებინა ჩვენი გასაჭირი. მოდით, ახლა, ჩვენ თვითონ, **დამოუკიდებლად** გამოვასწოროთ ვითარება და შემდეგ განვაახლოთ ვაჭრობა. ინგლისის კომერციული და კეთილგონიერი ნაწილი ჩვენს მხარეს იქნება, რადგან მშვიდობა, რომელსაც **თან ახლავს** ვაჭრობა, უმჯობესია ომზე ვაჭრობის **გარეშე**. თუ ეს შეთავაზება არ იქნება მიღებული, მაშინ შესაძლოა, ის სხვებმა მიიღონ.

ამ საფუძვლებზე ვამყარებ მთელ საკითხს. და რადგან ჯერ არ ყოფილა მცდელობა აღნიშ-

ნული პამფლეტის წინა გამოცემებში არსებული შეხედულებების უარსაყოფად, ეს უარყოფითი მტკიცებულებაა საიმისოდ, რომ, ან ამ შეხედულებების უარყოფა შეუძლებელია, ან კიდევ მათი მომხრეების რაოდენობა იმდენად მრავალრიცხოვანია, რომ მათთან დაპირისპირებას აზრი არა აქვს. **ამიტომ**, იმის ნაცვლად, რომ ერთმანეთს ეჭვითა და სიფრთხილით ვუმზიროთ, დაე, თითოეულმა ჩვენთაგანმა თავის მეზობელს მეგობრობის ხელი გაუწოდოს და მასთან ერთად წარსულს ჩააბაროს ყველა ადრინდელი განხეთქილება. დაე, დავიწყებას მიეცეს ვიგებისა და ტორების სახელები! დაე, ჩვენს შორის არ იყოს სხვა სახელი, გარდა კარგი მოქალაქისა, გულწრფელი და მტკიცე მეგობრისა, **კაცობრიობისა და ამერიკის თავისუფალი და დამოუკიდებელი შტატების** უფლებების გულმხურვალე მხარდამჭერისა!

მიმართვა ხალხის რელიგიური საზოგადოების წარმომადგენლებისადმი, რომლებსაც კვაკერები ეწოდებათ, ან მათი იმ წევრებისადმი, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს ბოლო დროს გამოქვეყნებული ნაშრომის გამოცემაში, რომლის სათაურია „*კვაკერებად წოდებული ხალხის განახლებული ძველი აღმსარებლობა* და *პრინციპები*, რომლებიც *უკავშირდება მეფესა* და *ხელისუფლებას* და *ეხება* იმ *მღელვარებებს*, რომლებიც ამჟამად *ამერიკის* ამა თუ იმ ნაწილში ბობოქრობს. მიმართვა მთელი ხალხისადმი“

აღნიშნული ნაწარმოების ავტორი ადამიანთა იმ მცირე რიცხვს განეკუთვნება, რომლებიც არასოდეს შეურაცხყოფენ რომელიმე რელიგიას დაცინვით, ან შარის მოდებით. რელიგიის გამო ადამიანი მხოლოდ ღმერთთან აგებს პასუხს. ამიტომ, აღნიშნული წერილი თქვენ მოგმართავთ არა როგორც რელიგიურ, არამედ როგორც პოლიტიკურ ჯგუფს და მიმოიხილავს იმ საკითხებს, რომლებში ჩარევისგანაც თავის შეკავებას თქვენი პრინციპების საფუძველზე აღიარებული სიმშვიდე მოგიწოდებთ.

რადგან თქვენ, სათანადო უფლებამოსილების გარეშე, საკუთარი თავი მთელი კვაკერობის წარმომადგენლად ჩათვალეთ, ასევე, აღნიშნული წერილის ავტორი, თქვენთან გასათანაბრებლად, იძულებულია, საკუთარი თავი ყველა იმ ადამიანის წარმომადგენლად მიიჩნიოს, რომლებიც

ემხრობიან ყველა იმ თხზულებასა თუ პრინციპებს, რომელთა წინააღმდეგაც თქვენი „აღმსარებლობაა“ მიმართული. მან იმისთვის აირჩია მათი განსაკუთრებული მდგომარეობა, რომ თქვენ, შესაძლოა, მასში[73] ის თავდაჯერებულობა აღმოაჩინოთ, რომელიც ასე გაკლიათ; რადგან ვერც მას და ვერც თქვენ ვერ გექნებათ პოლიტიკური **წარმომადგენლობის სურვილი.**

როდესაც ადამიანები სწორ გზას ასცდებიან, სულაც არაა გასაკვირი, რომ ისინი ბორძიკობენ და ეცემიან. თქვენ მიერ დაწერილი „აღმსარებლობა“ ისეთნაირადაა შედგენილი, რომ ნათელია: პოლიტიკა არ არის თქვენთვის, როგორც რელიგიური ჯგუფისათვის, შესაფერისი გზა, რადგან, რაც არ უნდა კარგად გეჩვენოთ თქვენ ის, პოლიტიკა მაინც კარგისა და ცუდის უწესრიგო ნაზავს წარმოადგენს, მისგან გამომდინარე დასკვნა კი არაბუნებრივი და უსამართლოა.

პირველი ორი გვერდი თქვენ გეთმობათ (მთელი წერილი ოთხ გვერდსაც არ შეადგენს). იგივე თავაზიანობას მოველით თქვენგან, რადგან სიყვარული და მშვიდობისადმი მისწრაფება მხოლოდ კვაკერიზმით კი არ შემოისაზღვრება, არამედ ყველა აღმსარებლობის ადამიანის **ბუნებრივ** და რელიგიურ სურვილს წარმოადგენს. სწორედ ამის საფუძველზე, როგორც საკუთარი და დამოუკიდებელი კონსტიტუციის დამკვიდრების მსურველნი, ჩვენი იმედით, მიზნითა და ამ მიზნის მისაღწევი საშუალებებით, სხვებზე მაღლა ვდგავართ. **ჩვენი მიზანი მარადიული მშვიდობაა.** დავიღალეთ ბრიტანეთთან დაპირისპირებით და განცალკევების გარდა სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ. ჩვენ თანმიმდევრულად ვმოქ-

მედებთ, რადგან მარადიული და დაურღვეველი მშვიდობის დასამყარებლად დღევანდელ უბედურებებსა და მრავალ სიმძიმეს ვიტანთ. ჩვენ ვცდილობთ და არასდროს შევწყვეტთ მცდელობას, დავარღვიოთ ის კავშირი, რომელმაც სისხლით მორწყო ჩვენი სამშობლო და რომელიც, ვიდრე მისი სახელი იარსებებს, ორივე ქვეყნისათვის მომავალი უბედურებების საბედისწერო მიზეზად დარჩება.

ჩვენ არ გვამოძრავებს არც შურისძიების და არც დაპყრობის სურვილი, არც სიამაყე და არც ვნება. ჩვენი ფლოტი და არმია დანარჩენ მსოფლიოს თავს არ ესხმიან; ძარცვა-გლეჯისთვის დედამიწას არ ვაჩანაგებთ. ჩვენ თავს დაგვესხნენ ჩვენივე ვენახების ჩრდილქვეშ. ჩვენს წინააღმდეგ ძალადობა ხორციელდება ჩვენივე სახლ-კარში და ჩვენსავე მიწა-წყალზე. ჩვენს მტრებს ავაზაკებად და ქურდებად ვთვლით და, რადგან სამოქალაქო სამართალმა ვერ უზრუნველყო ჩვენი დაცვა, ვალდებულნი ვართ, ისინი სამხედრო კანონის გამოყენებით დავსაჯოთ და იქ გამოვიყენოთ მახვილი, სადაც თქვენ ლაგამის გამოყენება ამჯობინეთ. ჩვენ, ალბათ, ამ კონტინენტის ყველა ნაწილში მყოფი დაზარალებული ადამიანებისადმი ისეთი სინაზით ვართ განწყობილნი, რომელიც ჯერ კიდევ უცხოა თქვენი სულისათვის. მაგრამ დარწმუნებულნი ხართ, რომ თქვენ სწორად გესმით თქვენი „აღმსარებლობის" მიზეზი და საფუძველი? სულის სიცივეს რელიგიას ნუ უწოდებთ და ნურც **ფანატიკოსს** დაარქმევთ **ქრისტიანს**!

თქვენ მოგმართავთ, თქვენ მიერ აღიარებული პრინციპების ნახევრად დამცველებო! თუ იარაღის ტარება ცოდვად ითვლება, მაშინ წი-

ნასწარგანზრახულ თავდასხმასა და გარდაუვალ თავდაცვას შორის არსებული განსხვავების მიუხედავად, ის, ვინც პირველად იწყებს ომს, კიდევ უფრო ცოდვილი უნდა იყოს. ამიტომ, თუ თქვენ ნამდვილად გულით ქადაგებთ და არ გსურთ თქვენი რელიგიის პოლიტიკურ სათამაშოდ ქცევა, მაშინ დაარწმუნეთ სამყარო ამაში და თქვენი მოძღვრება ჩვენს მტრებსაც გააცანით, რადგან **მათაც აქვთ იარაღი ასხმული.** დაგვიმტკიცეთ თქვენი გულწრფელობა და გამოაქვეყნეთ თქვენი „აღმსარებლობა" სენტ-ჯეიმსის სასახლეში, გააცანით ის მხედართმთავარს ბოსტონში,[74] იმ ადმირალებსა და კაპიტნებს, რომლებიც ავაზაკურად ძარცვავენ ჩვენი სამშობლოს ნაპირებს და ყველა იმ ბილწ ბოროტმოქმედს, რომლებიც **იმ ადამიანის** სახელით მოქმედებენ, რომელსაც თქვენ ემსახურებით. თქვენ რომ ბერკლივით* პატიოსანი სული გქონდეთ,[75]

---

* „შენ გამოსცადე წარმატება და წარუმატებლობა და იცი, თუ რას ნიშნავს მშობლიური ქვეყნიდან გაძევება, მმართველობის სადავეების დაკარგვა, მათი აღდგენა და მოულოდნელი თავდასხმა ტახტზე. რადგან თავად დაიჩაგრე, სავარაუდოდ, გეცოდინება, რამდენად საძულველია მჩაგვრელი, როგორც ღმერთის, ასევე ადამიანის თვალში. თუ ყველა ამ გაფრთხილებისა და შეტყობინების მიუხედავად, შენს სულსა და გულს არ მიაპყრობ ღმერთს და დაივიწყებ მას, რომელსაც არ დავიწყებიხარ შენი უბედურებების ჟამს, თუკი ვნებისა და ამაოების გზას გაჰყვები, მაშინ ჭეშმარიტად დიდი იქნება შენი სასჯელი. იმათ წინააღმდეგ, ვინც მახეს გიგებს და ბოროტებისაკენ წაბიძგებით შენს ცდუნებას ცდილობს, ყველაზე საუკეთესო და ძლიერი წამალია სვლა ქრისტეს სინათლისაკენ, რომელიც შენს სინდისში ანათებს. ის არასოდეს დაიწყებს შენთან მლიქვნელობას და არასოდეს შეურიგდება შენს ცოდვებს." ბერკლის მიმართვა ჩარლზ მეორეს (ჩარლზ II – ინგლისის მეფე 1660-1685 წლებში, – *მთარგმ. შენიშვნა*).

მაშინ **თქვენს** მეფეს სინანულისაკენ მოუწოდებდით, აცნობებდით სამეფო ნაძირალას თავის ცოდვებს და გააფრთხილებდით სამარადისო დაღუპვის შესახებ; თქვენ არ მიმართავდით მამხილებელ სიტყვებს მხოლოდ დაზარალებულებისა და შეურაცხყოფილების წინააღმდეგ, არამედ, მორწმუნე მამების მსგავსად, ხმას აიმაღლებდით და **არავის დაინდობდით.** ნუ იტყვით, რომ იდევნებით, ნურც შეეცდებით ჩვენს გამოცხადებას იმ სირცხვილის მიზეზად, რომელშიც თავად იგდებთ თავს. საჯაროდ ვაცხადებთ, იმიტომ კი არ გიჩივით, რომ **კვაკერები** ხართ, არამედ იმიტომ, რომ **თავს აცხადებთ** კვაკერებად, სინამდვილეში კი **არ ხართ** კვაკერები.

სამწუხაროდ, თქვენი „აღმსარებლობის" ზოგიერთი ნაწილიდან, ასევე, თქვენი ზოგიერთი ქცევიდან იკვეთება, რომ, თითქოს მთელი ცოდვა დაიყვანება, ან გაიგება, როგორც **იარაღის ტარება** (თან **მხოლოდ ხალხის მიერ**). როგორც ჩანს, თქვენ ერთმანეთში ურევთ პარტიისადმი კუთვნილებასა და სინდისს, რადგან თქვენს მოქმედებებში, ზოგადად, შეთანხმებულობა არ იგრძნობა. ჩვენთვის უკიდურესად რთულია, ვენდოთ თქვენს უსაფუძვლო ეჭვებს, რადგან ჩვენ ვხედავთ, რომ მათ იგივე ადამიანები გამოთქვამენ, რომლებიც, როდესაც ამქვეყნიური მამონის[76] წინააღმდეგ ილაშქრებენ, იმავდროულად, დროის დინებასავით ჯიუტად მისდევენ მას და სიკვდილივით გაუმაძღრები არიან.

ის ადგილი „სოლომონის იგავებიდან", რომელიც თქვენ მოგყავთ თქვენი „აღმსარებლობის" მესამე გვერდზე, კერძოდ, „თუ უფალს მოსწონს კაცის გზები, მტრებსაც კი შეარიგებს მასთან",[77]

საკმაოდ არაგონივრულადაა შერჩეული, რადგან ის ამტკიცებს, რომ იმ მეფის გზები, რომელსაც თქვენ გულმხურვალედ უჭერთ მხარს, ღმერთს არ მოწონს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მისი მეფობისას მშვიდობა იქნებოდა დამყარებული.

ახლა გადავალ თქვენი „აღმსარებლობის" უკანასკნელი ნაწილის განხილვაზე, რომელთან მიმართებაშიც, ზემოთქმული, ერთგვარ შესავლად შეიძლება განვიხილოთ.

„მას შემდეგ, რაც ჩვენ მოგვიწოდეს, გვერწმუნა იესო ქრისტეს ნათელი, რაც დღემდე მყარადაა ჩაბეჭდილი ჩვენს სულებში, მუდამ ურყევად ვთვლიდით, რომ მეფეთა და მმართველობათა დადგენა და დამხობა მხოლოდ ღმერთის განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენს, რომლის მიზეზებიც მხოლოდ მისთვისაა ცნობილი. ამიტომ, ჩვენი საქმე არ არის, ხელოვნურად ჩავერიოთ ამ მოვლენებში და იმაზე მეტი მოვინდომოთ, ვიდრე ამას ჩვენი მდგომარეობა გვაკისრებს; ან, სულაც, გეგმები ვადგინოთ და ათასგვარი ხრიკი მოვიფიქროთ მათ გასანადგურებლად, ან დასამხობად. ჩვენი საქმეა ლოცვა მეფისათვის, ჩვენი ერის უსაფრთხოებისათვის და ყველა ადამიანის საკეთილდღეოდ, რათა შევძლოთ მშვიდად და წყნარად ცხოვრება სიკეთითა და პატიოსნებით აღსავსეებმა იმ მმართველობის ქვეშ, რომელსაც ღმერთი გვიწყალობებს." – თუ ეს **მართლაც** თქვენი პრინციპებია, მაშინ რატომ აღარ იცავთ მათ? რატომ არ ანებებთ ღმერთს, თავად შეასრულოს ის, რასაც თქვენ „ღვთის საქმეს" უწოდებთ? თქვენი პრინციპები მოგიწოდებენ თვინიერებასა და მოთმინებას, რომლითაც თქვენ ყველა საზოგა-

დოებრივი მოვლენიდან გამომდინარე შედეგს უნდა დაელოდოთ. ისინი, ასევე, მოგიწოდებენ, რომ თქვენ **ეს შედეგი** მიიღოთ, როგორც ღვთაებრივი ნების გამოვლინება. მაშინ, რა საფუძველი არსებობს თქვენი **პოლიტიკური აღმსარებლობისათვის,** თუ თქვენ ურყევად გწამთ ის, რაც იქ წერია? თვით მისი გამოცემის ფაქტი ამტკიცებს, რომ, ან თქვენ არ გწამთ იმის, რასაც აღიარებთ, ან კიდევ, არ გაგაჩნიათ საკმარისი სიქველე იმისათვის, რომ ცხოვრებაში განახორციელოთ ის, რაც გწამთ.

კვაკერიზმის პრინციპები აშკარად მიმართულია იქითკენ, რომ, **ნებისმიერი მმართველობის პირობებში,** ადამიანი მშვიდ და უსაფრთხო ქვეშევრდომად აქციოს. თუ მეფეთა და მმართველობათა დადგენა და დამხობა ღმერთის განსაკუთრებულ უფლებას წარმოადგენს, მაშინ ჩვენ მას ამ უფლებას ნამდვილად ვერ წავართმევთ. ამიტომ, ეს პრინციპი თქვენ გაიძულებთ, დადებითად მოეკიდოთ ყველაფერს, რაც კი მეფეებს შემთხვევიათ (ან შეემთხვევათ) თავიანთი მმართველობის დროს. **ოლივერ კრომველი** ნამდვილად თქვენი მადლიერი იქნება. გამოდის, რომ ჩარლზი ადამიანის ხელისგან არ მომკვდარა.[78] მისმა ამაყმა მიმბაძველმაც[79] მასავით უდროოდ რომ დაასრულოს სიცოცხლე, მაშინ „აღმსარებლობის" ავტორები და გამომცემლები, „აღმსარებლობაში" გადმოცემული შეხედულებების ძალით, ვალდებულები არიან, მოწონებით შეხვდნენ ამ ფაქტს. მეფეთა დამხობა სასწაულების მეშვეობით როდი ხდება. ასევე, ის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც მმართველობაში ცვლილებები ხორციელდება და რომლებსაც ჩვენ ახლა ვიყენებთ,

ყველასთვის ცნობილია და მათში არაფერია უჩვეულო და ზებუნებრივი. მიუხედავად იმისა, რომ ებრაელთა გაფანტვა ჩვენი მხსნელის მიერ იყო ნაწინასწარმეტყველები,[80] ის მაინც იარაღის ძალით განხორციელდა. ამიტომ, რადგან თქვენ არ გსურთ საშუალებად ყოფნა, მაშინ არც ხელშემშლელები უნდა იყოთ და საქმის გადაწყვეტას მდუმარებით დაელოდოთ, ვიდრე, ღვთაებრივ ავტორიტეტზე დამყარებით, არ დაამტკიცებთ, რომ ყოვლისშემძლე ღმერთს (რომელმაც ეს **ახალი** სამყარო[81] შექმნა და როგორც აღმოსავლეთის, ასევე, დასავლეთის მიმართულებით ის ძველი სამყაროს ყველა ნაწილისაგან უდიდესი მოშორებით განათავსა) არ სურს ამ კონტინენტის დამოუკიდებლობა ზნეწამხდარი და გარყვნილი სამეფო კარისგან, კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ვიდრე ამის დამტკიცებას არ შეძლებთ, რა უფლება გაქვთ, რომ თქვენი პრინციპების საფუძველზე, ხალხი აამხედროთ იმისათვის, რათა ისინი „მტკიცედ გაერთიანდნენ და **ზიზღით** განიმსჭვალონ ყველა იმ **თხზულებისა** და **ღონისძიების** წინააღმდეგ, რომლებიც ესწრაფვიან დიდი ბრიტანეთის სამეფოსთან იმ **ბედნიერი** კავშირის გაწყვეტას, დღემდე ჩვენთვის სიხარული რომ მოჰქონდა და რომლებიც მიზნად ისახავენ, აღმოფხვრან კანონიერი და აუცილებელი მორჩილება მეფისა და მის მიერ სამართლიანად დანიშნული პირების მიმართ." ასეთი განცხადება სახეში სილის გაწვნის ტოლფასია! ადამიანები, რომლებმაც სულ ცოტა ხნის წინ, მეფეთა და მმართველობათა განკარგვის, შეცვლისა და დამხობის საქმეები მშვიდად და წყნარად გადაულოცეს ღმერთს, ახლა უარყოფენ საკუთარ პრინციპებს და ცდი-

ლობენ, ისინი თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენონ. შესაძლებელია თუ არა, რომ აქ მართებულად მოყვანილი დასკვნა, რაღაცნაირად გამომდინარეობდეს ზემოთ გადმოცემული მოძღვრებისაგან? წინააღმდეგობა იმდენად თვალსაჩინოა, რომ შეუძლებელია, გვერდი ავუქციოთ და არ გაგვეცინოს მის აბსურდულობაზე. ასეთი დასკვნის გამოტანა მხოლოდ იმ ადამიანებს შეეძლოთ, რომელთა გონება დაბნელებული იყო სასოწარკვეთილი პოლიტიკური პარტიის მეწვრილმანე და გამაღიზიანებელი სულისკვეთებით. ამიტომ, თქვენ არ უნდა განიხილებოდეთ, როგორც მთელი კვაკერობის წარმომადგენლები, არამედ, – როგორც მათი უმნიშვნელო ნაწილი.

აქ ვასრულებ თქვენი „აღმსარებლობის" განხილვას. თქვენგან განსხვავებით, მე არავის მოვუწოდებ, რომ მის მიმართ ზიზღით განიმსჭვალონ. პირიქით, ის უნდა წაიკითხონ და სამართლიანად განსაჯონ. ჩემ მიერ ზემოთქმულს შემდეგ შენიშვნას დავამატებდი: „მეფეთა დადგენა და დამხობა", უმეტეს შემთხვევაში, იმ ადამიანის გამეფებას ნიშნავს, რომელიც არ არის მეფე და ან კიდევ, იმის დამხობას, ვინც უკვე არის მეფე. ნება მიბოძეთ, გკითხოთ: რა საერთო აქვს ამას ჩვენს შემთხვევასთან? ჩვენ არც მეფეთა **დადგენას** ვესწრაფვით და არც **დამხობას,** არც **შექმნას** და არც **განადგურებას**. პირიქით, ჩვენ **საერთოდ** არ გვაქვს საქმე მათთან. ამიტომ, თქვენი „აღმსარებლობა", რა კუთხითაც არ უნდა განიხილოთ ის, მხოლოდ აუფასურებს თქვენს მსჯელობას. ბევრი სხვა მიზეზის გამო, უმჯობესი იქნებოდა, რომ ის საერთოდ არ გამოქვეყნებულიყო.

პირველი: რადგან ის ყველა სხვა რელიგიას

ამცირებს და აკნინებს. გარდა ამისა, საზოგადოებისათვის უკიდურესად საშიშია, როდესაც რელიგია პოლიტიკური დაპირისპირებების დროს ერთ-ერთ მხარეს იკავებს.

მეორე: რადგან ის იმ ადამიანთა ჯგუფს, რომელთა უმრავლესობა უარყოფითადაა განწყობილი პოლიტიკური აღმსარებლობების გამოქვეყნების მიმართ, წარმოაჩენს, როგორც ამ საქმისადმი დაინტერესებულსა და კეთილგანწყობილს.

მესამე: რადგან ის ესწრაფვის, გააუქმოს ის კონტინენტური ჰარმონია და მეგობრობა, რომლის დამყარებასაც თქვენ თავად შეუწყვეთ ხელი თქვენი ბოლოდროინდელი გულუხვი და დიდსულოვანი შემოწირულობებით. ამ ჰარმონიისა და მეგობრობის შენარჩუნება უაღრესად მნიშვნელოვანია ყოველი ჩვენგანისათვის.

ახლა კი, ყოველგვარი ბოღმისა და ბრაზის გარეშე, გემშვიდობებით. გულწრფელად გისურვებთ, როგორც ადამიანებმა და ქრისტიანებმა, მუდამ სრულყოფილად და შეუფერხებლად ისარგებლოთ ყველა სამოქალაქო, თუ რელიგიური უფლებით და, თქვენი მხრივ, უზრუნველყოთ მათი დაცვა სხვებისათვის. ხოლო რელიგიისა და პოლიტიკის აღრევის ის ცუდი მაგალითი, რაც თქვენი არაკეთილგონივრული ქმედების შედეგია, **ამერიკის** ყოველი მაცხოვრებლის მიერ უარყოფილი და გაკიცხული უნდა იქნეს.

შენიშვნები

1 **კვაკერები** – „მეგობართა რელიგიური საზოგადოების“ (The Religious Society of Friends) – პროტესტანტული რელიგიური მიმართულების – წარმომადგენლები. კვაკერობა წარმოიშვა ინგლისში XVII საუკუნის II ნახევარში. კვაკერები ქადაგებდნენ პაციფიზმს და ეწეოდნენ საქველმოქმედო საქმიანობას.

2 **ჯეიმს თომსონი** (1700-1748 წწ.) – შოტლანდიელი პოეტი.

3 **ინგლისის მეფე** – იგულისხმება ჯორჯ III (1738-1820 წწ.), დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მეფე 1760-1820 წლებში. მისი მეფობის დროს ამერიკის კოლონიებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს (1783 წ.). „საღ აზრში“ პეინი მკვეთრად ილაშქრებს მის წინააღმდეგ.

4 **რადგან ინგლისის მეფემ, საკუთარი უფლების საფუძველზე, გადაწყვიტა, მხარი დაეჭირა პარლამენტისათვის იმაში, რასაც იგი მათ უფლებას უწოდებს** – 1775 წლის 26 ოქტომბერს ჯორჯ III თავის სიტყვაში, რომელიც მან პარლამენტის გახსნის დღეს წარმოთქვა, მხარი დაუჭირა პარლამენტის მტრულ დამოკიდებულებას ამერიკის კოლონიების მიმართ. იმავე წლის 23 აგვისტოს გამოცემულ პროკლამაციაში მან კოლონისტები „მოღალატეებად“ გამოაცხადა, ხოლო კოლონიებში შექმნილ ვითარებას „ამბოხება“ უწოდა.

5 **ამ ახალი გამოცემის გამოქვეყნება** – იგულისხმება „საღი აზრის“ მესამე გამოცემა. პირველი გამოცემა განხორციელდა 1776 წლის 10 იანვარს, მეორე

– იმავე წლის 27 იანვარს.

6 **პერი** – იგივე ლორდი, არისტოკრატიული წოდება ინგლისში.

7 **თემთა პალატა** – ინგლისის ორპალატიანი პარლამენტის ქვედა პალატა, რომელიც მნიშვნელოვან საკანონმდებლო ფუნქციებს ფლობს.

8 **პერთა (ლორდთა) პალატა** – ინგლისის ორპალატიანი პარლამენტის ზედა პალატა. დღესდღეობით მისი უფლებები გაცილებით შეზღუდულია, ვიდრე ეს XVIII საუკუნეში იყო.

9 **ჩარლზ I** (1600-1649 წწ.) – დიდი ბრიტანეთისა და ირლანდიის მეფე 1625-1649 წლებში. მისმა ავტორიტარულმა მმართველობამ და განხეთქილებებმა პარლამენტთან ინგლისში სამოქალაქო ომს მისცა დასაბამი. ომი ჩარლზ I-ის დამარცხებით დამთავრდა. ომის შემდეგ ჩარლზს სახელმწიფო ღალატში დასდეს ბრალი და სიკვდილით დასაჯეს 1649 წელს.

10 **გედეონი და წინასწარმეტყველი სამუელი** – გედეონი – ძველი აღთქმის მიხედვით, ებრაელთა გამათავისუფლებელი გმირი, რომლის საგმირო საქმეებიც მსაჯულთა წიგნშია აღწერილი (VI-VIII თავები); სამუელ წინასწარმეტყველი – ებრაელთა მსაჯული ძვ. წ. XI საუკუნეში. ძველი აღთქმის მიხედვით, მისი შემწეობით ებრაელებმა ფილისტიმელთა მტრული ტომი დაამარცხეს. სამუელმა, ებრაელთა მოთხოვნითა და უფლის განჩინებით, ებრაელებს მეფედ საული დაუდგინა. სამუელისა და საულის ამბავი ძველ აღთქმაში მეფეთა პირველ წიგნშია გადმოცემული.

11 **მიეცით კეისარს კეისრისა** – იხ. მათ. 22:21; მარკ. 12:17; ლუკ. 20:25.

12 მსაჯ. 8:22.

13 მსაჯ. 8:23.

14 1 მეფ. 8:5.

15 1 მეფ. 8:6-9.

16 1 მეფ. 8:10-18.

17 **დავითი** – ისრაელის მეორე მეფე (საულის შემდეგ) დაახლოებით ძვ. წ. 1000-962 წლებში.

18 1 მეფ. 8:19-20.

19 1 მეფ. 12:17-19.

20 მინიშნება ლეგენდარული ბერძენი მეიგავის, ეზოპეს (დაახლ. ძვ. წ. 620-564 წწ.), ერთ-ერთ იგავზე, სადაც ვირი ლომის ტყავს მოისხამს, თუმცა საკუთარ თავს ყროყინით გაამჟღავნებს.

21 იგულისხმება ნორმანდიის ჰერცოგის, უილიამის (1028-1087 წწ.) – შემდგომში „დამპყრობლად" წოდებულის – მიერ ინგლისის დამორჩილება 1066 წელს.

22 იგულისხმება უილიამ დამპყრობელი.

23 1 მეფ. 10:20-24.

24 **რეგენტი** – მონარქიის დროს: პიროვნება, რომელიც მონარქის არასრულწლოვნების, მისი არარსებობის, ან უნარშეზღუდულობის შემთხვევაში მართავს სახელმწიფოს.

25 იხ. შენიშვნა 21.

26 იგულისხმება ე.წ. „ვარდების ომი" – დინასტიური ომების სერია ინგლისში 1455-1485 წლებში.

27 **ჰენრი VI** (1421-1471 წწ.) – ინგლისის მეფე 1422-1461 და 1470-1471 წლებში; **ედუარდ IV** (1442-1483 წწ.) – ინგლისის მეფე 1461-1470 და 1471-1483 წლებში.

28 **ჰენრი VII** (1457-1509 წწ.) – ინგლისის მეფე 1485-1509 წლებში. „ვარდების ომის" დასრულების შემ-

დეგ იგი სათავეში ჩაუდგა ტიუდორთა დინასტიას.

29 პეინი „ვარდების ომის" დასაწყისად ჰენრი V-ის (1387-1422 წწ.) გარდაცვალების თარიღს მიიჩნევს.

30 1 მეფ. 8:20.

31 **უილიამ მერედითი** (1725-1790 წწ.) – ინგლისელი პოლიტიკოსი.

32 იგულისხმება ჯორჯ III. იხ. შენიშვნა 3.

33 **ჰენრი პელჰემი** (1694-1754 წწ.) – დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1743-1754 წლებში.

34 1775 წლის 18 აპრილს, სამხედრო არსენალის ხელში ჩაგდების მიზნით, ინგლისელებმა გააგზავნეს საჯარისო შენაერთები ქ. კონკორდში. 19 აპრილს, დილით, ინგლისელები ქ. ლექსინგტონში იყვნენ, სადაც მოხდა პირველი შეტაკება ინგლისელებსა და კოლონისტებს შორის. ამერიკის რევოლუციის დასაწყისად ლექსინგტონისა და კონკორდის შეტაკებები მიიჩნევა.

35 იგულისხმება შვიდწლიანი ომი (1756-1763 წწ.), რომლის დროსაც პრუსია, ჰანოვერი და დიდი ბრიტანეთი დაუპირისპირდნენ საფრანგეთს, ავსტრიას, საქსონიას, შვედეთსა და რუსეთს. საომარი მოქმედებები მიმდინარეობდა როგორც ევროპაში, ასევე, ჩრ. ამერიკასა და ინდოეთში. ბრიტანეთი დაინტერესებული იყო ჰანოვერის დაცვით, რადგან ის მმართველი დინასტიის კონტინენტურ სამფლობელოს წარმოადგენდა.

36 იგულისხმება პენსილვანია.

37 პეინი აღწერს ბოსტონის ალყას ამერიკელების მიერ, რომელიც 1775 წლის აპრილში დაიწყო (ლექსინგტონისა და კონკორდის შეტაკებების შემდეგ). 1776 წლის მარტში, ამერიკელებმა, გენერალ ჯორჯ ვაშინგტონის მეთაურობით, ბრიტანელებს

ქალაქის დატოვება აიძულეს.

38 **ჯონ მილტონი** (1608-1674 წწ.) – ინგლისელი პოეტი; **სასიკვდილო ზიზღისაგან მიყენებულ ღრმა ჭრილობებს ვერაფერი შეახორცებს** – „დაკარგული სამოთხე", IV, 98-99.

39 იგულისხმებიან ინგლისელები.

40 1765 წელს ინგლისის პარლამენტმა მიიღო კანონი საღერბო გადასახადის შესახებ, რომლის თანახმად, ამერიკულ კოლონიებში ნებისმიერი სახის კომერციულ საქმიანობაზე გადასახადები დაწესდა. კანონს ამერიკელი კოლონისტების მხრიდან მძლავრი წინააღმდეგობა შეხვდა. 1766 წლის დასაწყისში ინგლისის პარლამენტი იძულებული გახდა, გაეუქმებინა კანონი საღერბო გადასახადის შესახებ.

41 **ფრედერიკ ნორსი** (1732-1792 წწ.) – ინგლისის პრემიერ-მინისტრი 1770-1782 წლებში.

42 1775 წლის 17 ივნისს ბოსტონის მისადგომებთან ამერიკელ კოლონისტებსა და ინგლისელებს შორის გაიმართა ბანკერ ჰილის ბრძოლა. ინგლისელების დანაკარგი შეადგენდა 1 000-ზე მეტ ჯარისკაცს, ხოლო ამერიკელებმა დაახლოებით 450 ჯარისკაცი დაკარგეს.

43 იხ. შენიშვნა 34.

44 იხ. შენიშვნა 3.

45 მესამე გამოცემის დედანში აქ ცარიელი ადგილია დატოვებული. ალბათ, პეინს სურდა კონგრესის სხდომის ხანგრძლივობა მიეთითებინა.

46 **თავისუფლებათა დიდი ქარტია** – იგივე Magna Carta, მიღებულ იქნა 1215 წელს ინგლისში მეფე ჯონ უმიწაწყლოს (1167-1216 წწ.) მმართველობის დროს. ქარტიის ინიციატორები იყვნენ მეფის აბსოლუტური ძალაუფლების მოწინააღმდეგე ბარონები. ქარტიამ შეზღუდა მეფის აბსოლუტური ძალაუფლება ბარონთა თავისუფლებების განვრცობის ხარჯზე.

47 **ჯაკინტო დრაგონეტი** (1738-1818 წწ.) – იტალიელი იურისტი.

48 იხ. შენიშვნა 21.

49 ინდიელთა აქტიურობა „საღი აზრის" გამოქვეყნების შემდეგ კიდევ უფრო გაიზარდა (რა თქმა უნდა, „საღ აზრს" აქ არანაირი წვლილი არ მიუძღვის. გადამწყვეტი აღმოჩნდა წაქეზება ინგლისელთა მხრიდან). 1776 წლის ივნისში ჩიროკის ტომის ინდიელები თავს დაესხნენ ამბოხებულ კოლონისტებს კაროლინაში. 1775 წლის ნოემბერში, ვირჯინიის გუბერნატორი, ლორდი დანმორი, შავკანიან მონებს გათავისუფლებას შეჰპირდა იმ შემთხვევაში, თუ ისინი ინგლისელთა სამხედრო ძალებს შეუერთდებოდნენ. პეინის ეპოქაში, შავკანიანებს, ჩვეულებრივ, მოიხსენიებდნენ, როგორც „Negroes."

50 **ჯონ ენტიკი** (1703?-1777 წწ.) – ინგლისელი მწერალი.

51 **ჯოსაია ბარჩეტი** (1666?-1746 წწ.) – საზღვაო საქმეთა მინისტრი 1698-1742 წლებში.

52 ფასები მოცემულია ფუნტ სტერლინგებში.

53 **შხუნა** – იალქნიანი გემი, უპირატესად ორ ან სამანძიანი; **ბომბარდერი** – ორ-სამ ანძიანი ხომალდი (XVII ს. – XIX ს.-ის დასაწყისი), გამოიყენებოდა ზღვისპირა სამხედრო გამაგრებების დასაბომბად; **ბრანდერი** – ადვილად აალებადი, ან ფეთქებადი ნივთიერებებით დატვირთული გემი, რომელიც მოწინააღმდეგის ხომალდებისათვის ცეცხლის გასაჩენად გამოიყენებოდა.

54 **კაპერი** – კერძო პირი, რომელიც სახელმწიფოსგან მიღებული ნებართვის საფუძველზე ეწევა მეკობრეობას; **კაპიტანი უილიამ დესი** (William Death) ხომალდ „თერიბლს" მეთაურობდა. იგი დაიღუპა ლა-მანშის სრუტეში 1756 წელს, შვიდწლიანი ომის დროს, ფრანგულ სამხედრო ხომალდთან შეტაკებისას.

55 **ახალი ინგლისი** – ისტორიული ოლქი აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთში, მოიცავს მენის, ნიუ-ჰემპშირის, ვერმონტის, მასაჩუსეტსის, კონეკტიკუტის და როდ-აილენდის შტატებს.

56 პეინი, სავარაუდოდ, გულისხმობს იმ გარემოებას, რომ რუსეთის იმპერია, არსებითად, სახმელეთო იმპერია იყო.

57 **დელავერი** – მდინარე აშშ-ს ჩრდილო-აღმოსავლეთში. მისი სიგრძე დაახლოებით 650 კმ-ია.

58 **ბრიგი** – ორანძიანი იალქნიანი ხომალდი.

59 **ტორები** (Tories) – პეინთან: კოლონისტები, რომლებიც დამოუკიდებლობის ომის დროს ბრიტანელებს უჭერდნენ მხარს.

60 **როდესაც ასოციატორთა პეტიცია პენსილვანიის ასამბლეაზე განიხილებოდა** – 1775 წელს პენსილვანიის მილიციამ (სახალხო ლაშქარი), რომელიც ცნობილი იყო სამხედრო ასოციაციის (Military Association), ხოლო მისი წარმომადგენლები – ასოციატორების (Associators) სახელით, პეტიციით მიმართა ასამბლეას, შტატის საკანონმდებლო ორგანოს. ასოციატორები ითხოვდნენ ოფიცრების არჩევისა და საარჩევნო ხმის უფლებას. პენსილვანიის ასამბლეამ, ადგილების უსამართლო განაწილების გამო, კომერციულ ოლქებს მიანიჭა უპირატესობა.

61 **ჩარლზ ვოლფრამ კორნუელი** (1735-1789 წწ.) – დიდი ბრიტანეთის ხაზინის ლორდი 1774-1780 წლებში.

62 იხ. შენიშვნა 4.

63 იგულისხმება ჯონ დარლაიმპლი (1734-1779 წწ.) – ინგლისელი პუბლიცისტი.

64 **ჩარლზ უოთსონ-უენთვორსი, II მარკიზი როკინგემი** (1730-1782 წწ.) – ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი 1765-1766 და 1782 წლებში.

65 იგულისხმება შვიდწლიანი ომი. იხ. შენიშვნა 35.

66 1 აკრი = 4,047 კვადრატულ მეტრს.

67 **კვიტ-რენტა** – ინგლისის ამერიკულ კოლონიებში: ფიქსირებული გადასახადი მიწაზე.

68 პეინი აქ გულისხმობს იმ ამერიკელებს, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის ომის დროს ბრიტანეთს უჭერდნენ მხარს და იარაღით ხელში იბრძოდნენ კონტინენტური არმიის წინააღმდეგ.

69 სავარაუდოდ, იგულისხმება *Extract of a letter from a Gentleman in London to his friend in this city, dated July 26 1775*, რომელიც გამოქვეყნდა *The New York Gazette and the Weekly Mercury*-სა და *New York Gazetteer or Weekly Advertiser*-ში.

70 მინიშნებაა ინგლისურ ანდაზაზე: იმას, ვინც თავისი უფროსის გარეშე აწარმოებს ანგარიშს, ხელახლა მოუწევს დათვლა (He that reckons without his host, must reckon again).

71 შვიდწლიანი ომის დასრულების შემდეგ (1763 წ.), დიდი ბრიტანეთი ომში გაწეული ხარჯების დაფარვას კოლონიებისათვის დამატებითი გადასახადების შემოღებით შეეცადა.

72 **ვიგები** – პოლიტიკური პარტია ინგლისში. წარმოიშვა XVII ს-ის 70-იან წლებში, გამოხატავდა მსხ-

ვილი ფინანსური და სავაჭრო ბურჟუაზიის, ასევე, ბურჟუაზიასთან ახლომდგომი არისტოკრატიის ინტერესებს.

73 იგულისხმება ავტორი, ანუ თავად პეინი.

74 **სენტ ჯეიმსი** – სამეფო სასახლე ლონდონში, **გააცანით ის მხედართმთავარს ბოსტონში** – ამერიკის რევოლუციის პირველ ეტაპზე ქ. ბოსტონი საომარი მოქმედებების ცენტრს წარმოადგენდა. ბოსტონის ალყის დროს (იხ. შენიშვნა 37) ინგლისელთა მხედართმთავარი თომას გეიჯი იყო. 1775 წლის ოქტომბერში იგი უილიამ ჰაუმ შეცვალა.

75 **რობერტ ბერკლი** (1648-1690 წწ.) – შოტლანდიელი კვაკერი.

76 **მამონა** – ბიბლ. ამქვეყნიური სიმდიდრე, ქრისტიანობაში ასოცირდება ბოროტებასთან (იხ. მათ. 6:24; ლუკ. 16:13).

77 იგავ. 16:7.

78 **ოლივერ კრომველი** (1599-1658 წწ.) – ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწე. ინგლისის სამოქალაქო ომის დროს (1642-1651 წწ.) ხელმძღვანელობდა პარლამენტის ჯარებს. 1649 წელს ხელი მოაწერა ჩარლზ I-ის სასიკვდილო განაჩენს. ინგლისის ლორდ-პროტექტორი 1653-1658 წლებში; **გამოდის, რომ ჩარლზი ადამიანის ხელისგან არ მომკვდარა** – პეინი თვლის, რომ კვაკერების „აღმსარებლობიდან" გამომდინარე, კვაკერებმა ჩარლზ I-ის სიკვდილით დასჯა არა კრომველის, არამედ ღვთაებრივი ნების გამოვლინებად უნდა მიიჩნიონ.

79 იგულისხმება ჯორჯ III.

80 იხ. მათ. 23:37-39; 24: 15-20; ლუკ. 13:34-35; 19:41-44.

81 იგულისხმება ამერიკის კონტინენტი.

სახელთა საძიებელი

ადამსი, ს. 12
ადამსი, ჯ. 12
ანელო, თ. 82

ბარჩეტი, ჯ. 88
ბერკლი, რ. 123
ბიორკი, ე. 15
ბურგი, ჯ. 102

გამრეკელაშვილი, ე. 22
გაფრინდაშვილი, ვ. 22
გედეონი (ბიბლ.) 40, 42

დარლაიმპლი, ჯ. 106
დესი, უ. 90
დინი, ს. 14
დრაგონეტი, ჯ. 81

ედუარდ IV 52
ეიტკენი, რ. 12
ენტიკი, ჯ. 88

ვაშინგტონი, ჯ. 13, 17

ზაქარაძე, ლ. 22

თავაძე, გ. 5, 9
თომსონი, ჯ. 23

ირემაძე, თ. 8, 22

კობეტი, უ. 18
კორნუელი, ჩ. ვ. 101-102
კრომველი, ჩ. 126

ლაბუჩიძე, დ. 22
ლამბერტი, მ. 9
ლარკინი, ე. 18
ლორენსი, ჯ. 14
ლორენსი, ჰ. 14
ლუი XVI 16

როკინგემის II მარკიზი 107
მარატი, ჟ.-პ. 16
მერედითი, უ. 53
მონრო, ჯ. 16
მორისი, გ. 16
მუჰამედი 48

ნაპოლეონი, ბ. 17
ნოე (ბიბლ.) 20, 116
ნორსი, ფ. 71

ოლაივი, ე. 10
ოლაივი, ს. 10

პეინი, თ. 5-22
პეინი, ფ. 9

პეინი, ჯ. 9
პელჰემი, ჰ. 55

რაში, ბ. 12
რიტენჰაუსი, დ. 12
რობესპიერი, მ. 16

სამუელი (ბიბლ.) 40, 42-45

უილიამ დამპყრობელი 48, 62, 98

ფერგიუსონი, ჯ. 11
ფილპი, მ. 9, 22
ფიფია, ნ. 22
ფონერი, ფ. ს. 13
ფრანკლინი, ბ. 11, 14
ფრუხტმანი, ჯ. 9, 11-12, 14

ჩარლზ I 38, 126
ჩარლზ II 123

ჯეფერსონი, თ. 12, 15, 17

ჰენრი VI 52
ჰენრი VII 53

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის რჩეული ნაშრომებისა და გამოცემების ნუსხა

I. სამეცნიერო სერია „ფილოსოფია, სოციოლოგია, მედიის თეორია“:

ტ. 1: **ნიცშე საქართველოში. ეძღვნება თამაზ ბუაჩიძის ნათელ ხსოვნას,** რედაქტორ-შემდგენი: თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 246 გვ.

ტ. 2: **ფილოსოფია – დიალექტიკა – ლოგიკა. სავლე წერეთლის დაბადებიდან 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული,** რედაქტორ-შემდგენელნი: ლალი ზაქარაძე და თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი, 2008, 200 გვ.

ტ. 3: **სიცოცხლის ფილოსოფია. პრობლემები და პერსპექტივები,** რედაქტორ-შემდგენელნი: ლალი ზაქარაძე და მიხეილ გოგატიშვილი, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 88 გვ.

ტ. 4: **ლალი ანთიძე: ნიკოლოზ ლოსკის ინტუიტივიზმი,** გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 244 გვ.

ტ. 5: **Philosophy in Global Change. Jubilee volume dedicated to the 65th anniversary of Burkhard Mojsisch.** Edited by Tengiz Iremadze in collaboration with Helmut Schneider and Klaus J. Schmidt, Tbilisi 2011, 436 pp.

II. სამეცნიერო სერია „ფილოსოფია და სოციოლოგია დღეს“:

თენგიზ ირემაძე: ვალტერ ბენიამინი. ცხოვრება, მოლვაწეობა, აქტუალობა, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2008, 108 გვ.

Tengiz Iremadze: Der Aletheiologische Realismus. Schalwa Nuzubidse und seine neuen Denkansätze, "Nekeri", Tbilissi, 2008, 117 S.

ბურკჰარდ მოიზიში: ჰუმანიზმის ეპისტემოლოგია, ინგლისურიდან ქართულად თარგმნა გიორგი ბარამიძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2009, 90 გვ.

ჰელმუტ შნაიდერი: ფილოსოფიური გეოგრაფია, გერმანულიდან ქართულად თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 120 გვ.

უდო რაინჰოლდ იეკი: განაზრებანი ქართული ფილოსოფიის შესახებ, გერმანულ და ქართულ ენებზე, გერმანულიდან ქართულად თარგმნა ლალი ზაქარაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 88 გვ.

ჰელმუტ შნაიდერი, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, დოდო ლაბუჩიძე, თენგიზ ირემაძე: რა არის თავისუფლება? დიდი მოაზროვნეები თავისუფლების არსის შესახებ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 144 გვ.

გრიგოლ რობაქიძე და თანამედროვე აზროვნება, რედაქტორ-შემდგენლები: მამუკა თავხელიძე, თენგიზ ირემაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 144 გვ.

ევროპული პასუხისმგებლობა. მერაბ მამარდაშვილის დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალები (14 დეკემბერი, 2010 წელი, თბილისი), რედაქტორ-შემდგენელი და წინათქმის ავტორი თ. ირემაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 224 გვ.

III. სამეცნიერო-მთარგმნელობითი სერია „ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები. თარგმანები“:

ნიკლას ლუმანი: საზოგადოებრივი კომუნიკაციის სისტემის ცვლილებანი და მასობრივი მედია, გერმანულიდან თარგმნა დევი დუმბაძემ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 37 გვ.

ანრი ბერგსონი: ცნობიერება და სიცოცხლე, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, გამომცემლობა „არხე“, თბილისი, 2007, 44 გვ.

კარლ შმიტი: ხმელეთი და ზღვა. მსოფლიო-ისტორიული განაზრება, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2010, 180 გვ.

IV. ფრიდრიხ ნიცშეს რჩეული თხზულებები ქართულ ენაზე (აკადემიურ-კრიტიკული გამოცემა):

ტ. 1: **ფრიდრიხ ნიცშე**: *Ecce homo*. როგორ ხდება ადამიანი ის, რაც ის არის, გერმანულიდან თარგმნა, შენიშვნები და გამოკვლევა დაურთო გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2011, 248 გვ.

გამოსაცემად მზადაა:

ტ. 2: **ფრიდრიხ ნიცშე**: კერპების მწუხრი, გერმანულიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, ტომის რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე.

V. ინსტიტუტის ცალკეული გამოცემები:

ალექსის დე ტოკვილი: დემოკრატია ამერიკაში, ფრანგულიდან თარგმნა დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, წინათქმა დაურთო თენგიზ ირემაძემ, სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, გიორგი თავაძე, გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2011, 592 გვ.

ლეო შტრაუსი: რა არის პოლიტიკური ფილოსოფია? ინგლისურიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო გიორგი ხუროშვილმა, გამომცემლობა „საუნჯე“, რედაქტორები: მიხეილ გოგატიშვილი, გიორგი ბარამიძე, თენგიზ ირემაძე, თბილისი, 2011, 130 გვ.

თომას პეინი: საღი აზრი, ინგლისურიდან თარგმნა გიორგი თავაძემ, წინათქმა დაურთო თენგიზ ირემაძემ, სამეცნიერო რედაქტორები: თენგიზ ირემაძე, ლალი ზაქარაძე, დოდო ლაბუჩიძე-ხოფერიამ, გამომცემლობა „ნეკერი“, თბილისი, 2012, 146 გვ.

თომას პეინი (1737-1809 წწ.) – ახალი დროის თვალსაჩინო პოლიტიკური მოაზროვნე, განმანათლებელი და პამფლეტისტი. პეინს აშშ-ს ისტორიაში განსაკუთრებული ადგილი უკავია: დამოუკიდებლობისათვის ომის გარიჟრაჟზე (1776 წ.) მან გამოაქვეყნა თავისი ცნობილი ნაშრომი „საღი აზრი“, რომელსაც არნახული პოპულარობა ხვდა წილად – რამდენიმე თვის განმავლობაში ამ მცირე პამფლეტის 500 000-ზე მეტი ეგზემპლარი გაიყიდა. „საღმა აზრმა“ ძალიან დიდი როლი შეასრულა: მან დაარწმუნა რიგითი ამერიკელები ბრიტანეთისაგან განცალკევების აუცილებლობაში და ხელი შეუწყო ამერიკული პატრიოტიზმის გაღვივებას და ამერიკელთა თვითშეგნების განმტკიცებას. გადმოცემის სიცხადის, აზრის სინატიფისა და დამაჯერებელი არგუმენტაციის წყალობით, „საღი აზრი“ დღესაც არ კარგავს აქტუალობას და პოლიტიკური პამფლეტის საუკეთესო ნიმუშად რჩება. წინამდებარე გამოცემა „საღი აზრის“ პირველ ქართულ თარგმანს წარმოადგენს.

დაფინანსებულია საქართველოში
აშშ-ის საელჩოს წიგნების თარგმნის
პროგრამის მიერ

**Funded through the
Book Translation Program,
U.S. Embassy in Georgia**

U.S. – GEORGIA
CELEBRATING TWENTY YEARS

ISBN 978-9941-436-21-5